ივნისი
29 1996 წ.

საღამოს
# კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი №113 (407) ფასი 40 თეთრი

# „კავკასიონი" პროტესტს აცხადებს!




## ის ძალები, რომლებიც კორუფციის და კლანური ანგარიშსწორების ჭაობში მიათრევენ ქვეყანას, პრესის ხელში მოსამსახურედ აყვანას ლამობენ

რამდენად ასრულებს „კავკასიონი" თავის ფუნქციას, ეს მკითხველის გადასაწყვეტია, ჩვენის მხრივ, რა დასამალია, მიგვაჩნია, რომ იქნებ მცირე, მაგრამ მაინც სარგებლობა მოგვაქვს საზოგადოებისთვის.

უნდა ითქვას, რომ თავისუფალი გაზეთის გამოცემა საკმაოდ რთული საქმეა; ერთი მხრივ მან უნდა იბრძოლოს თავისი ადგილისთვის თავისუფალ ბაზარზე, მეორე მხრივ, პრესის საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი უამრავი პოლიტიკური თუ ეკონომიკური დაჯგუფების, ათასგვარი ოფიციალური თუ არაოფიციალური სტრუქტურის არაჯანსაღი ინტერესის ობიექტი ხდება. დღეს ხშირად შეიმჩნევა იმ აზრის დამკვიდრების მცდელობა, რომ პრობლემის სათავე ხელისუფლებისა და პრესის დაპირისპირებაშია. სინამდვილეში ეს არის საბაბი, რათა თავისუფალ პრესასთან ბრძოლის იდეოლოგიური და ეკონომიკური საფუძველი შეიქმნას. არც საქართველოში და არც სხვაგან ხელისუფლება არა არის ერთი მთლიანი მონოლითი, ხელისუფლების ფენომენი თავისთავად გულისხმობს სხვადასხვა შტოების და ჯგუფების არსებობას, მათ შორის დაპირისპირებას, გავლენის სფეროს გაფართოებისთვის და ძალაუფლების ვერტიკალზე გადაადგილებისთვის ბრძოლას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართული ბიუროკრატია აქტიურად იყენებს „კაბინეტურ ძალაუფლებას", რათა საკუთარი ეკონომიკური ინტერესები ჩადოს საკუთრების გადანაწილების პროცესში და, როგორც წესი, აქედან გამომდინარე ცდილობს ქვეყნის მართვას. ცხადია, ამ ფენას თავისუფალი პრესა საკმაო დისკომფორტს უქმნის, ამიტომ ყოველგვარი ხერხებით ცდილობენ მის დამორჩილებას და საკუთარ სამსახურში ჩაყენებას. როდესაც საუბარია, რომ ცალკეული გაზეთების უკან ვიღაცეები დგანან, ეს ვიღაცეები სწორედ ხელისუფლების დერეფნებში არიან საძებნელნი. და თუმცა ისინი სახელმწიფო ინტერესების დაცვით სპეკულირებენ, როგორც წესი, თვითონ ეწინააღმდეგებიან სახელმწიფოს ინტერესებს. ამით არის გამოწვეული პრესაზე მიზანმიმართული დაწოლა, რამაც ბოლო პერიოდში აღმაშფოთებელი ფორმები მიიღო.

ეს კამპანია მიმდინარეობს რამდენიმე თვის წინ დაწყებულ პრესის დახმარების ღონისძიებათა (პრინციპში, მხოლოდ ქაღალდზე არსებულ) ფონზე. გამოიყენება თითქმის ყველა აკრძალული ხერხი.

ბოლო დღეების განმავლობაში რედაქციაში მოდიან გაურკვეველი უწყების წარმომადგენლები, რომლებმაც თავი ახე წარმოგვიდგინეს — საგადასახადო ინსპექციაც, უშიშროებაც და პროკურატურაც ჩვენ ვართო და აცხადებენ, რომ მოქმედებენ სახელმწიფო დავალების თანახმად. ითხოვენ გაზეთის ოფიციალურ დოკუმენტაციას, თუმცა, უარს აცხადებენ სათანადო მომართვების წარმოდგენაზე. ისინი არ ერიდებიან ცალკეულ თანამშრომელთა შანტაჟირებას და, ამავე დროს,ორი დღის განმავლობაში რედაქცია აღმოჩნდა იმდენი გაუთვალისწინებელი ტექნიკური პრობლემის წინაშე, რომ აშკარად იგრძნობა ვიღაცის ხელი და, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა მუშაობა. დაახლოებით იგივე ვითარებაა სხვა რედაქციებშიც.

ხოლო რას ნიშნავს „მომხდურთა" განცხადება, რომ „მორჩა თქვენი პარპაში" და „თუ წერას აუტანიხართ, აგერაა „საქართველოს რესპუბლიკა", ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

სრული საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ეს არის სახელმწიფო ინტერესებს ამოფარებული ხელისუფლებაში განფენილი კლანების მცდელობა, რათა გაზეთები ან დაიქვემდებარონ, ან თავიდან მოიცილონ. საკმაო არგუმენტების მოყვანა შეიძლება იმ ვარაუდის გასამაგრებლად, რომ სწორედ ეს კლანები დგანან ე.წ. „ყვითელი გაზეთების" თუ „ყვითელი პუბლიკაციების" უკან, რომელთაც აშკარად პროვოკაციული ხასიათი აქვთ და მთელი პრესის დისკრედიტაციის საბაბად იქცევიან ხოლმე; მეორე მხრივ, ამგვარი „სენსაციებით" ცალკეული შტოები ერთმანეთს უსწორებენ ანგარიშს.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ანალოგიური თუ მსგავსი ღონისძიებები სხვა რედაქციების მიმართაც განხორციელდა, მაგრამ რა უნდა იყოს ამის ჭეშმარიტი მიზანი?! ნუთუ ის მწირი და არაფრისმთქმელი ინფორმაცია (რამდენი თანამშრომელია რედაქციაში, მათი გვარები, ტირაჟი და საბუღალტრო დოკუმენტები) ღირდა ამდენ ხმაურად? ყველა ეს მონაცემი არავითარ საიდუმლოს არ წარმოადგენს და რომ არა აშკარად გამომწვევი ტონი და პროვოცირებული კონფლიქტი, დარწმუნებული ვართ, ამას არც ერთი რედაქცია არავის დაუკავებს. თუ მაინცდამაინც, ხომ თავისუფლად შეიძლებოდა ყველაფრის გაგება ზედმეტი აყიოტაჟის გარეშე? ელემენტარულ ლოგიკას თუ მოვიხმობთ, ყველაზე სარწმუნოდ ის ჩანს, რომ ამ კამპანიის წამოწყებით სწორედ ხმაურის ატეხვა სურთ, რაც, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს დისკრედიტაციას შეუწყობს ხელს. შეიძლება ეს კონფლიქტი ხვალ ჩაცხრეს, მაგრამ პრესასთან დაკავშირებული ბუნდოვანება თუ არ გაიფანტა და შეუვალ წესად არ დამკვიდრდა ყოველი სადავო საკითხის კანონის საფუძველზე გარკვევა, მუდმივად იქნება ახალი, რბილად რომ ვთქვათ, „გაუგებრობის" საშიშროება. დღეს უკვე კარგად ჩანს, რომ ამგვარი ექსცესისთვის ფსიქოლოგიური ფონი მეთოდურად იქმნებოდა ზოგადად პრესის წინააღმდეგ მიმართული განცხადებებით. ყოველ არაზუსტ ინფორმაციაზე მორალური პასუხისმგებლობა მთელ პრესას ეკისრებოდა და თითქმის არც ერთ შემთხვევაში არ დამდგარა კონკრეტული პასუხისმგებლობის საკითხი.

არ ხდება ეს შემთხვევით!

დაბოლოს! ხშირად გაისმის ხოლმე, რომ პრესას გარკვეული ძალები აფინანსებენ. კატეგორიულად აუცილებელია, რომ ყოველი ასეთი ბრალდება დაკონკრეტდეს და გაზეთმა ან ცილისმწამებელმა კანონის წინაშე აგოს პასუხი. შესაბამისმა ორგანოებმა სწორედ ეს უნდა გამოიძიონ, რადგან ეს ჩვეულებრივი კორუფციაა და მეტი არაფერი.

ჯერჯერობით, საქართველოში თავისუფალი პრესა არ არის ისეთი ძლიერი, რომ სერიოზულ შემოტევებს გაუძლოს. მაშინ, როცა სისხლის ფასად შეძენილი კომპიუტერის მწყობრიდან გამოსვლა ლამის რედაქციის დახურვას ნიშნავს, ცხადია, გაზეთთან ანგარიშის გასწორება ძალიან იოლია. ამავე დროს, თავისუფალი პრესა ისეთივე აუცილებლობას წარმოადგენს დემოკრატიული ქვეყნისთვის, როგორც კერძო ბიზნესი და ამიტომ სახელმწიფომ აუცილებლად უნდა იზრუნოს მისი განვითარებისთვის — რაც, უპირველესად, იმით გამოიხატება, რომ ეს სფერო მხოლოდ კანონმა არეგულიროს და არა ვიღაცის ხუშტურმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრესას ნამდვილად შეჭამენ ფულიანი კლანები. სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან რაც ვიცით, პრესა ან კორუფციასთან ბრძოლის ფლაგმანია, ან კორუმპირებული ფენების დამცველი. სახელმწიფოში ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული, ქვეყანაში თუ კორუფციამ გაიმარჯვა, ბუნებრივია, აქ თავისუფალი პრესა ვერ იარსებებს და საქმე გვექნება ცალკეული ბობოლების ჯიბის გაზეთებთან. ახე რომ, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესებში შედის პრესის „დაჯანჯლარების" ჭეშმარიტი მიზეზების ღრმად გაანალიზება. ჩვენ კი ეს მაინც გამოძახილი გვგონია იმ ბრძოლისა, რომელსაც გარკვეული ძალები აწარმოებენ ქვეყანაში კორუფციის დიქტატურის დასამყარებლად.

„კავკასიონი", ბუნებრივია, ეცდება, რომ დადგეს ფეხზე და იმედია, დადგება. არსებობისთვის იბრძოლებენ სხვა გაზეთებიც, მაგრამ არც რომელიმეს დახურვა იქნება უბედურება, თუ ეს ბუნებრივი კონკურენციის პირობებში მოხდება. მის ადგილს სხვა დაიკავებს.

დღეს კი, გაზეთების წინააღმდეგ წარმართული კამპანია, თავისი არსით იმდენად არაჯანსალი და მავნეა, რომ ბევრ ცუდს უქადის ქვეყანას.

სწორედ ამის გამო გამოვთქვამთ პროტესტს და კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ საზოგადოებასაც და ჩვენც განგვემარტოს, რა ხდება! სახელმწიფოში ყველას გარკვეული პასუხისმგებლობა აკისრია, ჩვენ ჩვენს წილს არ გავურბივართ...

---

### კონტროლის პალატა

## დრამატული სკანდალის «ჰეპი-ენდი»

### რევაზ შავიშვილი: „მოსაზრება, რომ რაღაც ზესაიდუმლოს ვმალავ, მითია"

საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა ინტრიგის დონეზე ყოველთვის უტყუარად მეტყველებს ის, თუ რამდენადაა შევსებული პრესისთვის განკუთვნილი აივნები. გუშინ, დღის პირველ ნახევარში სხდომათა დარბაზის „ქანდარაზე" ტევა არ იყო, რადგან დეპუტატებს უნდა განეხილათ კონტროლის პალატის ანგარიში და თავმჯდომარის დამტკიცების საკითხი.

იხილეთ მე—3 გვ.

---

### სკანდალი

## გუშინ გაიფიცნენ მიკროავტობუსის მძღოლები

### მიზეზი? – დაპირისპირება მძღოლებსა და საგზაო პოლიციას შორის
### შედეგი? – დარბეული გაფიცვა, ნაცემი მძღოლები

ქალაქში მოძრავი 1500-მდე მიკროავტობუსი, რომელიც მგზავრთა გადაყვანას ემსახურება, მისი ტექნიკური მდგომარეობით მოქალაქეთა უსაფრთხოების გარანტია რომ უნდა იყოს, ამ ჭეშმარიტებაში ეჭვი ნამდვილად არავის ეპარება. მით უმეტეს, რომ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ცხადყო, თუ რა სავალალო შედეგების მოტანა შეუძლია მოძველებული, მწყობრიდან გამოსული ავტოტრანსპორტით მგზავრთა მომსახურებას, თუმცა, იმ საჭირბოროტო პრობლემაზე, რომელმაც ჩვენში კარგა ხანია იჩინა თავი და რომელზეც დღეს ვისაუბრებთ, ვფიქრობთ, ნაკლები საერთო უნდა ჰქონდეს როგორც მანქანის ტექნიკური მდგომარეობის, ისე მგზავრთა უსაფრთოების უზრუნველყოფასთან.

იხილეთ მე—4 გვ.

---

### რეგიონი

## SOS - „ბუღალტრები" მოდიან!

### „ბუღალტრები მოვიდნენ..."

„ბუღალტრები მოვიდნენ, ყველაფერს დაგვიანგარიშებენ და წავლენ", — ასე უყურებენ, უმეტეს შემთხვევაში, რაიონებში შესამოწმებლად ჩასულ კონტროლის პალატის წარმომადგენლებს. თვით თანამდებობის პირებმაც ხშირად არ იციან, თუ რა უფლებები აქვს ამ უწყებას, რის გამოც ხშირად აწყდებიან უსიამოვნებებს. „ბუღალტრები" მოდიან და ანგარიშობენ, ოღონდ, ნასვლამდე ბევრისთვის მძიმე და მოულოდნელ გადაწყვეტილებებს იღებენ ხოლმე. ასე მოხდა ახალგორის რაიონშიც, სადაც ოცდაექვს ივნისს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის გასვლითი სხდომა შედგა.

### სად წავიდა ახალგორელთა ცხვარ-ძროხა

ახალგორის რაიონში 1993-95 წლებში ბიუჯეტის შედგენა-შესრულების მდგომარეობა და აგრარული სექტორის მიერ გაწეული მუშაობა შეისწავლა მცხეთა-მთიანეთის რეგიონული კონტროლის პალატის სარევიზიო ჯგუფმა, რომელსაც ბატონი ენვერ აბაშიძე ხელმძღვანელობდა. პრეზიდიუმმა, შესწავლილი მასალების საფუძველზე, აღნიშნულ პერიოდში ახალგორის რაიონის გამგეობის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა.

იხილეთ მე—2 გვ.

რეგიონი

# SOS - «ბუღალტრები» მოდიან!

პირველი გვერდიდან

„რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტი წლების განმავლობაში დეფიციტურია და საბიუჯეტო გასავლების ძირითადი ნაწილი სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრებიდან იფარება. კერძოდ, რაიონში არსებული სხვადასხვა საკუთრების მქონე იურიდიული და ფიზიკური პირების დაბეგვრიდან მიღებულმა შემოსავალმა 1993 წელს დაახლოებით თხუთმეტი პროცენტი შეადგინა, 1994 წელს — ცამეტი, 1995 წელს — თერთმეტი და მხოლოდ 1996 წლის პირველ კვარტალში მიაღწია ოცდაოთხ პროცენტს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ახალგორის რაიონის ყოფილი გამგეობა ვერ ფლობდა რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა-შესრულების მდგომარეობას“, — ნათქვამია მცხეთა-მთიანეთის რეგიონული კონტროლის პალატის პრეზიდიუმის დადგენილებაში. ამის მიზეზი — რაიონის ეკონომიკური პოტენციალის მთავარი დარგის — სოფლის მეურნეობის გაჩანაგება იყო.

როგორც გაირკვა, 1993 წლის პირველი იანვრისთვის რაიონში 4000 სულზე მეტი მსხვილფეხა პირუტყვი და 40 ათასზე მეტი ცხვარი ირიცხებოდა, 1996 წლის პირველი იანვრისთვის კი საქონლის რაოდენობამ კატასტროფულად იკლო, შესაბამისად — 1160 სული მსვილფეხა პირუტყვი და 2300 სული ცხვარი დარჩა. 1993 წელს რაიონმა აწარმოა 960 ცენტნერი ხორცი და 6790 ცენტნერი რძე, 1995 წელს კი ხორცის წარმოება 100 ცენტნერამდე დავიდა, რძის წარმოება — 213 ცენტნერამდე.

სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მეცხოველეობის ასეთ დაცემას გარკვეული მიზეზები განაპირობებს. ყიზლარის საძოვრების დაკარგვამ, საზამთრო საძოვრებიდან ცხვრის ვაგონებით გადმოყვანამ, შეიარაღებული პირების მიერ საქონლის დატაცებამ მეცხოველეობას დიდი ზარალი მიაყენა. შექმნილი განუკითხაობით სოფლის მეურნეობის ადგილობრივმა ხელმძღვანელებმაც ისარგებლეს და რაც ყაჩაღებს გადაურჩათ, თვითონ მოუთავეს ხელი. „აგრარულ სექტორში შემავალ სახელმწიფო და კოოპერაციულ სტრუქტურებში დამკვიდრდა უდარდელობის, საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების, სახელმწიფო ქონების ხელყოფა-განიავების ხელშემწყობი ატმოსფერო, — ნათქვამია დადგენილებაში, — რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ სამი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის სამმართველოს ხუთი უფროსი გამოეცვალა“.

## ერთი ლარი — ბიუჯეტს

რაიონის ბიუჯეტში შექმნილი მძიმე მდგომარეობა მხოლოდ სოფლის მეურნეობას ვერ დაბრალდება. ახალგორიდან თბილისში ყოველდღიურად დადიან ავტობუსები, რომელთა დატვირთვის „კოეფიციენტი შეესაბამება ტრანსპორტის დეპარტამენტის მიერ დაშვებულ კოეფიციენტს (75 პროცენტი). რაიონში მიღებული ჩვეულებით „ლაზ“-ის მარკის ავტობუსის მძღოლები ახალგორის ავტოსატრანსპორტო საწარმოს დღეში სამ ლარს უხდიდნენ, „პაზ“-ის მარკის ავტობუსები კი — ერთ ლარს. აქედან, შეტანილი თანხის 35 პროცენტი მათვე უბრუნდებოდათ უკან ხელფასის სახით. ამასთან, ხელფასები ისეთ თანამშრომლებზეც არის გაცემული, რომელთა შესრულებული სამუშაოს დამამტკიცებელი დოკუმენტი არ არსებობს. საბოლოოდ, შემოწმებამ მძღოლებისგან ამოსაღები თანხა 30 ათასი ლარით განსაზღვრა, საწარმოსგან ამოსაღები კი — 1150 ლარით.

კონტროლის პალატამ აღმოაჩინა, რომ ოთხმოცდაათი პრივატიზებული ავტომანქანიდან ორმოცდათექვსმეტის ღირებულება არ იყო სწორად გაანგარიშებული და ბიუჯეტის სასარგებლოდ 1160 ლარი უნდა იქნეს გადახდილი.

შემოწმებამ გამოავლინა, რომ რაიონში შექმნილი მძიმე მდგომარეობისთვის პასუხისმგებლობის მოზრდილი ნილი რაიონის საგადასახადო ინსპექციასაც ეკისრება, რის შედეგადაც 1995 წელს ბიუჯეტის ფაქტობრივმა შემოსავალმა მხოლოდ თექვსმეტი ათასი ლარი შეადგინა.

## „როცა სარგებელს ხედავ, კანონის დარღვევა დასაშვებია“

ახალგორის საბავშვო სახლში 74 უპატრონო და მზრუნველობას მოკლებული ბავშვი ცხოვრობს. 1995 წელს საბავშვო სახლის ხელმძღვანელობას ბიუჯეტიდან მიღებული ხუთი ათასი ლარი სესხად მიუცია ახალგორის საკონსერვო ქა-



რხნისთვის, სამაგიეროდ, პროცენტის სახით უნდა მიეღო 300 პირობითი ქილა ხილფაფა. ქარხანამ არათუ ხილფაფის მიცემა ვერ შეძლო, ვალიც ვერ დააბრუნა დროზე. როგორც გაირკვა, აღნიშნული ხუთი ათასი ლარი საბავშვო სახლს დამატებით გამოუყო ბიუჯეტიდან რაიონის გამგებელმა ბალაშვილმა, იმ პირობით, რომ ამ თანხას საბავშვო სახლის დირექტორი საკონსერვო ქარხანას ასესხებდა. „ეს რომ არ გამეკეთებინა, საერთოდ ვერ მივიღებდი ფულს, ახლა კი ხუთი ათასი ლარი მოვიგე. ეს სასარგებლო იყო ბავშვებისთვის და, ამიტომ, მე ამის უფლება მქონდა“, — განაცხადა საბავშვო სახლის დირექტორმა როლანდ ოვაშვილმა. „ღმერთმა ქნას, არასდროს შეცდომა არ მოგსვლოდეთ, მე კი მიმაჩნია, რომ როცა სარგებელს ხედავ, კანონის დარღვევა დასაშვებია“, — განუცხადა მან კონტროლის პალატის წარმომადგენლებს.

## დამრღვევებს პასუხიც მოეთხოვებათ

„მოსახლეობამ უნდა იგრძნოს, რომ ყველა პასუხისმგებელი პირი პასუხს აგებს დარღვევებზე და ნაკლოვანებებზე“, — განაცხადა მცხეთა-მთიანეთის კონტროლის პალატის თავმჯდომარემ თამაზ ლომაძემ. პრეზიდიუმმა რაიონის გამგეობის წინაშე დააყენა გამგებლის პირველი მოადგილის მელაძის, საბავშვო სახლის დირექტორის როლანდ ოვაშვილის, საგადასახადო ინსპექციის უფროსის მიხეილ ხოცუაშვილის და ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორის ზაზა გათენაშვილის თანამდებობებზე დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი. სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი უფროსების, აგრეთვე გარჩოხის, დადიანეთის და ლარგვისის სასოფლო კოოპერაციების ყოფილი თავმჯდომარეების ბრალეულობის საკითხი შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცა საშხარეო პროკურატურას. კონტროლის პალატის პრეზიდიუმმა კიდევ არაერთი პირის პასუხისმგებლობის საკითხი დასვა, რის შემდეგაც მთავარი კითხვა წამოიჭრა: რა იქნება მომავალში?

## საით მიდის ახალგორი

არსაით! ეს იქნება ყველაზე ლოგიკური პასუხი ამ კითხვაზე. დგას და ადგილს ტკეპნის, მომავლის არანაირი პერსპექტივა არ ჩანს, — ამგვარი შთაბეჭდილება შეიქმნა რაიონის გამგებლის ოლეგ ოდიშელიძის და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის ბორის ელოშვილის გამოსვლის შემდეგ. ცხვარი დაბერდა, ველარ მრავლდება, ახლის შესაძენი თანხა რაიონს არა აქვს, კახეთის საზამთრო საძოვრებზე ქირად ათი ცხვრიდან ერთს იტოვებენ, ბენზინის და წამლის შეძენა ძვირი ღირს, მოკლედ, მეცხვარეობა რაიონში წამგებიან საქმედ იქცა. უკეთეს მდგომარეობაში არც მსხვილფეხა მესაქონლეობაა. სახელმწიფოს კუთვნილ ტრანსპორტს ხალხი ვერ ყიდულობს, რადგან ძვირი ღირს. გამოსავალი? — ხელისუფლებას სთხოვენ სესხს ცხვრის შესაძენად, საზამთრო საძოვრებზე ქირის გადასახადისგან გათავისუფლებას და სხვა შეღავათებს, თუმცა, ჯერჯერობით, საიმედო პასუხი არ მიუღიათ. ამასობაში კი რაიონის ბიუჯეტი ისევ დოტაციის იმედად რჩება.

ძნელია, ერთ დღეში მოსმენილით შეაფასოს კაცმა რაიონში შექმნილი მდგომარეობა, თუმცა, ამ ერთ დღეშიც ბევრი კითხვა გაჩნდა. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესიდან ახალგორი განზე გადგა და თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. მთელ ქვეყანაში დაინგრა სახელმწიფო მეურნეობები, ან მხოლოდ იქ შენარჩუნდა, სადაც ისინი უფრო მომგებიანია, ახალგორში კი ისევ წამგებიანი მეურნეობების დოტაციით შენარჩუნებისთვის იბრძვიან. „დარჩენილი ცხვრის მოსახლეობისთვის მიყიდვასაც ვფიქრობთ, მაგრამ ჩვენი ხალხი ისეთია, შეიძლება, ერთბაშად მოიცილოს“, — თქვა რაიონის გამგებელმა. ხალხი მშვენივრად ხვდება, რის მოშენებაა მისთვის მომგებიანი და შესაბამისად, ან ერთბაშად მოიცილებს, ან კიდევ გაამრავლებს და აალორძინებს, ცხვარი. იქნება ეს თუ სხვა რამე. გაუგებარია, ვის სჭირდება საქონელი, რომლის შენახვა მეტი ჯდება, ვიდრე მისგან სარგებელია მოსალოდნელი. დღეს საქართველოს ბაზარი გაჯერებულია ადგილობრივი წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქტით და თუ ნებაზე მიუშვებენ, ახალგორელი გლეხები თვითონ აალორძინებენ იმ დარგს, რაც მათთვის ყველაზე მომგებიანი იქნება.

ასევე გაუგებარია, რა როლს ასრულებს რაიონის ავტოსატრანსპორტო სამმართველო თავისი დირექტორით, ბუღალტრითა და სხვა შტატებით. ვერც საწვავით და ვერც სათადარიგო ნაწილებით ისინი მძღოლებს ვერ ამარაგებენ, გასული წლების მაგალითიდან კი ჩანს, რომ არც მათი მუშაობის გაკონტროლებით იკლავდნენ თავს. თუკი საწარმოს კუთვნილი ტრანსპორტი კერძო მფლობელებს მიეყიდებათ, საგადასახადო ინსპექცია მშვენივრად შეძლებს მათ გაკონტროლებას და გადასახადების ამოღებას. ხოლო, თუ რაიონში არ გამოჩნდება ამ ტრანსპორტის შეძყიდვის მსურველი (რაც თითქმის დაუჯერებელია), მეზობელი რაიონების მკვიდრნი სიამოვნებით შეეშველებიან.

მსგავსი მაგალითი ბევრია, მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის დასახელება კმარა: რაიონის ოთხმოცდაათადგილიანი საავადმყოფო შარშან 0,5 პროცენტით იყო დატვირთული! ბიუჯეტიდან კი საავადმყოფოს 10700 ლარი მოხმარდა, არაფერს ვამბობთ ჰუმანიტარულ მედიკამენტებსა და სურსათზე.

## SOS! ჯერი ყაზბეგზეა

„ანალოგიური მდგომარეობაა ყაზბეგის რაიონში, — ბრძანა ბატონმა თამაზ ლომაძემ, — უახლოეს ხანში კონტროლის პალატის პრეზიდიუმი იქით გაემგზავრება და, თუ არ სურთ, იქაც იგივე დატრიალდეს, სასწრაფოდ უნდა დაფარონ ბიუჯეტის დავალიანება“.

სოზარ სუბელიანი

შემთხვევა

# აფეთქებები ხაშურსა და... შორეულ აღმოსავლეთში

ოცდაშვიდ ივნისს, დაახლოებით საღამოს ექვს საათზე, ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურთან მდებარე სამხედრო საწყობებში გაჩნდა ხანძარი. ხანძრის ჩაქრობა დროზე ვერ მოხერხდა, რის შედეგადაც დაიწყო აფეთქებების სერია, რაც თითქმის სამი საათი გაგრძელდა. როგორც თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრიდან გვაცნობებს, აფეთქდა დაახლოებით ორი ათასი საარტილერიო ჭურვი. პრესცენტრის მონაცემებით, ეს იყო ვადაგასული, სამხედრო მოქმედებებისთვის გამოუსადეგარი, 1964-65 წლებში დამზადებული ჭურვები. რეკომენდირებული ნორმებით მათი შენახვის ვადა ოცდახუთ წელს არ აღემატება, რის შემდეგაც ისინი უნდა განადგურდნენ, თუმცა, გაურკვეველი მიზეზების გამო, ისინი ჯერ კიდევ სამხედრო საცავებში ინახებოდა.

ხანძრის გამომწვევი მიზეზები უცნობია. თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრმა უარყო საინფორმაციო სააგენტო ბი-ეს-პრესის ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს ხანძარი შეგნებულად გააჩინეს საცავიდან ჭურვების მოპარვის კვალის დაფარვის მიზნით. ხანძრის მიზეზების გასარკვევად, თავდაცვის მინისტრის ვარდიკო ნადიბაიძის ბრძანებით, შეიქმნა სპეციალური კომისია.

აფეთქების შედეგად რამდენიმე საათით დაიკეტა ცენტრალური ტრასა, საწყობის ახლომახლო მცხოვრებლები გაიხიზნენ. როგორც თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრიდან გვაცნობეს, აფეთქებამ დაახლოებით 50-100 მეტრის რადიუსის არეალი მოიცვა. როგორც ბი-ეს-პრესი იტყობინება, საწყობების დაცვამ ხანძრის დროზე ჩაქრობა ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების უქონლობის გამო ვერ მოახერხა. ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეობდა დაახლოებით ოცი სახანძრო მანქანა, რომლებიც თბილისიდან, ქუთაისიდან, ხაშურიდან, ბორჯომიდან და ქარელიდან ჩამოვიდნენ.

საინტერესოა, რომ რამდენიმე დღის წინ მსგავსი აფეთქება შორეულ აღმოსავლეთში განლაგებულ რუსეთის ერთ-ერთ სამხედრო საწყობშიც მოხდა. როგორც რუსული საინფორმაციო სამსახურები იტყობინებიან, შორეულ აღმოსავლეთშიც ვადაგასული საარტილერიო ჭურვები აფეთქდა, თუმცა, გარდა გარეგნული ანალოგიისა, რაიმე კავშირი ამ ორ მოვლენას შორის, ჯერჯერობით, არ ჩანს.

კვირიკე სუბარი

მაფია

# იაპონჩიკის ლექსიკა «აოცებთ» ამერიკელებს

როგორც უკვე რამდენჯერმე გაუწყეთ, ნიუ-იორკში მიმდინარეობს რუსეთის დამნაშავეთა სამყაროს ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ვიაჩესლავ ივანკოვის (იაპონჩიკის) სასამართლო პროცესი. ამჟამად იგი მეტად საინტერესო ფაზაში შევიდა — დაიწყო იმ ჩანაწერების მოსმენა, რომელიც გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) თანამშრომლებმა ბრალდებულის სატელეფონო საუბრების მოსმენის გზით მოიპოვეს.

ძიების წინაშე, როგორც მოსალოდნელი იყო, არაერთი სიძნელე წარმოიშვა. კანონის თანახმად, ნაფიცი მსაჯულები ჩაწერილ მასალებს ბოლომდე უნდა გაეცნენ, მაგრამ იაპონჩიკის საუბრების დიდი ნაწილი შედგება კოლორიტული, უცხო ენაზე ძნელად სათარგმნი იმ რუსული სიტყვებისგან, რომლებიც მხოლოდ რუსული გონების ფანტაზიას ექვემდებარება. სხვაგვარად რომ ვთქვათ — მრავალსართულიანი გინებისგან. ამიტომ, ძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი პროკურორი იძულებული გახდა თავისი სიტყვათა მარაგი რუსი ავტორიტეტის არანორმატიული ლექსიკით გაემდიდრებინა.

მეორე სირთულე, რომელსაც ძიება აწყდება, იმაში მდგომარეობს, რომ იაპონჩიკის არცერთ სატელეფონო საუბარში მინიშნებაც არ არის თავის შესაძლო მსხვერპლთა მიმართ რაიმე მუქარაზეც კი, თუმცა მის ერთ-ერთ მონოლოგში გაიელვა ფრაზამ „რაღაც“ 2,6 მილიონი დოლარის შესახებ.

ივანკოვის პროცესი საზღვარგარეთ რუსეთის დანაშაულებრივი სამყაროს ავტორიტეტულ წარმომადგენელზე „ანგარიშსწორების“ პირველი შემთხვევაა. რამდენად აღელვებთ იგი რუსეთის სამართალდამცავ ორგანოებს?

— ჩვენი არც ერთი წარმომადგენელი ნიუ-იორკის პროცესს არ დასწრებია და არც დაესწრება, — აღნიშნავს რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა ალექსანდრე ზვიაგინცევი — ჩვენ მილიონი სხვა საქმე გვაქვს.

იაპონჩიკის „ბედი“ არც რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩინოსნებს აღელვებთ. ამ უწყების პრესცენტრის ხელმძღვანელის მოადგილის ვალერი ზვიაგინის თქმით, ივანკოვმა დანაშაული შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ჩაიდინა და ამიტომ პასუხიც იქ უნდა აგოს.

გიორგი ლაშაშიძე

პირველი გვერდიდან

უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე კონტროლის პალატის ირგვლივ ატეხილი ხმაურის შესახებ საზოგადოება კარგადაა ინფორმირებული. მთელი ეს აჟიოტაჟი გამოიწვია 14 ივნისს რევაზ შავიშვილის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ გადადგომის შესახებ. იმ დღიდან მოყოლებული, არაერთი მოსაზრება და ვერსია გამოითქვა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა თუ ცალკეულმა მოღვაწეებმა საკუთარი თვალთახედვით შეაფასეს ეს ფაქტი. რა თქმა უნდა, ფრიად ბუნდოვანი სიტუაციისთვის ნათელი ისევ თავად რევაზ შავიშვილს უნდა მოეფინა. სწორედ ამიტომ გამოიწვია პარლამენტის გუშინდელმა სხდომამ ესოდენ ცხოველი ინტერესი.

კონტროლის პალატის 252-გვერდიანი ანგარიშის პლენარულ სხდომაზე წაკითხვა და, მით უმეტეს, მისი სრული განხილვა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. ამიტომ დეპუტატებს წინასწარ დაურიგდათ ეს დოკუმენტი, კონტროლის პალატის თავმჯდომარე კი მოკლე ზოგადი გამოსვლითა და კითხვებზე პასუხებით შემოიფარგლა.

„როდესაც გადადგომის შესახებ გავაკეთე განცხადება, ჩემს მიერ მოხმობილი მიზეზები საესებით რეალური იყო, მაგრამ მაშინ, არ დამისახელებია ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი. ეს გახლავთ დაუმტკიცებელი თავმჯდომარის პრობლემა, — განაცხადა რევაზ შავიშვილმა. მისი განმარტებით გაირკვა, რომ, პირველ ყოვლისა, ამით შეიდურესად დაიძაბა პალატის შიდა ურთიერთობები, დაიწყო მითქმა-მოთქმა და ანონიმური წერილების თხზვა. სწორედ ეს იქცა თავმჯდომარის გადადგომის ძირითად მიზეზად. რაც შეეხება გარედან დაწოლას, რევაზ შავიშვილმა კატეგორიულად უარყო ეს ვერსია და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ გადადგომა გადააწყვეტინა მხოლოდ და მხოლოდ პალატის შიგნით ბოლო ხანს შექმნილმა არაჯანსაღმა ატმოსფერომ.

კიდევ ერთი მწვავე საკითხი უნდა განემარტა პალატის თავმჯდომარეს, კერძოდ, განიცდიდა თუ არა იგი ზეწოლას საკადრო პოლიტიკის განხორციელებისას. რევაზ შავიშვილმა ეს ვერსიაც სრულიად უარყო, თუმცა, იქვე ხუმრობით შენიშნა, რომ კონტროლის პალატაში თითქმის ყველა პარტიის წარმომადგენლები მუშაობენ, მაგრამ თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა მოქალაქეთა კავშირის წევრია. ერთი კია, მათ კონტროლის პალატაში მანამდე აქვთ დაწყებული მუშაობა, ვიდრე მოქალაქეთა კავშირი შეიქმნებოდა.

საკადრო პოლიტიკაზე საუბარმა ძალზე მსუბუქ ატმოსფეროში ჩაიარა და კარგა გვარიანად გაამხიარულა დეპუტატები. ხალისიანი ატმოსფერო შექმნა პარლამენტის თავმჯდომარის და სოციალისტთა ლიდერის ვახტანგ რჩეულიშვილის რეპლიკებით გაფარიკავებამ, რომელიც ზურაბ ჟვანიას სრული უპირატესობით წარიმართა. სწორედ ამ ტალღაზე დეპუტატებმა ჯერ ერთხმად მიიღეს დადგენილება, ანგარიშის მიხედვით დადებითად ეცნოთ კონტროლის პალატის მუშაობა და შემდეგ, 175 ხმით ორის წინააღმდეგ, 5 წლის ვადით რევაზ შავიშვილი დაამტკიცეს პალატის თავმჯდომარედ.

არადა, როგორც საზოგადოება, ისე, ალბათ, დეპუტატებიც იმ დილით საკმაოდ მძიმე და მწვავე განხილვისთვის ემზადებოდნენ, ყველაფერი კი, როგორც ჩანს, კარგა ხნით ადრე კულუარებში გადაწყდა. შესაძლოა, ეს სწორიცაა, რადგან კონტროლის პალატის მუშაობის ნიუანსების განხილვისას ყოველთვის რეკომენდირებული არ უნდა იყოს საჯაროობის პრინციპის დაცვა (რადგან ეს ორგანიზაცია არა მხოლოდ აკონტროლებს, არამედ მჭიდროდ თანამშრომლობს უშიშროების, თავდაცვის და შინაგან საქმეთა უწყებებთან), მაგრამ არსებობს საკითხები, რომელთა შესახებ ინფორმაცია აუცილებლად უნდა მიიღონ მოქალაქეებმა ანუ გადასახადის გადამხდელებმა.

ნათქვამის საილუსტრაციოდ ერთ ასეთ მაგალითს მოვიტანთ: კონტროლის პალატის ანგარიშში ერთი ნაწილი დათმობილი აქვს პარტიების, მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილე პირების და პრეზიდენტობის კანდიდატების მიერ საარჩევნო კამპანიისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვას. ამ მასალებით ირკვევა, რომ არჩევნებში მონაწილე 53 პარტიიდან თუ ბლოკიდან და 331 მაჟორიტარი კანდიდატიდან, არჩევნებისთვის გამოყენებული სახსრების ანგარიში წარმოადგინა მხოლოდ 29 პოლიტიკურმა ორგანიზაციამ და 45-მა კანდიდატმა. ვფიქრობთ, მოქალაქეებს აქვთ უფლება იცოდნენ: ჯერ ერთი — რა სურათს იძლევა წარმოდგენილი ანგარიშები და მეორე — რატომ არ წარმოადგინეს ანგარიშები დანარჩენებმა ან რა ბედი ეწია მათთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს. ამ და სხვა ამდაგვარ საკითხებზე სერიოზული მსჯელობა, როგორც უკვე ითქვა, იმ დღეს პარლამენტმა არ ისურვა და დეპუტატები უფრო აპლოდისმენტებისთვის იყვნენ განწყობილნი. ამიტომ შევეცადეთ, გვესარგებლა შესვენებებით, რათა ბლიცინტერვიუების საშუალებით უფრო ფართოდ და საფუძვლიანად წარმოგვეჩინა ორკვირიანი დრამატული სკანდალის პირდაპირ თუ ირიბ მონაწილეთა მოსაზრებები:

# დრამატული სკანდალის «ჰეპი-ენდი»

## რევაზ შავიშვილი: „მოსაზრება, რომ რაღაც ზესაიდუმლოს ვმალავ, მითია“

**რევაზ შავიშვილი — საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე:**

საბრძოლველად მე ყოველთვის მზად ვიყავი, განცხადება გადადგომის შესახებ სრულებით არ ნიშნავდა, რომ ბრძოლას თავს დავანებებდი. საქართველოში საქმეს რა დალევს.

კონტროლის პალატა ბევრს აკეთებს, ეს ანგარიშებში ნათლად ჩანს. სხვა საკითხია, რამდენად მაღალია ამ ანგარიშების დონე, მაგრამ სადღეისოდ იმდენად მაღალია საქართველოში დანაშაულის დონე, რომ ფაქტების მოძიება უფრო ადვილია, ვიდრე მათი დამტკიცება. ყოველი შემოწმების და ციფრის უკან ძალიან სერიოზული ხალხი დგას. თუ ყურადღებით გაეცნობით კონტროლის პალატის ანგარიშებს, არ გაგიჭირდებათ მათი ვინაობის გაშიფვრა.

კონტროლის პალატის თანამშრომლებზე ხშირია ზეწოლა და მე ვიცი ამ ფაქტების შესახებ. თუმცა, ზეწოლა არ ხდება რაღაც ეშელონების მხრიდან, რიგით რევიზორზე რიგითი ახდენს ზეწოლას, თუმცა, ვილაცის დავალებით, რა თქმა უნდა. სრულიად ცალსახად ვამბობ: არც ერთხელ არავის არ უკადრებია ჩემთვის რაიმე მითითება მოეცა. ჩემზე ზეწოლის შემთხვევაში ანგარიში არ იარსებებდა. მოსაზრება, რომ რაღაც ზესაიდუმლოს ვმალავ, მითია. მე რაც ვიცი, ყველაფერს ვამბობ. აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან არავითარი შეფერხებები არ მაქვს, თუმცა, ისიც ფაქტია, ვილაცას არ აწყობს ეს სამსახური, მაგრამ უშუალოდ შემოწმებებში შეფერხებები არ გვაქვს.

კონტროლის პალატის 1995 წლის მუშაობის შესახებ ანგარიში ვრცელია, სხდომაზე მხოლოდ ის ორგანიზაციული ღონისძიებები გამოვყავი, რომლებმაც მუშაობაში დღევანდელი დონის მიღწევის საშუალება მოგვცა. ჩვენს სისტემაში დასახვენი ბევრია, ამიტომ ვისაუბრე საკმაოდ კრიტიკულად. ვეთანხმები ოთარ მელქაძის შენიშვნებსაც, მაგრამ, როდესაც ნულიდან იწყებ მუშაობას, ძნელია ერთბაშად მაღალი დონის მიღწევა. ერთ ადგილას გაჩერებას არ ვაპირებთ, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

ძნელია იმის თქმა, რა დოკუმენტებს გულისხმობს წერილში ქალბატონი ირინა სარიშვილი-ჭანტურია. შევხვდებით და თუ აღმოჩნდება დოკუმენტი, რომელიც მე მაქვს და არ ვამხელ, გადავცემ და თავად გამოაქვეყნოს. მაგრამ არა მგონია, რომ ასეთი დოკუმენტი არსებობდეს".

**ზურაბ ჟვანია — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე:**

„ვფიქრობ, რეზო შავიშვილმა საკმაოდ დეტალურად ისაუბრა იმ მიზეზებზე, რომლებმაც მას უბიძგეს გაეკეთებინა განცხადება გადადგომის შესახებ. ძირითადად ეს იყო კონტროლის პალატის შიგნით არსებული პრობლემები. განცხადების შემდეგ რამდენჯერმე შევხვდი ბატონ რეზოს, ჩვენ უკვე შვიდი წელია საკმაოდ მეგობრული ურთიერთობები გვაქვს. პრეზიდენტი თავისთავად და ბუნებრივად, გალიზიანებული იყო იმით, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უწყების ხელმძღვანელმა, მოულოდნელად, განცხადება გააკეთა გადადგომის შესახებ. გადამწყვეტი იყო პრეზიდენტის სიტყვა, მან ძალზე მკაფიოდ, მკაცრად განაცხადა, რომ არ მიიღებს შავიშვილის გადადგომას და მას მუშაობის გაგრძელება დაავალა. კონტროლის პალატის თავმჯდომარის დღევანდელი განწყობა, ენერგიულად განაგრძოს საქმიანობა, განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტთან მისი შეხვედრით. შეხვედრაზე მათ განიხილეს პრობლემები, შედეგად დღეს წარმოდგენილია ყველა არსებული მწვავე საკითხის მოგვარების გზები. კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა პარლამენტის აქტიური მხარდაჭერა კონტროლის პალატის თავმჯდომარის მიმართ. თავმჯდომარის დამტკიცების საკითხის დღევანდელ სხდომაზე განხილვა დეპუტატების საერთო განწყობილებამ განაპირობა.

რაც უფრო მალე დასრულდება ნებისმიერი გაურკვევლობა, მით უკეთესია საქმისთვის.

კონტროლის პალატის ანგარიში პარლამენტის წინაშე პირველად იქნა წარმოდგენილი. პრაქტიკულად, ახალი ტრადიცია იქმნება და ცხადია, პირველი ანგარიში სრულყოფილი ვერ იქნებოდა. მთლიანობაში ანგარიში ძალიან დეტალური იყო. იგი ჩატარებული უზარმაზარი სამუშაოს შესახებ ნათელ წარმოდგენას ქმნის".

**ოთარ მელქაძე — პარლამენტარი:**

„მოხარული ვარ, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარე გამოჯანმრთელდა და შეძლებს მუშაობის გაგრძელებას. კონტროლის პალატის საქმიანობის სრულყოფას და შემდგომ განვითარებას კომპეტენტური პიროვნება სჭირდება. ასეთად სადღეისოდ რეზო შავიშვილი მესახება. სამომავლოდ შეიძლება დადგეს ამ სამსახურის მმართველობის შეცვლის საკითხი, მაგრამ, ამჟამად მას უნდა უხელმძღვანელოს პიროვნებამ, რომელმაც ჩამოაყალიბა სამსახური და მისი რესტრუქტურიზაცია განახორციელა. სხვა პიროვნების მოსვლა ამ სიტუაციაში უფრო დაამძიმებდა ვითარებას. რადგან თავმჯდომარე დათანხმდა მუშაობის გაგრძელებაზე, ალბათ, ჩვენს მიერ გამოთქმულ შენიშვნებსაც გაითვალისწინებს. მაგალითად, განცხადება, რომ 100 შემოწმებიდან 48 პროცენტი ადმინისტრაციული და სამართალდამცავი ორგანოების თხოვნით და დავალებით ხორციელდება, იმის მიმანიშნებელია, რომ კონტროლის პალატის ორიენტაცია არასწორია. აღნიშნულ ორგანოებს ჰყავთ შესაბამისი სტრუქტურები. სწორედ მათი გააქტიურებაა საჭირო.

კონტროლის პალატის თავმჯდომარე საპარლამენტო ორგანოს ხელმძღვანელია. ეს სამსახური დამოუკიდებელი ორგანო და ბიუჯეტის პირველი დამცველი უნდა იყოს.

ბოლო პერიოდში კონტროლის პალატის გააქტიურებამ ამ სამსახურის გარკვეულ ძალებთან დაპირისპირება გამოიწვია. ამ ძალებს აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალ შრეებშიც ჰყავთ მხარდამჭერები. კონტროლის პალატის მოხსენებითმა ბარათმა 1995 წლის ბიუჯეტის შედეგების განხილვის დროს, ეტყობა, სერიოზულად შეაშფოთა ის პიროვნებები, რომლებიც ჯერ კიდევ ახერხებენ მთელი რიგი მასალების ბლოკირებას. იმედი გვაქვს, რომ ქალბატონი ირინას ჩამობრძანების შემდეგ მოვიპოვებთ ბევრ ისეთ მასალას, რომელთა გამომზეურება სწორედ დღესაა აუცილებელი სიმართლის დასადგენად და შესაბამის განცხადებასაც გავაკეთებთ".

**ზურაბ დვალი — კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე:**

„თავისთავად, როგორც ყველა ორგანიზაციაში, კონტროლის პალატაშიც არსებობს გარკვეული პრობლემები. ეს სამსახური სახელმწიფოში უმაღლესი საკონტროლო-საფინანსო ორგანოა. რა თქმა უნდა, სხვადასხვა სტრუქტურებიდან გარკვეულ ზეწოლასაც განვიცდით — კონტროლი ბევრს არ მოსწონს. მიმაჩია, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარის განცხადებას გადადგომის შესახებ, ემოციური მუხტი ედო საფუძვლად.

პრეზიდენტის, პარლამენტის ერთსულოვანი მხარდაჭერა თავმჯდომარისადმი, კენჭისყრის შედეგები, იმის მიმანიშნებელია, რომ მხარდაჭერით სარგებლობს მთელი კონტროლის პალატა და სამსახურმა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით გაათკეცებული ენერგიით უნდა განაგრძოს მუშაობა.

მინდა კიდევ ერთხელ განვაცხადო, რომ ჩემგან, როგორც მისი გუნდის წევრისგან, მთელი სამსახურისგან, ბატონ რეზოს სრული მხარდაჭერა ექნება.

უნდა ითქვას, რომ აბსოლუტურად დახვეწილი ანგარიში არ არსებობს. სტრუქტურული პრობლემები გვაქვს, ძალზე მცირე დრო გავიდა კონტროლის პალატის შექმნიდან. ოთხი წლის მანძილზე ნულიდან შევძელით მძლავრი სისტემის შექმნა. კონტროლის პალატა პირდაპირ ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე, ამიტომ, მხარში უნდა დაუდგეს მას და, რა თქმა უნდა, ქვეყნის პრეზიდენტს. პრეზიდენტმა გამოხატა თავისი დამოკიდებულება ჩვენი სისტემის და თავმჯდომარის მიმართ. აქედან გამომდინარე, ჩვენი სამსახურეობრივი, პიროვნული და ზნეობრივი მოვალეობაა, დავეხმაროთ მას სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში".

ვფიქრობთ, მოსაზრებებთან ერთად, საზოგადოებას დაინტერესებს ქალბატონ ირინა სარიშვილი-ჭანტურიას წერილი, მითუმეტეს, რომ თავად კონტროლის პალატის თავმჯდომარემ ჩვენთან საუბარში სწორედ ამ წერილში გამოთქმულ მოწოდებაზე და თხოვნაზე გაამახვილა ყურადღება.

„საქართველოს დღევანდელი უმძიმესი სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობა ობიექტური ფაქტორების გარდა, დიდწილად განპირობებულია მრავალწლიანი კომუნისტური და ავტომატიანი კორუფციით, რომელთა შორის ძალზე მცირე განსხვავებაა და რომელიც დამანგრეველი ძალაა, ეს ჩემგან არ გესწავლებათ. ძალზე შორს რომ არ წავიდეთ, ბოლო წლების განმავლობაში მიმდინარე პროცესები რად დაჯდა და რა უჯდება საქართველოს, არც ეს უნდა იყოს თქვენთვის უცნობი. ისიც კარგადაა თქვენთვის ცნობილი, საჯაროდ გაცხადებულ სიმართლეზე დროული რეაგირება რომ ყოფილიყო, რამდენი რამ (ადამიანებზე აღარაფერს ვამბობ) გადარჩებოდა და, რაღა თქმა უნდა, არა აყვავებული, მაგრამ შედარებით ნორმალური მდგომარეობა იქნებოდა ჩვენს ქვეყანაში.

დღეს კორუფციაზე წარსულ დროში ლაპარაკი, სხვა რომ არაფერი, ძალზე ნაადრევია და უფრო თავის ან სხვისი მოტყუებაა, ვიდრე რეალურად შეფასება იმისა, რაც დღეს, ამჯერად უავტომატოდ, მაგრამ გაცილებით უფრო სერიოზული მასშტაბებით ხდება. ასეთ დროს კი კონტროლის პალატის თავმჯდომარის გადადგომა არც პროტესტია და არც ვაჟკაცობა, ეს გაქცევაა. კონტროლის პალატის თავმჯდომარე არც მინისტრია და არც ვიცეპრემიერი, რომ საერთო გადაწყვეტილებებისადმი მორჩილება ევალებოდეს. ის პარლამენტს ექვემდებარება და უკვე მერამდენე წელია, ღია ეთერით სარგებლობის უფლება აქვს. არც ავადმყოფობაა რიგიანი არგუმენტი გაქცევისთვის. ჩვენ ჩვენი მეტ-ნაკლები წილი გვიდევს საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაში და კეთილი ვინებოთ, ჯერ ქვეყანა მოვარჩინოთ და შემდეგ ვიფიქროთ საკუთარ ჯანმრთელობაზე. ისიც კარგად მესმის, რომ ვერც წინა და ვერც დღევანდელი პარლამენტი ვერ გამოდგა იმისთვის, რომ სიმართლეს დროულად დადგომოდა გვერდით. მარტო ამ უმცირესობაში დარჩენა კი, როგორც ჩანს, ბევრს აფრთხობს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჩემთვის ცნობილია, რა ინფორმაცია და რასთან დაკავშირებული მასალები აღმოჩნდა თქვენს ხელში. ჩვენც იგივე მასალებით ვსარგებლობთ, მაგრამ, ბუნებრივია, უფრო ნელი ტემპით და სწორედ სამხილთა უკმარისობის გამო, ჯერ თავს ვიკავებთ საჯარო განცხადებისგან. თქვენს ხელთ კი საკმარისზე მეტი საბუთია და თუ მაინც გადადგომა გადაწყვიტეთ, ჩვენი თხოვნაა, გადმოგვეცით მასალები და თქვენს სათქმელს ჩვენ ვიტყვით. სიმართლის თქმა არასოდეს არ არის ადრე. ის ყოველთვის დროულია, ყოველთვის აზრი აქვს და ყოველთვის, თუნდაც დაგვიანებით, შედეგს გამოიღებს. სხვა შემთხვევაში, თუკი სათქმელი არ ითქმება, მოსალოდნელი შედეგები გაცილებით უფრო საშიშია ქვეყნისთვის, ვიდრე სიმართლესთან მარტო დარჩენილი ადამიანის მდგომარეობა, თუნდაც ის ამას შეეწიროს. ჩვენი შვილების მომავალი ამად ნამდვილად ღირს".

**ხათუნა რეხვიაშვილი**

## სკანდალი

# გუშინ გაიფიცნენ მიკროავტობუსის მძღოლები

### მიზეზი? — დაპირისპირება მძღოლებსა და საგზაო პოლიციას შორის
### შედეგი? — დარბეული გაფიცვა, ნაცემი მძღოლები

პირველი გვერდიდან

გუშინ მიკროავტობუსის მძღოლების გაფიცვის მიზეზი, როგორც თავად მძღოლები აცხადებენ, ბოლო სამი დღის განმავლობაში საგზაო პოლიციელთა მხრიდან მძღოლებზე განხორციელებული „ტერორი" გახლდათ. კერძოდ: ქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, დედაქალაქში მოძრაობა აეკრძალათ იმ მიკროავტობუსებს, რომელთა საბურავები, ძრავი, ძარა, საქარე მინა თუ სხვა ტექნიკური კვანძები ვერ აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს. კოლეგიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით არც მგზავრებს და არც მძღოლებს საპრეტენზიო არაფერი უნდა ჰქონოდათ, რომ არა ერთი საგულისხმო ფაქტორი, რის გამოც გუშინ მძღოლებმა ქალაქში მოძრაობაზე უარი განაცხადეს და პროტესტის ნიშნად საკუთარი ავტომანქანებით რიყეზე მოიყარეს თავი.

მას შემდეგ, რაც მერიის დადგენილება ძალაში შევიდა, საგზაო ინსპექტორები მასიურად აჩერებენ მიკროავტობუსებს და მიუხედავად ყოველთვიური ტექნიკური დათვალიერების დამადასტურებელი საბუთის წარდგენისა, მაინც ართმევენ მართვის უფლებას ან ხსნიან ნომრებს, ხოლო ვისაც ენა უჭრის და შესაძლებლობაც აქვს, პატივცემ ინსპექტორს მასთან სადაეოც აღარაფერი უჩნდება.

პატივსაცემი პოლიციელები კი, არც ისე ცოტანი არიან ჩვენში და ასე, „ხელი ხელს ბანს და ორივე ერთად პირსო" — დევიზით სრულდება მერიის მორიგი გადაწყვეტილება.

### ტექნიკურ დათვალიერებათა მრავალსახეობა ანუ „რას მერჩოდით, რა გინდოდათ?!

კანონით გათვალისწინებულია, რომ ტექნიკურ დათვალიერებას ჩვეულებრივი ავტომანქანა წელიწადში ერთხელ, ხოლო სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალება ყოველთვიურად გადის. ამასთან დაკავშირებით, მძღოლებს საკამათო არაფერი აქვთ და ამ შემოწმებებს მიზანშეწონილადაც მიიჩნევენ, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვიური გადასახადის — 50 თეთრის ნაცვლად, უკვე თითქმის ოფიციალურად 10 ლარს იხდიან. როგორც ქალაქის საგზაო პოლიციის წარმომადგენლები ამბობენ, ის 50 თეთრი ქალაქის გზების გარემონტებას ხმარდება თურმე. ეს არაოფიციალური ათი ლარიც ყოველწლიური ტექნიკური დათვალიერების საფასურს ემატება და გამოდის, რომ მძღოლები არც თუ ისეთ „ქერის ორმოში" არიან, როგორც ჩვენ გვეგონა, არადა, მძღოლები, სწორედ დანგრეულ გზებს აბრალებენ საქარე მინების დაზიანებას, საბურავების ხშირ ცვეთას. მათი თქმით, აჯობებდა, ის 10 ლარი ვიღაცის ჯიბეში კი არ ჩადიოდეს, ოფიციალურ გადასახადად იქცეს და მართლაც გზების აღდგენა-შეკეთებას მოხმარდეს.

— მანქანას საქარე მინა აქვს დაზიანებული და ამიტომ მიშლიან მუშაობას. ნავთლუღის გზაზე დავდივარ. იმ გზაზე კი ცხენიანი კაცი ვერ გაივლის, ისეთი ორმოებია.

— 50-პროცენტიანი ნახმარი საბურავები შემოდის საზღვარგარეთიდან. იყიდება ყველგან — ბაზრობებზე, მაღაზიებში. თუ ვარგისი არაა, მაშინ რატომ არ კრძალავენ მის გაყიდვას?! ახალი ჩასმული მინა ორმოში ჩარტყმის შემდეგ იბზარება. იმის შესაძლებლობა კი სად გვაქვს, სისტემატურად 250-დოლარიანი საქარე მინა ჩავსვათ? კოოპერატივის კი, უვარგისია. გზა ცუდად ჩანს.

**— გაბზარული საქარე მინის გამო თუ ჩამოართვეს ვინმეს საბუთები?**

— ძალიან ბევრს. ნომრები და საბუთებია წაღებული. საბუთს უბრალო ქაღალდის ფურცელზე აფორმებენ, რათა მძღოლმა სახლამდე მიიყვანოს მანქანა. ეს ყველაფერი ბოლო სამი დღის განმავლობაში მოხდა.

სხვათა შორის, მერიის ზემოხსენებული დადგენილებით, შეიძლება ითქვას, კარგად ისარგებლეს მავანმა პოლიციელებმა და სამარშრუტო ხაზის ბოლო გაჩერებაზე (მაგალითად, დიღომში, მიონის მახლობლად) მიკროავტობუსების ტექნიკური გაუმართაობის მიზეზით ჯერ საბუთებს ართმევენ მძღოლებს, შემდეგ კი გარკვეული საფასურის სანაცვლოდ უბრუნებენ. და ასე მიდის ბოლო გაჩერებაზე რამდენიმე წყება წესრიგის დამცველებისა.

ისე ნუ გაიგებთ, თითქოს, ქალაქის მესვეურთა დადგენილებების თუ გადაწყვეტილებების წინააღმდეგი ვიყოთ და მის კანონიერად განხორციელებას ვუშლიდეთ ხელს, მაგრამ სხვა საქმეა, როცა მძღოლების, მოსახლეობის და თუნდაც რიყეზე მისული პოლიციელების ნერვების ხარჯზე ვიღაც მდიდრდება და უკანონობის აღმოფხვრას კი არა, დამკვიდრებას უწყობს ხელს.

ზემოჩამოთვლილ ფაქტებს ჩვენთვის კიდევ ერთი ამოუცნობი პრობლემა ემატება. მძღოლებს ეგრეთ წოდებული ავტომანქანის „პერედოკის" გადაკეთების უფლება მისცა მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა, რომლის კანონიერებასაც თავად საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოც ადასტურებს. ორჭოფული სიტუაციის გასაქარწყლებლად მძღოლის დიმიტრი მიხეილის ძე კანაშვილის მოთხოვნის პასუხად, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის გ. ცინცაძის ოფიციალურ წერილს მოვიყვანთ:

**„ავტომანქანის „რაფ 2203",სახელმწიფო ნომერი 02 57 ГЕЕ, წინა ხიდის გადაკეთების თაობაზე, გაცნობებთ, რომ საგზაო პოლიციის ხელმძღვანელობამ თბილისის საგზაო პოლიციის ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფის უფროს ცხოვრებაძესთან და მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენელთან ერთად განიხილა თქვენს მიერ დასმული საკითხი და ჩათვალა კანონიერად თქვენი ავტომანქანის წინა დამოუკიდებელი დაკიდების გადაკეთება დამოუკიდებელ ფურცლოვან რესორიან დაკიდებად მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე".**

— ახლა რომ გვაჩერებენ და გვეუბნებიან, ეს საბუთი არ გვაინტერესებსო, როგორ მოვიქცეთ? გადაკეთებაში ფული გადავიხადეთ და ახლა გვეუბნებიან, არ შეიძლება და ისევ უნდა გადმოაკეთოთო. არადა, გადმოკეთების შემთხვევაში, მანქანა უვარგისი გახდება, — **ჩივიან მძღოლები.**



**პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ პოლიცია ასეთი გადაკეთებული სამარშრუტო მანქანების შეზღუდვას ცდილობს, რომელიც სამგზავროდ თავადვე დააკანონა. ასეთი მანქანა თბილისში ორასამდეა. მძღოლებს ამასთან დაკავშირებითაც აქვთ საკუთარი მოსაზრება:** „ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე უნდათ ამ მანქანების ამოღება და თავიანთი ვიღაცეების ხაზზე შეყვანა".

**რაც შეეხება გავრცელებულ ხმას ქალაქში ლიცენზირების გარეშე მოძრავი მიკროავტობუსების შესახებ, როცა რიყეზე შეკრებილი ამდენი მიკროავტობუსი ერთად ვიხილეთ, გადავწყვიტეთ ესეც გადაგვემოწმებინა, მაგრამ ჩვენდა გასაოცრად, ულიცენზიო მძღოლი ვერ აღმოვაჩინეთ. ლიცენზიის მისაღებად ყოველთვიური ოფიციალური გადასახადი სულ 28 ლარი და 60 თეთრია და ამდენად, პოლიციასთან ზედმეტი დავიდარაბის თავიდან ასაცილებლად, მძღოლები უყოყმანოდ იღებენ ქალაქში მოძრაობის ნებართვას.**

### „ტრანსპორტი, რომელიც ქალაქს ემსახურება, უნდა შეესაბამებოდეს დედაქალაქის პირობებს"

**განგვიცხადა ქალაქის საგზაო პოლიციის უფროსის მოადგილემ როლანდ ნაჭყებიამ:**

„ბოლო ხანს დაღუპული რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე, მძღოლების და საგზაო პოლიციის კისერზეა. დროზე უნდა მოეღოს ბოლო განუკითხაობას. წლევანდლამდე მოუწესრიგებული იყო ტექნიკური დათვალიერების საკითხი. არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ არც ერთ გამონაკლისს, რომ ვინმეს ზარით ან თხოვნით ჩვენგან გაეიდეს თუნდაც ერთი ოქმი ან ნომერი. ტექნიკურად გაუმართავი მანქანები ქალაქში ვერ იმოძრავებენ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ და მძღოლები ერთმანეთის მტრები უნდა გავხდეთ. ჩვენ მძღოლების მიმართ უკანონობას არ დავუშვებთ. ვიმოქმედებთ კანონის ფარგლებში".

**როლანდ ნაჭყებიას თქმით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მიკროავტობუსებს მიეცათ ოდნავ გაბზარული მინებით და შეცვლილი დამოუკიდებელი ფურცლოვანი რესორებიანი საკიდარით მოძრაობის უფლება, ისიც იმ შემთხვევაში, თუ წესრიგში იქნება მანქანის სხვა ტექნიკური მხარე — სკამები, სარკე, საბურავები. მანვე მძღოლებს განუცხადა, რომ ტექნიკური დათვალიერებისას არანაირი შეღავათები არ გავრცელდება საბურავებთან დაკავშირებით, რამაც მძღოლთა ხელახალი უკმაყოფილება გამოიწვია.** „40 თეთრი მგზავრობის საფასური ვერ გასწვდება სამ თვეში ერთხელ 150 ლარად ღირებული საბურავების შეძენას. მგზავრობის ღირებულების გაზრდა კი მოსახლეობის უკმაყოფილებას გამოიწვევს, რაც ჩვენთვისაც ნაკლებ ხელსაყრელია", — **აცხადებენ ისინი.**

**ქალაქის საგზაო პოლიციის უფროსის მოადგილე მძღოლებს დაჰპირდა, რომ ჩამორთმეულ საბუთებს დაუბრუნებდნენ, თანაც მძღოლებს ოქმში მითითებული ყველა ხარვეზის გასწორება და სამუშაოზე გამოსვლა მოსთხოვა.**

**მიღებულმა გადაწყვეტილებამ, როგორც ჩანს, სრულად ვერ დააკმაყოფილა მძღოლების მოთხოვნები და გაფიცულებმა აქციის გაგრძელება ქალაქის მერიის წინ გადაწყვიტეს, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა თავისუფლების მოედანზე ტრანსპორტის მოძრაობა. მერიის წინ შკრებილი მძღოლები კი სპეცდანიშნულების რაზმის გამოჩენაზე იძულებულნი შეიქნენ თავდაპირველი დისლოკაციის ადგილს — რიყეს დაბრუნებოდნენ.**

**როგორც „თბილტრანსის" უფროსის მოადგილემ დავით ბალუაშვილმა გვითხრა, დღევანდელი სიტუაცია გამოწვეულია არა მხოლოდ „თბილტრანსის", არამედ ბევრი რგოლის დანაშაულით.** „მერიის კოლეგიამ გამოიტანა არა ის დადგენილება, რომ მძღოლებს დავერიოთ და ავაწიოკოთ, არამედ ის, რომ წესრიგი და კანონიერება დავამყაროთ. ჩვენ კი ამ დადგენილების შინაარსი ქართულად გავიგეთ, ისე, როგორც ვიცით ხოლმე და დავეტაკეთ ამ ხალხს, თუმცა არც კი ვიცით, რაზე ვეჩხუბებით. აუცილებელია შეიქმნას კომისია, რომელიც მძღოლებს განუმარტავს, რას მოვითხოვთ მათგან და რა გვინდა საერთოდ. სხვა შემთხვევაში, ძალისმიერი გზით პრობლემის მოგვარება, შეუძლებელია", — **ბრძანა ბატონმა დავითმა. მისი თქმით, დღეს ყველამ, პარიკმახერმაც და გინეკოლოგმაც, მიკროავტობუსი იყიდა და მუშაობს. ახლა ისინი გაიცხრილებიან და ნამდვილი პროფესიონალი მძღოლები დარჩებიან.**

**და ვიდრე ქალაქის საგზაო პოლიციის უფროსი როლანდ ჩარგეიშვილი განგვიმარტავდა, რომ პოლიცია და მძღოლები ყოველთვის მეგობრები იყვნენ და მეგობრებადვე დარჩებიან, მანამ სპეცდანიშნულების რაზმელები აქა-იქ შემორჩენილ მიკროავტობუსებს საბურავებს უშვებდნენ და მძღოლებს ფიზიკურად და სიტყვიერად უსწორდებოდნენ.**

**როგორც გუშინვე გახდა ცნობილი, არც ერთი გაფიცული მიკროავტობუსის მძღოლი სამუშაოდ არ გასულა. ჯერჯერობით, გაურკვეველია, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ მძღოლები.**

**შექმნილმა რეალურმა სურათმა დაგვანახა, რომ აუცილებელია, დაუყოვნებლივ გატარდეს ღონისძიებები, პირველ ყოვლისა, ტექნიკური დათვალიერების მოსაწესრიგებლად, ვინაიდან, ამ სფეროში რომ საქმე საათივით გვქონოდა აწყობილი, მძღოლების საპროტესტო აქციასაც თავიდან ავიცილებდით და მერიასაც არ დასჭირდებოდა დამატებითი ღონისძიებების გატარება.**

**მაგრამ სხვა საქმეა, ყველაფერი რომ წესრიგში ყოფილიყო, მაშინ ყოველთვიური ტექდათვალიერების საფასურს — 50 თეთრის სანაცვლოდ ვინღა აიღებდა არაოფიციალურ 10 ლარს, თანაც იმ პოლიციელის მდგომარეობაც ხომ „გულთან ახლოსაა მისატანი", რომელსაც, ქალაქის საგზაო პოლიციის უფროსის თქმით, ორი თვეა, ხელფასი არ აუღია.**

დიანა ბაბროშვილი
სოსო ბარნაბიშვილი

---

საზღვარგარეთი

## ზიუგანოვი ღამის კლუბში „ნადიმობ...

რუსეთის კომუნისტური პარტიის ...
დერი და პრეზიდენტობის კანდიდატ...
დი ზიუგანოვი ყოველ ღონეს ხმა...
რათა საპრეზიდენტო არჩევნების მ...
ტურში რაც შეიძლება კარგად წარ...
ამომრჩეველთა წინაშე. თავისი 52 ...
იუბილეს აღსანიშნავად, ზიუგანოვმა ...
კოვის ერთ-ერთი ღამის კლუბი დაიქ...
აშკარა ხდება, რომ კომუნისტთა ლი...
ყოველნაირად ცდილობს განიმტკიცო...
რყეული იმიჯი და რეპუტაცია.



არჩევნების მეორე ტურამდე ...
რაღაც რამდენიმე დღე დარჩა. მიმომ...
ველთა აზრით, ზიუგანოვმა ის ხმებ...
დაკარგა, რომლებიც მან პირველი ტ...
დროს მოიპოვა. ეს, რაღა თქმა უნდა, ...
ცინის წისქვილზე ასხამს წყალს და „...
უხეთქავს" კომუნისტთა ლიდერს.

## რუსები ჩეჩნეთიდან გადი...

გუშინ ჩეჩნეთიდან რუსეთის შე...
ღებული ძალების 245-ე მოტომსრო...
პოლკის გაყვანა დაიწყო.

ეს პოლკი წელიწადნახევრის მან...
ზე, ძირითადად, შატოის მთიან რა...
იმყოფებოდა (სწორედ აქ მოეწყო ...
პირველ სამშვიდობო ოქმს ადგილო...
ადმინისტრაციასა და ფედერალურ ძ...
შორის). ამიერიდან მოტომსროლე...
„ევაკუირებული" პოლკი თავისი თავ...
რველი დისლოკაციის ადგილს, ნიჟნი ნ...
გოროდს, დაუბრუნდება.

## დოკუ ზავგაევზე თავდასხმის მცდელობა აღიკვეთა



გუშინ ცნობილი გახდა ჩეჩ...
ხრორუსული მთავრობის მეთაურ დ...
ზავგაევზე თავდასხმის ფაქტი — ხ...
ბათს, იმ გზაზე, სადაც მის მანქანას ...
გაევლო, დააკავეს პირები, რომლებიც ...
რაქტის მოწყობას აპირებდნენ. ...
ლი ღონისძიებების შედეგად, ამოღე...
ხუთი ფუგასური ბომბი, რომლებიც ...
ტანილთ აღმოაჩნდათ.

## ტერაქტი ნალჩიკ...

გუშინ დილით, ყაბარდო-ბალყარ...
დედაქალაქ ნალჩიკში აფეთქდა სამგზ...
ავტობუსი. ასაფეთქებელი მოწყობი...
ამოქმედდა 10 საათსა და 30 წუთზე. ...
მინერალური წყლების სატრანსპორ...
ურნეობის კუთვნილი ავტობუსი ვლ...
ვკაზისკენ დაიძრა.

წინასწარი მონაცემებით, და...
ხუთი ადამიანი, 24 კი სხვადასხვა ხა...
ჭრილობებით, ჰოსპიტალიზირებულ...
თხვევის ადგილზე მუშაობს ოპერატ...
საგამომძიებლო ჯგუფი.

«კავკასიონის» ლიტერატურული გაზეთი

# არილი

29 ივნისი, 1996 წ.

## ვახტანგ კომახიძე

პოეზია



IV

# ადამიანები და ფრინველები

თვალსაზრისი

## ზურაბ კიკნაძე

# «მო, დავსხდეთ ტარიელისთვის»



II

შთაბეჭდილება

## ზაზა თვარაძის მოთხრობა

# «სიტყვები»

VII

### გასწორება

„არილის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული ტ. ს. ელიოტის თარგმანი ეკუთვნის ზვიად რატიანს

## გიორგი ლობჟანიძე

### ნამსხვრევები

პოეზია

რისი ლექსები? —
ნამსხვრევებია,
რაც გადაურჩა
ცხოვრების წადილს;
ხოლო ეს კაცი
ამ ნამსხვრევებზე
მუდამ შიშველი
ფეხებით დადის.
რის სიყვარული? —
ნამსხვრევებია
იმ ლაჟვარდების კალთის
და იმ ცის
და წარსულის მზე
თუ გადმოხედავთ,
მხოლოდ მაშინღა
იწყებენ ციმციმს.
რის მონატრება? —
ნამსხვრევებია
გაძლებისა და ხიმტკიცის კირის
დგას კაცი ჩუმად,
ზურგშექცეული,
მხრების ცახცახით
იკავებს ტირილს.

რისი ღიმილი? —
ნამსხვრევებია
ერთი ცხოვრების სიიაფემდე
და იღიმება კაცი,
თითქოსდა,
ტუჩის კუთხესთან
ჭინჭარს აფენენ.



III

რაკურსი

# XX საუკუნის რუსული პოეზია



მაქსიმილიან ვოლოშინი

ნიკოლაი გუმილიოვი

ოსიპ მანდელშტამი

მარინა ცვეტაევა

VI VII

### ახალი თარგმანები




ძალიან პატარა ვიყავი. გვრიტზე პატარა და ჭიანჭველაზეც პატარა. ვრცელ მინდორს მივუყვებოდი, ჩემი თვალის გუგებზე ვრცელ მინდორს. ამ უკიდეგანო მინდორს არც თვალსაწიერი გააჩნდა და არც ზეცა ფარავდა. შეიძლება ითქვას, მას ჩემსავით, არც პერანგი ეცვა და არც რამ თავსაბურავი ეხურა. ერთი სიტყვით, შიშველი იყო, ტიტლიკანა. ხამგიერად, ამ მინდორზე, გადაფურცლული ბიბლია იდო. ფლოქვებით, ჩლიქებით, აბელისა და კაენის მტაცებლური კლანჭებით გადაფხაჭნილ-გადაკაწრული ბიბლია.

ამ მინდორზე, უფრო ზუსტად კი, ზედ გადაფურცლულ ბიბლიაზე მომავალ ორ ძმას მოვკარი თვალი. ერთ-ერთ მათგანს ლაფანით ფეხებგაკოჭილი კრავი მხარზე მოეგდო, მეორეს კი, ხორბლით, ქერითა და ფეტვით სავსე ტომსიკები მოჰქონდა. გასცდნენ თუ არა მინდორს, უფრო ზუსტად კი, მასზე გადაფურცლულ ბიბლიას, თავზე რამდენიმე ფრთოსანმა გადაუფრინათ, ფეხქვეშ კი, ბალახებში, მძინარე ცხოველები და თვით ამ ცხოველებზე ბევრად დიდი ჩრდილები გაუსხლტათ.

მინდვრიდან, უფრო ზუსტად კი, მასზე გადაფურცლული ბიბლიიდან საკმაოდ მოშორებულ კვრინჩხნარს მიუახლოვდნენ თუ არა, ერთმა მარცვლეულიანი ტომსიკები ბალახზე მიყარა, მეორემ კი მხარზე მოგდებული ბატკანი დაბლა ჩამოსვა. ლაფანით გაკოჭილი ფეხები გაუხსნეს და იქვე მდელოზე გაუშვეს. უმალვე კვრინჩხის ტოტებისა და ხმელი ბალახბულახის შეგროვებას შეუდგნენ. ტოტებისა და ბალახის მოზრდილი ზვინი შეაქუჩეს. მერე მარცვლეულით სავსე ტომსიკები აიღეს, და ხორბალი, ქერი და ფეტვი ზვინს ზედ მოაყარეს. მდელოზე გაშვებული კრავი მოიყვანეს, ყელი გამოჭრეს და იქვე დადეს. თიხის ქოთანში მოგროვილი კრავის სისხლი

### კოლონური მოთხრობა

კვრინჩხის ტოტებსა და ბალახეულს აპკურეს. ამის შემდეგ ცეცხლი გააჩაღეს და ფიჩხი შეუკეთეს.

აგიზგიზებულ კოცონთან ჩაიმუხლეს. ლოცვას შეუდგნენ. ლოცვით გამოუხმეს ცეცხლის ალში გახვეულ ბებერ ღმერთს. მაგრამ ბებერი ღმერთის გამოჩენაზე მეტად ამ კოცონის მილმა, მოშიშვლებული მინდვრის მახლობლად, უფრო ზუსტად კი, ამ მინდორზე გადაფურცლული ბიბლიის მახლობლად მდგარი ვაშლის ხის, სამოთხის ბაღიდან გადარჩენილი ერთადერთი ვაშლის ხის დანახვა სურდათ. თანაც, იმ ხის ქვეშ გოგონა უნდა დაენახათ, წითელი ვაშლებით დახუნძლულ ვარჯებს ქვებსა და მოკლე-მოკლე ჯოხებს რომ ესროდა. მაგრამ, ასე მუხლმოყრილი ბებერი

V

# „მო, დავსხდეთ ტარიელისთვის..."

ტარიელის გასაჭირი მის დაბადებამდე იწყება. შესაძლოა, უფრო ადრე, უფრო შორიდანაც იწყებოდეს და ქვეყნის ბედს ეჯაჭვებოდეს. შესაძლოა, იწყებოდეს იმ ხანაში, როცა დაიწყო ინდოეთის შვიდი სამეფოს ერთმანეთის მიყოლებით შთანთქმა ერთ სამეფოში, და თვითმპყრობელი სხვა თვითმპყრობლის „ნებაყოფლობითი" ქვეშევრდომი ხდება. ეს არაწესი, როგორც აღმოცენებული თესლი, თავს იჩენს სარიდანის „გადაწყვეტილებაში" ჩაბარდეს ფარსადანს და გამოიღებს პირველ კვირტს სამეფო კარზე, სადაც ტარიელი, უკანასკნელი მსხვერპლი ამ წესადქცეული არაწესისა, ერთხანს უფლისწულად იზრდება და მერე მამასთან აბრუნებენ, მაგრამ ის მაინც ვერ განიცდის ნაყოფის სიმწარეს. ბოლოს კი „პირგამეხებული ვეფხვის" რჩევით „მართალი ჴამართლის" აღსრულებამ სიმართლე გამოააშკარავა. მას კი ყველაფერი დააკარგვინა — სამშობლოც, ტახტიც და მისი თავიც. ამ დროს მის ტრაგიკულ განწყობილებას უნდა გამოხატავდეს სიტყვები იმ უფლისწულისა, რომელსაც ასევე დაკარგული აქვს ტახტი და გართულია თავის უგზოუკვლო ფიქრებში: „დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე მარგუნა მისი შეკვრა!" ეს არის იგავი იმ შვილის მდგომარეობისა, რომელიც ეძებს მამას, მაგრამ არა სხვაგან სადმე, არამედ საკუთარ თავში. ესენი არიან ШВИЛНИ, რომელნიც ვერ გამხდარან მამა და, თუმცა მათ შეგნებაში ღვიძავს МАМОБАს, მაგრამ გამეფებულ სინამდვილეში მას საყრდენი არა აქვს. ეს უმწეო ყოფაა, რადგან შვილი, როგორც ШВИЛИ, ეფემერულია, გარდამავალია. ШВИЛОБАს არა აქვს სიმკვიდრე, მამობა კი მკვიდრია და საფუძვლიანი, როგორც ის ტახტი, რომელზეც ზის მამა, როცა ის ხელმწიფეა, ვიდრე ჩამოვიდოდეს შვილისთვის ადგილის დასათმობად, ДРОТА КАВШИРИს შესაკვრელად.

ფინიკიურ მითოსში მამაღმერთი — „მეუფე წელიწადთა" ტახტზე ზის. მისი ძე გარეთ არის გასული. ის იქნებ დევნილიც იყოს. ის წუთისოფელშია, წუთისოფლის ბრუნვას დამორჩილებული. ის იზრდება, წლები ემატება. როცა წელიწადი ბოლოებს შეიკრავს, მელკართი, ძე მამისა, ბრუნდება ტახტის დასაკავებლად, რადგან მამამ სრულად გასცა წლები და თავი ამოწურა. ახლა მელკართი იწოდება „მეუფედ წელიწადთა" და, კვლავ იბადება სხვა მელკართი, ძე მამისა, „მამის სხვა", რომელიც წუთისოფლის წესისამებრ სტოვებს ქალაქს და ყველაფერი თავიდან იწყება, თუ მოხდა ისე, რომ მელკართი აღარ დაბრუნდა და ტახტი ცარიელი დარჩა, ДРОТА КАВШИРИ დაირღვევა და ქვეყანა ქაოსში დაინთქმება. ასეა ინდოეთში: მამას ძე და ძეს მამა დაკარგული ჰყავს. ძე გარეთ არის გასული, უდაბნოში ხეტიალობს.

ინდოეთში ყველაფერი უწესოდ ხდება: იქ ისე არ იქცევიან, როგორც არაბეთის კარზე. ამ კარის წესი კი სამაგალითოა, რომლის ყაიდაზე უნდა იყოს აწყობილი ყოველი სამეფო კარი. პოემა ხომ არაბეთის კარით იწყება: „იყო არაბეთს..." ეს ИЈО ნამდვილი, ჯეროვანი არსებობის გამომხატველია. არაბეთის კარის ამბავს გვიამბობს თავად ავტორი, რომელიც შემოქმედის კვალზე ქმნის არაბეთს, როგორც სრულყოფილი ქვეყნის ხატებას, და ტახტზე — მის ხელმწიფეს, სრულყოფილს ხელმწიფეთა შორის. არაბეთის კარი ჰარმონიული სამყაროს სახეა, ხოლო მისი მეფე — ღვთისა. არაბეთის კარზე ყველაფერი განსრულებისკენ მიდის. საბოლოო დღის, ქორწილის დღისკენ და ასეც მოხდებოდა, და ამბავიც დასასრულს აქ ჰპოვებდა, რომ არ გამოჩენილიყო უცხო მოყმე თავისი უარაკობით — როსტევანის ჭმუნვის მიზეზი. თავად მსხვერპლი განწყვეტილი ДРОТА КАВШИРИსა.

აქ უნდა შევნიშნოთ: ალბათ არ არის შემთხვევითი, რომ არაბეთის ამბავს, როგორც ჯეროვანი ქვეყნისა, თავად ავტორი გვამცნობს. მაგრამ იმ ქვეყნის ამბავი, რომელშიც ჯეროვანი არ არის განხორციელებული, პერსონაჟის პირით არის გადმოცემული, მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამ დროს, ცხადია, ობიექტურობა თხრობისა ნაკლებად მოსალოდნელია, ამ დროს ობიექტურობის ხარისხი დაცემულია. ავტორისეული ნათლად ჭვრეტა და სინამდვილის ყოვლისმომცველი აღქმა ტარიელის უნარს აღემატება. ის იმგვარად აღიქვამს სინამდვილის ფაქტებს, როგორც მხოლოდ ტრაგიკული გმირი შეიძლება აღიქვამდეს. მთავარი კი ის არის, რომ ტარიელი გვიამბობს სინამდვილის იმ ვერსიას, რომელიც მან ფარსადანის კარზე მოისმინა.

მაინც რას გვიამბობს ტარიელი. რა იცის მან თავისი მამის, თავისი სამშობლოს შესახებ ან იმ ამბის შესახებ, რომელსაც მისი ცნობიერება არ მოსწრებია?

ტარიელი უამბობს ავთანდილს, რომ მას ჰყავდა ხელმწიფე მამა, რომელსაც „ვერავინ ჰკადრებდა წყენასა", რომ ის „მორჭმით" იჯდა, ანუ როგორც მეფე, სარიდანი ფარსადანზე ნაკლები არ ყოფილა — ისიც თვითმპყრობელი იყო. მაშ, როგორ მოხდა, რომ სარიდანს თავისი თვითმპყრობელობა, რომელიც ღვთისგან ჰქონდა მონიჭებული და თავადაც იყო „სხვათა მის მიერითა", სხვა მეფის ქვეშევრდომობაში, თუნდაც ამირბარობაში, გაეცვალა?

ტარიელი გვიამბობს ამას, რაც მას გადმოეცა, ერთ მშვენიერ დღეს სარიდანს უთქვამს: „მაგრამ და მეფესა ფარსადანს შევეწყნარები", და როდის? — როცა მიღწეულია მეფის მიზანი: ქვეყნის ყველა მტერი ძლეულია. „მებრძოლთა მზარავმა" სარიდანმა თავისი სამეფო გადაულოცა ფარსადანს. ტარიელის მონათხრობიდან არ ჩანს, რომ ეს აქტი — სუვერენობის მსხვერპლად გაღება რაიმე უფრო მაღალი მიზნის მისაღწევად მოხდა, ვიდრე მეფობაა, თუნდაც ეს ერთი მცირე სამეფოს მეფობა იყოს. ტარიელმა იცის ერთადერთი მოტივი, რამაც დაათმობინა სარიდანს მეფობა: „ხალვა მოსძულდა, შექმნა გულს კაეშანთა ჯარები", სარიდანს თითქოს მარტოობის ექსისტენციალური შიში დაუფლებია, ან თითქოს ამქვეყნიური, სახელმწიფო საზრუნავი ამაოებად მოსჩვენებია, გული გასტეხია — მაგრამ სარიდანი ხომ კვლავ მოღვაწეობს, ოღონდ ახლა სხვას ემსახურება, ერთი საფეხურით ჩამოქვეითებული? საკითხავია, თუ მომხდარა, რომ ვისმე ოდესმე შთამომავლობითი მეფობა საკუთარი ნებით გაეცვალოს სხვა მეფის სამსახურზე? და რისთვის, რა მიზნით? თურმე უთქვამს: „სახელი დარჩეს ჩემისა ერთგულად ნამსახურისა". მეფე სარიდანი სახელს ეძებდა? თითქოს მეფობა ყოველ სახელზე მეტი არ ყოფილიყო. ნუთუ როცა მეფეყოფილმა ამირბარმა მოისმინა, თუ ნამდვილად მოისმინა, სიტყვები „ჩემებრი ამირბარი, ნაძლევი ვარ, ვისმცა ჰყავსა", არ მოეჩვენა ირონიად? ტარიელი კი ნამდვილად, როცა იმეორებს ამ სიტყვებს, ირონიად ვერ აღიქვამს მათ. ფარსადანს უთქვამს სარიდანისთვის: „აწ მოდი, ასრე ჰატივ გცე, ვითა მამამან მშობელმან"? თუ მომხდარა, რომ თავად МАМА შევრდომოდეს სხვა მამას, როგორც ШВИЛИ, და საკუთარი МАМОБИს დათმობით თავისი შვილისთვის МАМОБА წაერთმიოს, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა? როგორ ჩამოქვეითდა მამა შვილად ანუ პატრონი ყმად?

მეშვიდე, უკანასკნელი დამოუკიდებელი სამეფოს მიერთების შემდეგ იწყება ტარიელის ორჭოფული მდგომარეობა. მას ჯერ თითქოს სრულიად ინდოეთის ტახტის მემკვიდრედ ამზადებენ, შესაძლოა, იმ პირობისამებრ, რომელიც სამეფოს ჩაბარების სანაცვლოდ აღუთქვეს მამამისს, მაგრამ ასულის შეძენისთანავე ტარიელს მამასთან გზავნიან, მერე სრულიად ივიწყებენ პირობას და ნესტანის საქმროზე და ინდოეთის მომავალ პატრონზე დაიწყებენ ზრუნვას, ვინაიდან ვინც ნესტანს შეირთავს, ინდოეთის ტახტიც მისი იქნება, რაკი ნესტანი და ტახტი განუყოფელია. ეს უკანასკნელი ჭეშმარიტება უცნობი იყო ტარიელისთვის: ვერ ვხედავთ, რომ მას მეფობის პრეტენზია ჰქონოდა. მას არაფერი უნდოდა ამ ქვეყნად, მას ერთადერთი ნესტანი სურდა, ვისთვისაც ის მთელს სამეფოს გასცემდა მიჯნურთა წესით, მაგრამ მეფეთა წესისგან ასეთი საქციელი შორს იქნებოდა.

აშბოხებული ნაუფლისწულარი, რომელშიც ნესტანის შეგონებით გაიღვიძა მეფობის სურვილმა, ტრაგიკულად ცდება, როცა მეორე უკიდურესობაში გადავარდნილი მიაძახებს ფარსადანს: „შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე! ინდოეთი ჩემი არის, არვის მისცე ჩემგან კიდე..." ცდება, როცა მოწყვეტს ერთმანეთისგან სამეფოს და ნესტანს — ამ დასაბამიერ მთლიანობას. როგორ იქნება მისი ინდოეთი, თუ ნესტანზე უარს იტყვის? ტარიელმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ ნესტანი, გარდა იმისა, რომ მისი სატრფოა, ის ხორცშესხმული სამეფო გვირგვინია. და მან ერთდროულად უნდა მოიპოვოს ტახტიც და სატრფოც. მაგრამ მან ეს არ იცის, რადგან მისი მეფური აღზრდა ფარსადანის კარზე შეწყდა, არ დასრულებულა.

ტარიელის ხსნა — აღდგენა ДРОТА КАВШИРИსა არაბეთიდან უნდა მოვიდეს, რადგან არაბეთი მაგალითია, ის წესრიგიანი ქვეყანაა, ის ჭეშმარიტი და ჭეშმარიტების სამეფოა. იმ სახელმწიფოებრივ ზეიმს, რაც ხდება არაბეთის კარზე, ესქატოლოგიური იერი აქვს: რითაც იწყება პოემა, იმითვე უნდა დასრულდეს. და ეს მაგალითია, როგორც ანდრეზი, ინდოეთისთვის: ახალი მეფე უნდა გამეფდეს ინდოეთშიც. უნდა შეიცვალოს თაობა, თუ მელკართი ცოცხალია და უკან ბრუნდება, არაბეთის კარზე ჩვენ დავესწარით იმ მნიშვნელოვან ჟამს, როცა მეფობა დაუბრკოლებლივ, ანდრეზული წესით გადავიდა მამიდან შვილზე. „წელიწადის მეუფე", რომელსაც „სიბერე ახლავს", ჩამოვიდა ტახტიდან და გაამეფა მოწიფული ძე, „თუცა ქალია".

მეფობის გადაცემას ზეიმობს არაბეთის კარი. მაგრამ ეს აქტი არ ყოფილა მხოლოდ გვირგვინის გადანაცვლება ერთი თავიდან მეორეზე. ამ დროს მეფობასთან ერთად გადადის, თავის გზას აგრძელებს უხსოვარი დროიდან დაძრული სიბრძნე. სიბრძნე გადადის ШВИЛШИ, არა ერთი მამის, როსტევანის, პირადი სიბრძნე, არამედ МАМАТА თაობებში გამოტარებული უსახელო სიბრძნე. დასაბამიერი სიბრძნე — სოფია გამოძახილს პოულობს ახალ МАМАШИ, რომელიც უფლისწულია მის მისაღებად: „ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა" და მზად არის მის განსახორციელებლად: „ვიქმ საქმესა, მამისაგან სწავლებულსა".

ასე ხდება არაბეთში, ამიტომაც ყვავის არაბეთი, როგორც ახლადშექმნილი ქვეყანა. ახალი მეფის გამეფება გაზაფხულია, ინდოეთში კი ზამთარი დგას. ფარსადანს არ აღუსრულებია სამეფო ვალი ტახტისა და სიბრძნის გადაცემისა. აშკარაა მისი ყალბი, ორჭოფული მდგომარეობა, მაგრამ პოემის ავტორი არ კიცხავს მას, ის ვერ შეჰბედავს მეფეს, ვერ განსჯის მას. ფარსადანის არამეფური (არაროსტევანული) საქციელი მას ნაჩვენები აქვს ტარიელის უკულმართი ბედით; ტარიელის პიროვნულ ტრაგედიაში უკუფენილია ინდოეთის სამეფო კარზე მიღებული „მართალი სამართლის" მანკიერი პოლიტიკა. ამ პოლიტიკის შედეგია მხეცქმნილი ტარიელი. ფარსადანი ვერ გადასცემს სიბრძნეს, მამათა ანდერძი დამუნჯებულია. ის ზის ტახტზე დახავსებული, ანაქრონიული „მეუფე წელიწადთა", მემკვიდრე კი გადაკარგულია.

ეს მემკვიდრე ამოვარდნილია თაობათა ჯაჭვიდან. ის, ავთანდილის ანტიპოდი, მოწყვეტილია არათუ ტახტსა და სამშობლოს, და ნესტანს, არამედ მთელ კაცობრიობას და თითქოს გადასროლილია ისტორიის მიღმა, უანდრეზო ხანაში, როცა ჯერ კიდევ არაფერი არ იყო დაწყებული. მას ესიზმრება თავისი თავი მხეცად და სიცოცხლეს უსწრაფებს ვეფხვს, რომელიც სატრფოდ ეჩვენება, და მერე მის ტყავში ეხვევა. ის იღუპება, თითქმის უიმედოა მისი გამობრუნება. მას დავიწყებული აქვს თავისი უფლისწულობაც. ერთ ბრძენს უკითხავს: როდის ჩანს სატანის ყველაზე დიდი სიბოროტე? პასუხიც გაუცია: როცა ადამიანს დავიწყებული აქვს, რომ ის უფლისწულია.

უდაბნოს ტყვეს, გამოქვაბულის მკვიდრს, ხსნა უნდა, მით უფრო, რომ ის მეფეა. მასთან მიდის მოყმე სხვა სამყაროდან და მიაქვს სიბრძნე, იგავებად დაწნეხილი მამათა ანდერძი. ეს სიბრძნე არსებობდა არაბეთის კარზე დღიდან მისი დაფუძნებისა და წარმართავდა მის ისტორიას, რათა ყველაფერი ისე მომხდარიყო, როგორც ერთხელ, „მას ჟამსა შინა" მოხდა, რომ არაფერი „უარაკო", „უსახო", უანდრეზო არ მომხდარიყო.

ამ სიბრძნეს მოკლებულია ინდოეთი და იგი უნდა აპოვნინოს ავთანდილმა მის კანონიერ პატრონს.

პოემაში ავთანდილს აკისრია სიბრძნის სხვისთვის გადაცემის მისია, ამიტომაც ის ერთადერთია, რომელიც წერს ანდერძს, თუმცა მას არ უნდა ეკუთვნოდეს ანდერძის წერა. ნაცვლად იმისა, რომ ანდერძი თავისი ბუნებრივი, დაღმავალი გზით გადადიოდეს მამიდან შვილზე, ჩვენ ვხედავთ, რომ იგი აღმა მიემართება შვილიდან მამისაკენ. ასეთი ანომალია, ეს უანდრეზობა, არაბეთის ცხოვრებაში „უცხო მოყმის" შემოჭრამ გამოიწვია. შვილი მიდის, თითქოს კვდებოდეს, და სიკვდილის წინ მოძღვრავს მამას. როსტევანი თავისი მამისგან მოსმენილს კვლავ ისმენს შვილისგან. განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ავთანდილის ანდერძში ის ამოიკითხავდა რაიმე ახალ, გაუგონარ სიბრძნეს, და არა იმას, რომელიც განუწყვეტლივ მოედინება თაობებში და არასოდეს ჰქონია დასაბამი, როგორც სიტყვას, რომელიც „იყო ღვთისა თანა", არსებულს ადამიანამდე ადამიანისთვის, მის გადასარჩენად ამ წუთისოფელში, რომელიც „ბოროტსა ზედა დგას"?

ეს სიტყვა დაიხსნის ნესტანს და აიყვანს ტარიელს აღთქმულ ტახტზე, აღუდგენს რა დავიწყებულ უფლისწულობას. ეს სიტყვა დაასრულებს ხეტიალს ქორწილით, გაამართლებს ყველა მოლოდინს და მოსწმენდს ყველას განშორების ცრემლს, და გაფანტავს იმ ბნელს, ნათელს რომ ახლავს, და განაქარვებს მეფის ჭმუნვასაც და ეჭვებს „უცხო მოყმის" გამო, რომლის გამოჩენით დაიწყო ეს ამბავი.



1983-1996

ზურაბ კიკნაძე

# გიორგი ლობჟანიძე

## სიჩუმის წინ

გიცდი და ვიცი ეს მოლოდინი
გადამექცევა ყულფად თუ თოკად,
მე დუმილმა მშვა, როგორც მგლის ლეკვი
და ახლა მგლური ალერსით მლოკავს.
ალბათ, არც მე ვარ ▪ე მართალი
და ეს დუმილიც ბინძურად ტყუის,
მანამდე, ვიდრე ფეხზე ბარბაცით
წამოვდგები და გავაბამ ყმუილს.
ვფიქრობ(?)... ვიმუვლებ, ბედმა კვლავ სიყვარული
ყელში ბურთივით თუ არ ჩამჩარა,
რომ დავამსხვრიო ღრუბლების ფარდით
ჩამობურული ზეცის ფანჯარა;
თორემ, დუმილი მგელივით ბორგავს —
თავისი თავით წელგაზნექილი,
მაწვდის ხმაურის ძუძუს, რომელსაც
ვებღაუჭები უძლურ ლეკვივით.
ვდგავართ ორივე სიმშვიდის ზღვარზე,
ვინ ვის დაჯაბნის, — მე დავძლევ, თუ — ის...
და მგლის ლეკვი ვარ, რომელიც
მტკივან
კბილებით ძლივსღა იკავებს ყმუილს.

## ბაზარი

ბაზარია ჩემი შეყვარებული —
ჭუჭყით სავსე,
ამღვრეული,
ხმაურიანი,
რომელიც ყველა ენაზე მღერის,
მაგრამ ისე უგემოვნოდ,
რომ მისი ხმა
ელესიის ზარს ემსგავსება
და რეკს,
რეკს ჩუმად,
გამზარულად,
არათანაბრად,
რათა მაღალი ცის გუმბათი
თავზე დაიმხოს.

ბაზარია ჩემი შეყვარებული —
ბაგე — მარწყვი,
თვალი — მაყვალი,
და ძუძუები — ორი მწიფე,
დუთმა ნესვი დახლზე უწყვია,
ეპატიჟება მუშტარს,
ურცხვი ვნებით აღძრული,
რომ მას მიეცეს,
ვინც ყველაზე მეტს გადაუხდის.

ბაზარია ჩემი შეყვარებული...
მაგრამ ეს მარწყვი,
ეს მაყვალი,
ეს ორი მწიფე, დუთმა ნესვი
ჩირადაც არ ღირს,
რადგანაც დახლი იაფია
და ვაჭრობაც ქესატად მიდის.



ბაზარია ჩემი შეყვარებული —
ჭუჭყით სავსე,
მოყაყანე,
ხმაურიანი...
მაგრამ ეს ქალი
მე ხომ მხოლოდ
მაშინ მიყვარდა,
როდესაც იგი
მოყვავილე მინდორი იყო,
ანდა პეპელა — ამ მინდორში
ქარის მდევნელი.



## როგორც ბეღურა

აღარ მოგელი, გაზაფხულო,
დიდი ხანია,
დაგიკეცია ჩემთვის
ატმის თეთრი რვეული,
ის სიყვარული
მე დეკემბრის
თოვლში
ჩავტოვე,
როგორც ბეღურა —
ქარიშხალით ფრთებდამსხვრეული.

ახლა კი შენს წინ,
სიყვარულო,
მორჩილად ვდგავარ,
რომ დახრილ თავზე
დამალვარო
სითბო ულევი,
ნუ მოხვალთ ჩემთან,
ბეღურებო,
თქვენი მრცხვენია,
როს გაზაფხულზე
ასე ლაღად მეჟღურტულებით.

მზემ მოიხედა
სხვა რიხით და
სხვა ჟრუანტელით,
მისი სინათლე
გადაადგა
მიწას თალებად...
ჩემს კარს მოაწყდა
ის — ბეღურა,
როგორც ფანტელი,
მე კი ზამთარში
არ ვინებე
სარკმლის გაღება.

და დარჩა ასე —
ცრდო-ბრალის
მრუმე ხვანჯარად —
დეკემბრის თოვლთან
სამუდამოდ გადაჯაჭვული...
დღეს გული
ყინვით მოხატული
არის ფანჯარა,
რომელსაც არუევს
მისი სუსტი
ფრთების
ფხაჭუნი.

## ფურთხი

შორს გაზაფხული
ათასნაირ
ფერადებს ლამბავს,
მიწის ქვევრიდან
ილებს თრობას
ფოთლების ხაპით,
მიდის ცხოვრება,
ვით მდინარე,
მე კი ხავსივით
ვებღაუჭები
სიყვარულის წარუვალ ნაპირს.
წარსული ბევრმა
საუცხოო ბაღებს აღარა,
სად სიხარული
მბრძანებლობდა მხოლოდ
მეფურად,
მაგრამ ეს ბაღიც
არ ყვაოდა ჩემთვის
და იგი
გაუტანლობის
ეკალ-ბარდებს
გადაებურათ.
ჩამოსწოლოდა
ღრუბელივით
ბაღნარს პირქუშად,
შემოხვეოდა მუქი ძეძვი
ტანზე საროთა
და აღარ ჩანდა,
ბარდის ქვემოთ
მხოლოდ ეკალი,
თუ იქვე,
სადმე,
მოცახცახე ვარდიც ხარობდა.
ანდა რა ბაღი...
ჭრელაჭრულა ცხოვრებამ,
ვინაც
ჩემს ყოფას თავზე
ჭინჭრის სუსხი გადაასხა,
წარსული
ზიზღით მიმაფურთხა
და მე ეს ფურთხი
ასევე
ზიზღით მოვიწმინდე
მერე სახიდან.



## გასაღები

ვინ ხარ შენ? —
ასე მარტოსული,
უცხო
და კარგი —
შეხამებული
შემოდგომის
ბრჭყვიალა ფერებს,
გასაღებივით
ყოველდღე რა უბრალოდ გკარგავ,
რომ ძველი შარვლის ჯიბეებში
გიპოვნო მერე.
და გამეხარდეს —
თურმე, სულაც არ დაკარგულხარ,
გიცდი, ვით კარი —
ნაცრისფერად გადაღებილი —
რომლის გაღებაც
ქვეყნად მხოლოდ შენ შეგიძლია,
შენ შეგიძლია
ერთადერთი გასაღებივით.
ცარიელია ის ოთახი,
მე რომ ვიფარავ,
შენ კი ამაოდ,
ოქროს ზოდებს
მოელი, ალბათ,
არა, ძვირფასო,
თვალმარგალიტს ვერ დაგახვედრებ,
თუმც, ფანჯარაზე
ზურმუხტივით
ბრჭყვიალებს ბალბა.
მარტოა იგი
და ბრჭყვიალა მისი სიმწვანეც
მასთან შემთხვევით დარჩენიათ
გარდასულ დროთა,
დღეს არავინ ჩანს
და პატარა, სულელი ბალბაც
გაუსაძლისი ტკივილებით
აკვდება ქოთანს.
იქნებ, მოუსწრო,
შეუძლებელს სულაც არა გთხოვ,
არც მიფიქრია
სამუდამოდ
შენი დარჩენა,
მაგრამ დაფიქრდი,
ეგებ, ჩემში შემოსვლაც ღირდეს,
ერთი უმწეო, სუსტი ბალბის გადასარჩენად.

## ხოლო მე თვითონ

მე წარსულიდან გამოვალწიე
ზოგი გმირად მხმობს, ზოგი — ჯაბანად,
შენთან მოვედი, როგორც წყაროსთან
იმ ჭრილობების ჩამოსაბანად.
არ მიერთგულა რადგან არავინ,
ჩიტივით ფრენსო, — წუხდნენ ძალიან, —
და რომ ეშველათ, სიყვარულიც კი
ისე დამიგეს, როგორც გალია.
ალბათ, მიჯობდა, რომ შევლეწოდი
მათი გალიის გისოს-ტიხართა,
რადგან მე თვითონ ყველაზე უფრო
ერთი პატარა წყარო მიყვარდა.

## ქალაქი

ქალაქი, სადაც არავინ დარჩა,
თითქოსდა, ტბასთან სხედან, მდუღართან;
წვალობენ, მაგრამ ვერ იხსენებენ,
ოდესმე თუკი ვინმე უყვარდათ.
ქალაქი, სადაც ზამთარი ჩადგა,
ვით აკვარიუმს, ქარი რომ ანჯღრევს...
და თევზებივით ცურავენ შიგნით,
ეხეთქებიან დაორთქლილ ფანჯრებს.
ხოლო ფანჯრიდან რა მოსჩანს? —
ქუჩა
და ნისლი,
როგორც ვეება წნეხი,
ერთმანეთისკენ გამორბის ორი,
ერთ-ერთს ტალახზე უცდება ფეხი.
აქ, სადაც წუხელ შლეგი გრიგალი
საგაზაფხულო ტოტებს ლეწავდა,
სადაც სატრფოსთან ისე მიდიან,
ვით ვნებით დაღლილ ბებერ მეძავთან.
ქალაქი, სადაც ხეები ძრწიან
და იბრუნებენ ყვავილებს შიგნით,
ქალაქი, სადაც ხელისკანკალით
დახურულია კარი და წიგნი.
ქალაქი, რომლის ავი მუსიკა
გამობმულია მგრგვინავ მაჟორთან,
სადაც თუ ვინმეს წრფელად უყვარდა,
ყველა ღალატის ცეცხლით დაშორდა.
ქალაქი, სადაც არავინ ნატრობს
ერთ მართალ განცდას, ცხელს და ვნებიანს,
ქალაქი, სადაც იხოცებიან,
მაგრამ ერთმანეთს არ უკვდებიან.
ქალაქი, თითქოს, ცეცხლზე შედგმული
და მოთუხთუხე კუპრის ქვაბია,
აქ თუ მოხვედი, აქ უნდა მოკვდე,
ამ ქალაქს ერთი კარი აბია.
ქალაქი, სადაც ალუბლის ხეებს
ქოლავენ, ლეწენ რკინის კეტებით,
არ შემოხვიდე აქ, გაზაფხულო,
ამ ქალაქისთვის არ მემეტები.



ვახტანგ კომახიძე

# ადამიანები და ფრინველები

22 ივნისი, 1996წ.

ერთხელ ადამიანებმა მკითხეს, აბა, გვითხარი, ერთმანეთს ვგავართ თუ ერთმანეთისგან განვსხვავდებითო.

რა თქმა უნდა, ერთმანეთს ვგავართ-მეთქი, ვუპასუხე მე.

— შენ ძვირფასო, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა გქონია, — მითხრეს მათ. — ნუთუ შეგიძლია, რომ ჩვენ შეგვედარო, ნუთუ ჩვენს შორის სხვაობას ვერ ხედავ? და, თუ ვერ არჩევ, ცდები! ნუ ფიქრობ, რომ ჩვენნაირი ხარ. კარგად შემოგვხედე, დაგვაკვირდი და მერე გვითხარი, რით შეგიძლია, შეგვედარო. კარგად დაფიქრდი და სხვა დროს თავი შეიკავე, ასე ნუ გაგვანაწყენებ, — მითხრეს, თავის გზას გაუყვნენ და მარტო დამტოვეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ადამიანები ისევ შემხვდნენ და მკითხეს: აბა, ახლა გვითხარი, ადამიანები ერთმანეთს ვგავართ თუ ერთმანეთისგან განვსხვავდებითო.

ალბათ, განვსხვავდებით-მეთქი, ვუპასუხე მე.

— შენ საკუთარ თავზე მართლაც დიდი წარმოდგენა გქონია, — მითხრეს მათ, — ნამდვილად ცდები, თუ ფიქრობ, რომ ჩვენგან განსხვავდები. და, თუ ჩვენგან განსხვავდები, განა სხვა ჩვენისთანას არ გავხარ?! ან იქნებ გგონია, რომ ყველა ჩვენთაგანისაგან განსხვავდები? არა ბატონო, სწორედ ისეთი ბრძანდები, როგორიც ჩვენ ვართ, ყველა ჩვენი ნაკლი გჭირს, ჩვენი ბედი გაქვს. სწორედ ისეთი ბრძანდები, როგორიც ჩვენ ვართ, როგორიც სხვები არიან. წადი, წადი და იფიქრე, რა უნდა უთხრა ადამიანებს! — შებრუნდნენ და თავისი გზით წავიდნენ.

იმ საღამოს მდინარისკენ გავწიე: დიდხანს მივუყვებოდი სანაპიროს და ბოლოს, სიარულით დაღლილს მდინარის ნაპირას ჩამომჯდარს ჩამეძინა.

დილით თვალწინ მოულოდნელი სურათი წარმომიდგა: მთელი სანაპირო მდინარის იხვებით იყო მოფენილი. ისინი ხმაურობდნენ და ჩემს გარშემო დააბიჯებდნენ. როცა წამოვიწიე, ხმაური შეწყვიტეს, უკან დაიხიეს და ფრთები აათქუნეს. მივესალმე და ისინიც მომესალმნენ. ერთხანს ერთმანეთს ვუცქერდით, მერე კი თავად მკითხეს:

— ჩვენ იხვები ვართ, ფრინველები, შენ ვინ ხარ?

— ადამიანი, — ვუპასუხე მე.

— ადამიანი? — ჩაილაპარაკეს მათ და ერთმანეთს გადახედეს, — რას ნიშნავს ადამიანი?

— რას უნდა ნიშნავდეს! — ვუთხარი მე, — შეიძლება ჩემზე ოდნავ მეტს ნიშნავს, შეიძლება — ოდნავ ნაკლებს.

— საინტერესოა, — თქვეს ფრინველებმა, — საინტერესოა ის, რაც შენზე ოდნავ მეტს ნიშნავს, ან ოდნავ ნაკლებს, მაგრამ შენ თვითონ ვინღა ხარ?

— არ ვიცი, — ვუპასუხე მე, — ვერ გამიგია, ვგავარ თუ არა ადამიანებს, — ვუპასუხე და ვუამბე მათ, რაც ადამიანებთან შემემთხვა.

ფრინველებმა ბოლომდე მომისმინეს და მითხრეს:

— სრულიად გასაგებია, ეტყობა, შენ თვითონ ნიშნავ ადამიანებზე ოდნავ მეტს ან ოდნავ ნაკლებს. ძალიან კარგი, ერთმანეთი უკვე გავიცანით, მაგრამ გამოდის, რომ ადამიანების შესახებ ვერაფერი შევიტყვეთ. ჩვენ, როგორც გითხარით, იხვები ვართ, ამ მდინარესთან ვცხოვრობთ, დავუყვებით მის სანაპიროებს და თევზაობით ვსაზრდოობთ. ადამიანები, რას საქმიანობენ ადამიანები?

— ისინიც თევზაობენ ხოლმე, — ვუთხარი მე.

— ოჰ, ოჰ, თევზაობენ? — ჩაიცინეს ფრინველებმა, — არა გვგონია, ამ ქვეყნად ჩვენზე უკეთესად ვინმე თევზაობდეს. თევზაობის შესახებ ყველაფერი ვიცით, დარწმუნებული ვართ, ჩვენზე უკეთესად ვერავინ გრძნობს სათევზაო ამინდს, ჩვენზე ზუსტად ვერავინ მიაგნებს უხვთევზიან ადგილს, ვერავინ მოინადირებს მათ ჩვენზე სწრაფად და მოხერხებულად. არა, თევზაობის შესახებ ჩვენ აღარაფერი გვაინტერესებს. ჯობია, სხვა რამ გვითხრა, კიდევ რას საქმიანობენ ადამიანები?

— ადამიანები? ადამიანები, რა თქმა უნდა, აზროვნებენ, — ვუთხარი მე.

— აზროვნებენ? როგორ აზროვნებენ?



— ისინი ზეცას გასცქერიან და გაუნძრევლად იმყოფებიან, საათობით, ზოგჯერ დღეების მანძილზე ისინი ზეცას გასცქერიან და აზროვნებენ.

— არა, — თქვეს ფრინველებმა, — ჩვენ არასოდეს დავსხდებით საათობით, დღეობით და არ გავირინდებით. გვირჩევნია მდინარის ზვირთებს ხმაურით მოვეფინოთ, ისევ და ისევ თევზებს დავედევნოთ ან დაუღალავად ვიფრინოთ ჭალებში. აზროვნება ნამდვილად მოსაწყენი საქმიანობა ჩანს. ჯობია, სხვა რამ გვითხრა ადამიანების შესახებ!

რა უნდა მეთქვა?!

— ისინი სევდიანობენ, — ვუპასუხე მე.

— როგორ? — მკითხეს ისევ ფრინველებმა და შევეცადე მათთვის სევდიანობა აღმეწერა.

— როცა ადამიანები სევდიანობენ, ისინი შორს, უსაზღვროებისკენ იცქირებიან, მხრებში იხრებიან და უმისამართოდ მიაბიჯებენ. ამ დროს თვალები უწყლიანდებათ, ნაბიჯი უმძიმდებათ, ქარში ქალთების კალთები უფრიალებთ, მიდიან და სევდიანად იცქირებიან, — ვუპასუხე მე.

როცა დავამთავრე, ფრინველებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს და ისევ მომიბრუნდნენ:

— შეიძლება, ჩვენც ვისევდიანოთ?

— ალბათ, შეიძლება, — ვუთხარი მე.

მათ მაშინვე ფრთები წამოწიეს და კისრის ზემოდან გადაიფხატეს, თვალები უსასრულობას მიაპყრეს და თავიანთი აპკიანი ფეხებით მდინარის კენჭებიან ნაპირზე გატყაპუნდნენ. ცოტა რომ გაიარ-გამოიარეს, უკან მობრუნდნენ, ფრთები გაისწორეს და მისაყვედურეს:

— ძალიან გვსურდა, გვესევდიანა, ძარღვები დაგვეჭიმა და ფრთები გველრძო, თვალები მზის სხივებმა აგვწვა, მაგრამ სევდიანობისა ვერაფერი გავიგეთ, გარდა იმისა, რომ საკმაოდ მოსაწყენი საქმიანობა ყოფილა. საერთოდ, არ გვესმის, რატომ უნდა ვისევდიანოთ და ფრთები დავიზიანოთ, ამას თევზაობა კი არა, უთევზობაც გვირჩევნია. ნუთუ ადამიანებს არაფერი შეგიძლიათ ზეცაში ყურებისა და კენჭებზე სიარულის გარეშე. ნუთუ ისეთს ვერაფერს შემოგვთავაზებთ, ჩვენც რომ შეგვძლებოდა?

— ახეთი, იქნებ მეგობრობაა, — ვუთხარი მე, — ადამიანები ერთმანეთს უამბობენ თავიანთ ამბებს, თავიანთ საფიქრალს და მერე მეგობრდებიან, — თუ გინდათ, დავმეგობრდეთ.

— თუ ადამიანები მხოლოდ მას შემდეგ მეგობრდებიან, რაც ერთმანეთს თავიანთ თავგადასავლებს მოუთხრობენ, მაშინ როგორღა დავმეგობრდებით, როცა შენს შესახებ ჯერ კიდევ რიგიანად ვერაფერი გავიგეთ.

— განა მხოლოდ იმათ უმეგობრდებიან, ვის შესახებაც ყველაფერი იციან?!

— არ ვიცით, ადამიანები როგორ ფიქრობენ, — მითხრეს ფრინველებმა, — ჩვენ ახე გადავწყვიტეთ: სანამ არ დაგიმეგობრდებიან, არავის არაფერი არ უნდა გაანდო. რატომ უნდა მოუყვე ყველაფერი იმას, ვინც შენი მეგობარი არაა?

— იმიტომ, რომ დაუმეგობრდეთ, — ვუთხარი მე.

— ჩვენ რომ ყველაფერი გავანდოთ და მაინც არ დაგვიმეგობრდნენ?

აღარ ვიცოდი, როგორ მეპასუხა, ჯერ ვუთხარი: მთავარი სულაც არაა, იცი თუ არა ყველაფერი იმათ შესახებ, ვისაც უმეგობრდები-მეთქი, მერე გავიმეორე, დიახ, სულაც არაა საჭირო, მათ შესახებ ყველაფერი იცოდე-მეთქი.



— კარგი, დავმეგობრდეთ, — მითხრეს ფრინველებმა, — დავმეგობრდეთ.

მეორე დღეს ჩემი მეგობრები ისევ მოვინახულე, სიხარულით შემეგებნენ.

— როგორ გრძნობენ თავს ადამიანები? — მკითხეს მათ, — სევდიანობენ? აზროვნებენ?

— იქნებ სევდიანობენ, იქნებ აზროვნებენ კიდეც, ადამიანებს რას გაუგებ, — ვუპასუხე მე.

— რატომ, — მკითხეს ფრინველებმა, — თუ ისინი უსაზღვროებისკენ იცქირებიან, მხრებში იხრებიან და თვალები უწყლიანდებათ, მაშინ ისინი სევდიანობენ; თუ ზეცას გაჰყურებენ და გაუნძრევლად იმყოფებიან, აზროვნებენ, ან იქნებ ისინი სულაც მეგობრობენ? — მკითხეს ფრინველებმა.

— არა, — ვუთხარი მე, — რას ამბობთ. ყველაფერი ასე არაა. ადამიანები შეიძლება აზროვნებდნენ, სევდიანობდნენ ან მეგობრობდნენ, მაგრამ ვერაფერი გაუგო.

— რატომ? — მკითხეს მათ.

— ძნელი ასახსნელია, — ვუთხარი მე, — ადამიანებმა შეიძლება იცოდნენ, რას აკეთებენ ისინი, მაგრამ მათი არ ესმოდეთ. შეიძლება მოხდეს ისეც, რომ არ იცოდე რას გააკეთებენ ისინი და გესმოდეს ადამიანების, მაგრამ ზოგჯერ მათ ნამდვილად ვერაფერს გაუგებ.

— სამწუხაროა, — ამოიოხრეს ფრინველებმა. — ამის გაგება ჩვენც საკმაოდ გვიჭირს.

— ბუნებრივია, — მათი ხომ არაფ… ესმის.

— მაგრამ, მაშინ რატომ აზროვნებ… ადამიანები, ან რატომ მეგობრობენ? რის… თვის მოუთხრობენ ერთმანეთს თავიან… ამბებს, რისთვის გასცქერიან უსასრულო… ბას? — მკითხეს ფრინველებმა, მკითხ… თავიანთი ცრემლისოდენა თვალებით.

— იქნებ იმიტომაც, რომ მათი არაფ… ესმის, — ვუთხარი მე.

— უსამართლობაა მეგობარო, … თქვეს ფრინველებმა.

— სწორედ ამიტომაც ისინი სვამ… ჩამოსხდებიან ხოლმე მაგიდასთან, იდ… ვებს ზედ დააწყობენ, გამოცლიან ბო… ლებს და ყოველგვარ უსამართლო… ივიწყებენ. მიაბიჯებენ და ქვეყანაზე ა… რცერთი უსამართლობა აღარ ახსოვთ. … ცნობებს ესალმებიან, გულში იკრავენ … მხრებზე ხელისგულებს უტყაპუნებ… რაღაა მაშინ უსამართლობა, როცა … აღარავის ახსოვს?!

ფრინველები მისმენდნენ. მათ ჭრ… ბუმბულს ნიავი არხევდა. მხოლოდ მდ… ნარე ხმაურობდა. ჩამოჭქონდა და ჩამ… ქონდა ზემოდან პატარა ზვირთები და ქ… მოთ, სადღაც შორს მიაგორებდა.

— თუმცა, — განვაგრძე მე, — სა… რთლიანობაც არაფერ შუაშია. ადამიანებ… ხომ ყველაფერს იმეორებენ. იმეორებ… დღეებს და წუთებს, ნაბიჯებს, ბოთლებ… და სევდას, უსამართლობას და მეგობრ… ბას, რადგან ისინი სუსტები არიან. შეი… ლება, ხანდახან ისინი სუსტები არიან … სთვისაც, რომ ჩვეულებრივი სუსტები არ… ან, მაგრამ მათი ძლიერებაც წარმავალ… და ამიტომაც ისინი იმეორებენ თავია… უსამართლობასა და თავიანთ ბოთლებს… საერთოდ, არაფერს იმეორებენ.

— საკმარისია, მეგობარო, — მით… რეს ფრინველებმა, — ჩვენ მხოლოდ … მხოლოდ ფრინველები ვართ, მდინარ… ნაპირებზე ვცხო… რობთ, თევზაობ… ვსაზრდოობთ ფრთების ქნევით … პობთ ჰაერს. ეს ჩვ… სიცოცხლის აზრ… ჩვენ მოგვწონს ჩვე… სიცოცხლის აზრი … რომც არ მოგვწო… დეს, მაინც ვითევ… ვებდით, მაინც ვფ… რენდით, იმიტ… რომ გვეგრძნო მ… აზრი და მოგვწონ… ბოდა. ამის მეტი ხ… არაფერი ვიცით.

დამემშვიდობნენ ფრინველები … თავიანთი აპკიანი ტერფებით ქვიშიან… ნაპიროზე გატყაპუნდნენ. მდინარე… შეცურდნენ და დინებას გაყვნენ. … წავიდნენ, როგორც ადამიანები მიდ… ხოლმე და სევდიანობენ.

მერე ისევ შემხვდნენ ადამიანებ…

— ნუთუ მართლა ასე სუსტ… ვართ? — ვკითხე მათ, — ჩვენ ხომ ა… სოდეს დავმარცხებულვართ, მაშინაც, … როცა ჰგონებიათ, რომ დაგვამარცხეს?

— ადამიანებზე ცოტათი მაინც უნ… იყო მეტი, რომ ისინი დაამარცხო, — მ… თხრეს ადამიანებმა, — დიახ, სულ ცოტ… თი მაინც უნდა აღემატებოდე მათ, რომ… დაამარცხო ისინი, მაგრამ საქმე ისაა, რომ… თუ ოდნავ მაინც აღემატები მათ, აუც… ლებლად შეგებრალება მთელი მათი მ… დგმა და აღარასოდეს დაამარცხებ.

მითხრეს და ისევ მარტო დამტ… ვეს. ჩემი მეგობარი ფრინველები გამ… ხსენდა, რომლებიც ალბათ სადღა… რომელიღაც მდინარეში თევზაობდნ… და ვიფიქრე, იქნებ მდინარეს მივუ… მეთქი თავი, მაგრამ ესეც არ იყო გამ… სავალი, რადგან მდინარეში ადამიანებ… არ ცხოვრობენ.

პირველი გვერდიდან

ღმერთი გამოეცხადათ. მისმა ფრინველურ-ცხოველურმა თავმა, იმ თავის ირგვლივ მოძრავმა მცენარისდარმა ხელებმა, ფართოდ განთხეული მდინარის მსგავსმა გრძელმა სამოსმა ანაზდად დაფარა კოცონიცა და წითელი ვაშლით დახუნძლული ხის ქვეშ მდგარი ქალწულიც, მოკლე ჯოხებს რომ ესროდა ვაშლებს. მაგრამ სულ ეჩვენებოდათ, რომ იმ მოგიზგიზე კოცონისა და თვით კოცონში მდგარი, თავის ოდინდელი სიტყვის თქმის მოწადინე ბებერი ღმერთის მიღმა, ვაშლის ხესა და მის ქვეშ მდგარ ქალწულს ხედავდნენ.

იწყო თუ არა ცეცხლმა ჩაღველფვა და მუხლმოყრილნი ნახშირისა და მიმოფანტული ნაცრის მოხაგროვებლად ფეხზე წამოდგნენ, ვაშლის ხის მხრიდან კისკისი შემოესმათ. ჩამქრალ კოცონს მოსცილდნენ და უმალვე დაინახეს გოგონა, რომელიც ვაშლს ქვას ესროდა. მყისვე დაავიწყდათ ნაცრის მოგროვება და უკიდეგანო მინდორზე მისი მიმობნევა. ანაზდად, მაღალ ბალახებში დურთეს თავი და მინდვრისაკენ, უფრო სწორად კი, მასზე გადაფურცლული ბიბლიისაკენ მოკურცხლეს, მაგრამ გზადაგზა თხუნელების ბორცვაკები ფეხქვეშ ებლანდებოდათ და ძირს ეცემოდნენ.

ვაშლის ძირას პირველი აბელი მიიჭრა. გოგონამ წითელი ვაშლი გაუწოდა. აბელმა კბილები ჩაარჭო და შუაზე გაკბიჩა. მეორე ნახევარი კი უკვე მოსულ კაენს გაუწოდა. მაგრამ კაენს გოგონამ დაასწრო და მონაკბეჩი ვაშლი თავად გამოართვა. არხეინად შეექცა სამოთხის ბაღიდან გადარჩენილი ერთადერთი ხის ნაყოფს. შავი თეხლები გადააფურთხა, მერე აბელს მიუახლოვდა და თმაზე ანცად მოქაჩა. ცალ ფეხზე მდგარი აბელი, მაღლა აწეულ მეორე ფეხზე აცოცებულ ჭიანჭველას გახრეხას რომ ცდილობდა, წაფორხილდა და ხის ჩრდილში გაიშხლართა.

გოგონამ მის გვერდით ჩაიმუხლა და ბალახიდან აღებული მეორე ვაშლი გაუწოდა. აბელმა ვაშლი გამოართვა და იქვე მდგარ კაენს გადაუგდო. მერე, იდაყვზე დაყრდნობილმა, გოგონას ხელზე მოქაჩა. როცა გოგონა გულაღმა, მხრებზე გადაბრუნდა, აბელი ჩრდილიდან მისკენ გახოხდა და ბაგეზე აკოცა. ჩანს, გოგონას ეამა კოცნა, რადგან აბელს ისევ თმაზე მოქაჩა და ახლა თავად დაეწაფა ბაგესა და მოშიშვლებულ ყელ-კისერზე. ასე დაიწყო ის გაუთავებელი ხვევნა-კოცნა და ჩრდილიდან მზეზე, მზიდან კი ისევ ჩრდილში მწვანე მოლზე კოტრიალი.

ამასობაში, კაენი, რომელსაც მაინცდამაინც არად ეპიტნავა სხვისი ხვევნა-კოცნისა და ბალახზე კოტრიალის ცქერა, მუხის მოკლე ჯოხს დასწვდა და ვაშლის ხეს ესროლა. წითელი ვაშლი წვიმასავით წამოვიდა მწვანე ბალახზე. იღებდა კაენი მიწიდან ვაშლს, შუქზე გახედავდა, შეჭამდა ნახევარს და რადგან არავინ იყო, ვისთვისაც მეორე ნახევრის გაწოდება შეეძლო, განზე ისროდა. მერე და მერე, როცა ხელთ ყველაზე წითელი ვაშლი მოხვდებოდა, აღარც კი აკვირდებოდა, ისე ესროდა ხის ქვეშ მოგორავე გორგალსა და მის მხიარულ სიცილს.

და, ალბათ, სულაც არ შეირხეოდა მოტიტვლებულ მინდორზე, უფრო ზუსტად კი, ამ მინდორზე გადაფურცლულ ბიბლიაზე მდგარი სამოთხის ბაღიდან გადარჩენილი ის ერთადერთი ვაშლის ხე, სულაც არ გამოჩნდებოდა გადრეკილი ზეცის თავანი და თვალსაწიერიც არ დაილანდებოდა შორს, ძალიან შორს, რომ ისე წითელი არ ყოფილიყო ვაშლი, რომ ხელთ არ მოხვედროდა ის მოკლე, მსხვილი ჯოხი, რომ აბელთან ერთად მოლზე მოკოტრიალე გოგონას ისე ანაზდად არ შეეკივლა.

როგორც იქნა, აბელმა გოგონას იდაყვზე წაავლო ხელი და მიწას გააკრა. გულმკერდზე შემოტკეცილი ვიწრო კაბიდან ქალწულს იმ წითელი ვაშლებისხელა ძუ-





# თადეუშ ნოვაკი
# წითელი ვაშლი

ძუები გამოუცვივდა. ანაზდად, კაენის ნასროლი წითელი ვაშლი იმ თეთრ ვაშლებს შორის დაეცა. აბელმა ხელი წაიღო წითელი ვაშლისკენ, მაგრამ იმის გამო, რომ ის წითელი ვაშლი ცოცხალ ვაშლებს შორის ხალვათად მიგორავდა თუ ხელი აუთრთოლდა, ანდა, შესაძლოა, სულაც განგებ, ყოველ შემთხვევაში, წითელი ვაშლის ნაცვლად, აბელმა ის ერთ-ერთი ცოცხალი ვაშლი ჩაბღუჯა.

გოგონამ იკივლა. აბელმა ახლა მეორე ცოცხალ ვაშლს დააფარა ხელისგული. გოგონამ ისევ იკივლა და საშველად კაენს მოუხმო. კაენმა ის მოკლე მუხის ჯოხი აიღო, ქალ-ვაჟს მიუახლოვდა და აბელს თმაში წაავლო ხელი. მაგრამ აბელი არაფრის დიდებით არ თმობდა იმ ცოცხალ ვაშლებს. გოგონა სულ უფრო ხმამაღლა კიოდა. რომ ვერაფერი მოუხერხა, კაენმა ძმას თავში ის მუხის ჯოხი ჩასცხო.

აბელს სიცილი პირზე შეეყინა. მისი ოქროსფერი სხეული, შავთმიანი თავი მიწას დაენარცხა. ორი ცოცხალი ვაშლი ჯერაც მაგრად ჩაებღუჯა, მაგრამ ღონემიხდილს ხელები მალე მოეღვენთა. და როცა ნება-ნება შემოსცილდა იმ ცოცხალ ვაშლებს, მათ შორის ის მესამე, წითელი ვაშლი ჩაგორდა.

გოგონა ფეხზე წამოდგა და ის წითელი ვაშლი კაენს გაუწოდა. კაენმა ჩაკბიჩა. ანაზდად, ვაშლში ბებერი ღმერთი ალაპარაკდა, მაგრამ ბევრად უფრო ხმამაღლა იმ ღმერთზე, რომლის ხმაც აბრიალებული კოცონის პირას აბელთან ერთად არაერთხელ მოუსმენია. კაენმა წითელი ვაშლი შორს მოისროლა, გოგონას ხელი ჩაავლო და მასთან ერთად მოტიტვლებულ მინდორზე, უფრო ზუსტად კი, იმ მინდორზე გადაშლილი ბიბლიის ფურცლებზე გაიქცა. მათ უკან ღმერთი აყვირდა, ვაშლის ხე შეირხა. შეირხა და ყველა ვაშლი ჩამოცვივდა. მალე ზეცა აგუგუნდა და შორეული თვალსაწიერი ბადესავით გადაიშალა.

ამ დროს გამომეღვიძა. ავდექი და სარკეში ჩავიხედე. ბაღს გარიჟრაჟი შეპარვოდა. ვაშლის ხეებქვეშ უამრავი ხილი ეყარა. სახლშიც, კუთხე-კუნჭულებში დახვავებული ვაშლის სურნელი იდგა. გორებქვეშიდან თაგვების წრიპინი ისმოდა. ნანახი სიზმარი ნება-ნება აღმიდგა გონებაში. კვრინჩხნარის მახლობლად მდებარე მოშიშვლებული მინდორი და სამანთან მდგარი ვაშლის ხე გამახსენდა. ახლა ტყის იქით მცხოვრები ჩემი ძმა გამომეცხადა. მერე მისი ცოლი დამიდგა თვალწინ, ციცქნა გოგონა, რომელსაც ამ ორიოდ წლის წინათ, იმ კვრინჩხნარის მახლობლად, მინდორში ვაკოცე, როცა ჯოხით ძირს ჩამოგდებული ვაშლი გავუწოდე. ვაშლი გამომართვა და დაცვარული გვერდები ჩემი პერანგის კალთით გაუწმინდა. სწორედ მაშინ ვაკოცე და ტუჩზეც ვუკბინე. გოგონამ შეჰკივლა. ხეზე მჯდარმა ჩემმა ძმამ, ხილს უბეში რომ იყრიდა, ყველაზე წითელი ვაშლი გვესროლა. ჩვენს შორის ჩამოვარდნილი ვაშლის დაჭერაც ვცადე, მაგრამ მის ნაცვლად ცოცხალ ვაშლს წავავლე ხელი. გოგონამ ჩემი მოცილება სცადა, მუშტები თავში დამცხო და საშველად ჩემს ძმას დაუძახა.

ვაშლით უბეავსებული ჩემი ძმა ხიდან დაბლა დაეშვა. თვალი მოვკარი, როგორ გამოეყო ჩეროს. სახეზე მიტკლისფერი დასდებოდა. მიწიდან მოკლე, მსხვილი ჯოხი აიღო, მოგვიახლოვდა და თმაზე მომქაჩა. მაგრამ აკივლებულ გოგონას რომ ვერაფრით მოწყვიტა, ჯოხი ზე აღმართა. ანაზდად, ტანში ჟრუანტელმა დამიარა. მხოლოდ წითელვაშლებამღვრიალებული ხე ირწეოდა ჩემს თვალწინ.

გონს რომ მოვეგე და ბალახებში იდაყვებზე წამოვიწიე, ჩვენს გადახნულ მინდორზე გაქცეულ ძმასა და გოგონას მოვკარი თვალი. ჩანს, პერანგის რომელიღაც ღილს ვაშლის სიმძიმისათვის ვერ გაეძლო, რადგან ფეხის ყოველ გადადგმაზე ჩემს ძმას უბიდან ვაშლები სცვიოდა. მათ უკან დასაბრუნებლად დაძახება ვცადე, მაგრამ პირის გაღება ვერ შევძელი. ბალახზე წამოვწექი და ხელი მოვაფათურე. ვაშლს გადავაწყდი. ავიღე. მწყუროდა. ჩავკბიჩე. ტკივილისაგან შევყვირე. ბალახიდან მწყერი წამოფრთხიალდა. ხის თავზე აფრენილმა მოკლე ფრთები ჟვერზე აafathქუნა და ტყის მიღმა ჩამოწოლილი მწუხრისაკენ ქნა პირი. ხიდან ფოთლები და ნაცრისფერი ბუმბული ჩამოცვივდა. ანაზდად, ვაშლის მიღმეთი ჩამობინდბუნდდა. უმალვე ზარის ხმა შემომესმა. იმ ხმას მივყევი ბარბაცითა და ფორთხვა-ფორთხვით. გულში გავიფიქრე, შინ რომ მივაღწევ და გამოვმჯობინდები, ეკლესიაში ერთ უბე ვაშლს მივიტან, ჭიშკარს გამოვალებ და ჯვარცმულის ნაიარევ ფეხებთან დავყრი-მეთქი.



მერე ის ვაშლი საერთოდ დამავიწყდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ეკლესიაში არაფერი მიმიტანია. მხოლოდ დღეს, იმ სიზმრის ნახვის შემდეგ გამახსენდა ჩემი აღთქმა. ამიტომაც იყო, ჩავიცვი და კვრინჩხნართან მდებარე მინდორზე წასვლა, სამანზე მდგარი ვაშლის მოკრეფა და წამებულის ნაიარევ სხეულზე მისი დაყრა გადავწყვიტე. პარმაღიდან ბაღში გავედი, ბაღიდან — საძოვარზე, საძოვრიდან კი — ზედ კვრინჩხნარის მახლობლად მდებარე მინდორზე.

ვაშლის ხისკენ რომ გავუხვიე, შორიდანვე შევნიშნე, რომ ნაყოფის სიმძიმისაგან მორკალული ტოტები ერთნაირად გასწორებულიყო. მიახლოებისთანავე დავრწმუნდი, ერთი ვაშლიც აღარება. ნაბიჯს მოვუჩქარე. გავიქეცი. ხის ქვეშ დახვავებული ვაშლები წითლად ბზინავდა. იქვე, მაღალ ბალახში, ჩემს ძმას ეძინა. გვერდზე გადაბრუნებულს მარცხენა ხელი საფეთქელქვეშ ამოედო, მუხლები კი თითქმის ნიკაპზე მიებჯინა.

ბალახებიდან მოკლე ჯოხი ავიღე და მძინარეს თავზე წავადექი. ფერდში შიშველი ფეხი წავუთაქე. შეტოკდა და ძილში რაღაც ჩაიბურტყუნა. ფეხი უფრო ძლიერ მოვუჭირე. თვალი გაახილა, თუმცა არც ნიკაპთან მიტანილი ფეხები გაუსწორებია და არც ხელი გამოუღია საფეთქელქვეშიდან. რომ დამინახა და მიცნო, ისევ ძილის შებრუნება დააპირა, მაგრამ არ დავანებე და ფეხი მუცელში ამოვცხე. ახლაღა შევამჩნიე, რომ იქვე, ბალახებში ცარიელი ბოთლი ეგდო. ჩემი ძმა მთვრალი იყო.

უკვე რამდენი წელია, რაც გამირბოდა და ვაშლს თავად კრეფდა. თურმე წამდაუწუმ თავს იქებდა, მე კი დოყლაპიას და ძილისგუდას მეძახდა. იმ ვაშლის საფასურით ახალი სამოსი, ფეხსაცმელი და თასმიანი შლაპა შეეძინა. ახლა კი, აგერ, იმ ფულით, არაყიც არ ჩამოუდგამს?!

ყურადღებით დავაკვირდი ჩემს მძინარე ძმას. ნაღდად ვაშლის საკრეფად წამოსულს ახალთახალი სამოსი და იუხტის წაღები ეცვა, თავზე კი პეწიანი შლაპა ეხურა. მე კი, რამდენი წელია, გადახუნებული შარვალი და საკერებელდადებული წაღები მეცვა, თავზე ხომ ისეთი ქუდი მეხურა, იფიქრებდით, საფრთხობელას მოხადაო. სანამ გონს მოვიდოდი და ჯვარცმულის ნაიარევ ფეხებთან მისატან ურემ ვაშლს გავიხსენებდი, ის კინაღამ ისევ გამისხლტა ხელიდან.

ძმას ვეცი. თავს სუსტად იცავდა. პეწიანი შლაპა მოვხადე. იუხტის წაღებზე ზონრები გავუხსენი და გავაძრე. თითქმის სულ ახალი პერანგიც გავხადე და ჩავიცვი. ძმას სახე ზეცისთვის მიეპყრო და ტიროდა. შიშველ ფეხისგულებზე წიხლები დავუშინე. ძმა ტიროდა. იქვე მდგარ ტირიფს ტოტი მოვტეხე და ხელებზე ვუცხუნე. ძმა ტიროდა. ახლა შიშველ თავზე დავცხე. ხელები წაიფარა. ტიროდა.

გვერდით მივუჯექი, ფეხები მოვიკეცე, პაპიროსი გავაბოლე და ზედმიწევნით ზუსტად ვუამბე ჩემი სიზმარი. ძმამ ტირილი შეწყვიტა. გულდასმით მისმენდა. მინდორზე გადაფურცლული ბიბლია რომ ვახსენე, პერანგი მთხოვა. არ მივეცი, შესაწირავ ზვინსა და ცეცხლის ალში გამოჩენილ ბებერ ღმერთზე სიტყვა ჩამოვაგდე თუ არა, ხელი წაღებისკენ გააპარა, დავასწარი და ტიტველ ფეხებზე ამოვიცვი. გოგონასა და ვაშლის ხისკენ ჯოხის სროლის ამბავს რომ ვუყვებოდი, მიჯნაზე დაგდებულ შლაპას წასწვდა. ისიც მე ავიღე და თავზე კოხტად მოვირგე. იმ ორი ცოცხალი ვაშლისა და აბელთან კაენის მიახლოების ამბავს რომ მივადექი, ძმა ფეხზე წამოიჭრა და გადახნული მინდვრისაკენ მოუსვა.

დავეწიე. ზეცისაკენ აღმართული მოკლე ჯოხი კეფაში ჩავარტყი. დაეცა. მის პერანგსა და ფეხსაცმელში გამოწყობილი, თავზე ახალშლაპამორგებული, ნელა გავუყევი სახლისკენ, რათა ურიკა წამომეღო, მოკრეფილი ვაშლით ამევსო, ეკლესიაში მიმეტანა და ჯვარცმულის ნაიარევ სხეულზე დამეყარა.

პოლონურიდან თარგმნა
ნათელა ბაკაშელმა

# XX საუკუნის რუსული პოეზია



## მაქსიმილიან ვოლოშინი

### ჯოჯოხეთის ფსკერზე

ა.ბლოკის და ნ.გუმილიოვის ხსოვნას

დღითიდღე უფრო ყრუდ ნებდება ღამე უკუნეთს
და უშეშდება ზამთრის სუსხში გვამი შიშველი.
სიცოცხლის სანთლებს მყრალი ქარი აქრობს გუგუნით.
ვის გააგონებ, ვის მოუხმობ, ან ვინ გიშველის?!

რუს პოეტს მუდამ უმოწყალო ბედი უკივის:
ბნელი განგება არად აგდებს სახელს, დიდებას,
შავი დამბაჩის სამიზნემდე მიჰყავს პუშკინი
და დოსტოევსკის ეშაფოტზე მიეზიდება.

ვინ იცის, იქნებ მეც სულ მალე ეს ბედი მელის,
ჩემო რუსეთო, შვილთა მკვლელო, მეც დამცე მეხი?!
სამარედ მექცეს ერთი შენი სარდაფი ბნელი,
ანდა შენს სისხლის გუბეებში დამისხლტეს ფეხი,
შენს გოლგოთაზე მიჯობს მაინც, რომ მომწყდეს წელი,
არ ვიუარო, მედგას შენთა საფლავთა კეხი.

ბოლოს მომილევს შიმშილი თუ ჯავრი საზარი,
მე მაინც სხვა ბედს არ ვისურვებ, ეს უწყის ღმერთმა:
თუ სიკვდილია, დაე, მოვკვდე მეც შენთან ერთად,
ან შენთან ერთად ალვსდგე მკვდრეთით, როგორც ლაზარე!

კოკტებელი,
12 იანვარი, 1922 წ.



## ნიკოლაი გუმილიოვი

### მე და თქვენ

ვიცი, არა ვარ მე თქვენი თარგის,
ვარ სულ სხვა ქვეყნის ჯიში და მოდგმა.
და მომწონს არა გიტარის ჰანგი,
არამედ ზურნის ველური მოთქმა.

სალონებში კი არა ვჩურჩულებ
მუქ კაბებსა და პიჯაკებს შორის,
ლექსებს ვუკითხავ ჩანჩქერს, ურჩხულებს,
და მე მისმენენ ღრუბლები შორი.

მე მიყვარს, როცა არაბი მწირი
წყალს დაემხობა მძიმე ლოდივით,
არა ნაყალბევ სურათთა გმირი,
ცას რომ გაჰყურებს მშვიდი ლოდინით.

და მე ლოგინში კი არ მოვკვდები
ნოტარიუსის და მკურნალთ ხელში,
გამოქვაბულში დაველოდები
და იქ მომაგნებს სიკვდილის გეში.

არა მიტომ, რომ ავიდე ალმა
პროტესტანტული სამოთხის კარად,
არამედ, სადაც ქურდი და კახპა
თავს დამკივლებენ: „წამოდექ, ჩქარა!“

### ბუნება

აჰა, ესერა, ბუნება მთელი,
რომელსაც სული არ აღიარებს:
მდელოზე თაფლის სურნელი ნელი
ერთვის ჭაობის შმორის მხვიარებს.

ქარს აიძულებს ველური გლოვა,
მგლის ყმუილივით ზარი გამართოს.
ფიჭვების თავზე ღრუბელთა გროვა
მართავს მარულას უმიხამართოს.

ვხედავ: ლანდები ერთურთს ერევა,
ვხედავ და მახრჩობს ბოლმა და გესლი:
და ღარიბ მრავალსახიერებად
მწიფს შემოქმედის ნაბნევი თესლი.

ო, დედამიწავ, ნუ ხუმრობ, მოდი,
შემოიძარცვე ეგ კაბა ძველი.
და იყავ, რაიც იყავი ოდით:
ცეცხლად ნაგზნები ვარსკვლავი მწველი!

### მეექვსე გრძნობა

კარგია ღვინო, ჩვენ რომ ასე შეგვიყვარდება,
კარგია პურიც, ცხელ თონეში ჩვენთვის რომ ცხვება,
ქალიც, რომელიც ჯერ გვაწამებს მაცდური სიცილით,
შემდეგ კი ძალუძს, რომ მოგვაგოს სიტკბო და შვება.

მაგრამ რა ვუყოთ განთიადებს, ნაირ ფერებად
იმ შემცივნებულ კამარებში რომ კრთიან უხმოდ,
სადაც სიმშვიდეს ვერ დაარღვევს მიწიერება.
ანდა ამ მართლაც უკვდავ ლექსებს რა უნდა ვუყოთ?

არც იკოცნება, არც იჭმევა და არც ისმევა,
დრო კი თავისთვის მიდის მაინც, არვის მორჩილი.
ჩვენ ხელებს ვიმტვრევთ, ვფორიაქობთ, მაგრამ ისევე
ყველაფრის მიღმა, მხოლოდ მიღმა სვლა გვაქვს მოსჯილი.

როგორც ბიჭუნა, თავის თამაშს რომ შეწყვეტს უცებ
და უთვალთვალებს მობანავე გოგონას სხეულს.
თუმც სიყვარული ჯერ არ იცის, გული კი უცემს
და გრძნობს იდუმალ რაღაც სურვილს, მტანჯველს
და წყეულს.

როგორც ოდესღაც ზეაღმოხდა წივილის ტალღა
უსუსურსა და ლიპ ქმნილებას, როს მომნუსხველი
რაღაც ქავილი აგრძნობინა უეცრად აღლომ
ზურგსუკან, მხრებზე — ფრთები ჯერაც გამოუსხმელი.

ასე გრძელდება, ღმერთო, მაგრამ როდემდე განა? —
სხეული კივის, იტანჯება სული ბოგანო,
ბუნებისა და ხელოვნების დანის ქვეშ სანამ
მეექვსე გრძნობას გაუჩნდება რამე ორგანო.

### ოცნებები

ბინადართაგან მიტოვებულ ქოხმახის მიღმა,
იქ, სადაც შავად მეჩხერობდა მესერი ძველი,
ბერმა ყორანმა დაძონძილი გლახაკი იხმო,
რათა გაენდო წელანდელი ხილვები მწველი.

ყორანს თრგუნავდა შინაგანი მარადი შიში,
მაგრამ უნდოდა გლახაკისთვის ეამბნა მაინც
აუხდენელი ოცნებები, ნანახი ძილში,
ციხე-სიმაგრის ნანგრევებზე ეზმანა რაიც.

რარიგ ეახლა მათ ორთავეს ნანატრი ბედი,
აღარც ახსოვდათ თავიანთი ყოფა წყეული.
ის ვითომ ტალღებს მიაპობდა, ვით თეთრი გედი,
ხოლო გლახაკი უფლისწულად იყო ქცეული.

გლახაკი ჩუმად ქვითინებდა. ზეცა მაღალი
თანდათან ქუფრად მძიმდებოდა, დაბლა იწევდა:
და გზად ჩავლილი დედაბერი, ოდნავ დამფრთხალი,
გამალებით და მორიდებით პირჯვარს იწერდა.

* * *

არ ედგომებათ ჩემთან ყვავილებს,
ძლივს ვასწრებ მათი მშვენებით ტკბობას,
ორიოდ დღეში იწყებენ ჭკნობას,
არ ედგომებათ ჩემთან ყვავილებს.

არ ედგომებათ ჩემთან ჩიტებსაც,
იბუზებიან უხმოდ და უნდოდ.
დილით — ბუმბულის უსულო გუნდა...
არ ედგომებათ ჩემთან ჩიტებსაც.

მხოლოდ წიგნების მწკრივი რვა რიგად,
საუკუნეთა მოთენთვას მარადს
იცავენ მდუმარ გუშაგთა დარად,
როგორც კბილების მწკრივი რვა რიგად.

წიგნებს რომ ყიდდა, ის ბუკინისტი
ცხოვრებისაგან მოტყუებული დაოსდა.
...ვაჰრობდა წყეულ სასაფლაოსთან,
წიგნებს რომ ყიდდა, ის ბუკინისტი.

* * *

შავი ხავერდი, რომელზეც თითქოს
დარჩათ ალმასი მბზინავი ცერად.
ამ შედარებას თავისით ითხოვს
მგალობელ თვალთა ნატიფი მზერა.

ვით ფაიფურის უცხო საგანი,
მისი სხეულის ნატიფი კრთომა
არის, ვით თეთრი იასამანი
და მასზე მთვარის სხივების კვდომა.

ხელები, როგორც ცვილი ნათელი,
რომლებშიც სისხლი ჩქეფს ცეცხლის დარად.
როგორც ღვთიშობლის ხატთან სანთელი,
ჩაუმქრალი და მთრთოლვარე მარად.

მსუბუქია და დაუდგრომელი,
როგორც სარკიდან ნასხლეტი სხივი,
ვით შემოდგომის ჩიტი, რომელიც
მზად არის, დათმოს ქვეყანა ცივი.

### ხოკუ

აი, ლამაზი ქალიშვილი, ნუკრისთვალება,
ცოლად მიჰყვება ამერიკელს. ნეტავ კოლუმბმა
ეს ამერიკა რა ჯანდაბად აღმოაჩინა?!

### პატარა სპილო

აი, შეხედე, საყვარელო — პატარა სპილო,
დაბადებული ან ბერლინში, ანდა პარიზში,
რომელიც რბილად დააბიჯებს ბამბის თათებით
და უხმოდ უვლის ზოოპარკის პატრონის სადგომს.

ნუ შესთავაზებ ჯერ-ჯერობით ფრანგულ ფუნთუშას,
ნუ შესთავაზებ ჯერ-ჯერობით კომბოსტოს თავებს —
მას შეუძლია მანდარინი მოწუწნოს მხოლოდ,
შაქრის ნატეხი ან კამფეტი სულ ერთი ციცქნა.

ნუ ატირდები, საყვარელო, შენ იმის გამო,
რომ ბრბო დასცინებს გამომწყვდეულს ამ გალიაში,
რომ მყრალ სიგარას შიგ ხორთუმში შეაბოლებენ
ვიღაც ნოქრები, გოგონების სიცილ-ხარხარით.

და არ იფიქრო, საყვარელო, რომ მოვა ის დღე,
როცა აიწყვეტს მძიმე ჯაჭვებს გაგიჟებული,
გამოვარდება ქუჩაში და ავტობუსივით
ზედ გადაუვლის აკივლებულ ადამიანებს.

არა, შენ, დაე, დაგესიზმროს: ის სისხამ დილით
ფარჩით, სპილენძით, ბუმბულებით მთლად აღკაზმული,
როგორც ის, მართლაც დიდებული, ოდესღაც, ძველად
რომ მიარწევდა ათრთოლებულ რომში ჰანიბალს.

29 ივნისი, 1996 წ.



# ოსიპ მანდელშტამი

* * *

მოცემული მაქვს მე სხეული, რა ვქნა, რა ვუყო?
ასე მთლიანი, ასე ჩემი, ვის რა გავუყო?

მისთვის, რომ ვსუნთქავ და ცოცხალი კაცი მქვია მე,
მითხარით მაინც, ვის ვუმადლო მე ეს სიამე?

მე ვარ მებაღეც და ყვავილიც გაშლილი ფართოდ,
ამ სამყაროულ ბნელ დილეგში მე არ ვარ მარტო.

მარადისობის მინებს ორთქლად დაეფინება
ეს ჩემი სითბო, ჩემი სუნთქვის ჩუმი დინება.

გამოისახვის მასზე რაღაც ნაზი ხატება,
რომლის შეცნობა შესაძლებელს აღემატება.

დაე, ედინოს მას დრო-ჟამი, ნალექის მსგავსი,
მაინც ვერასდროს ჩამორეცხოს ეს ნაზი ხაზი.

## ლენინგრადი

მე დავუბრუნდი ქალაქს ჩემსას და კვლავაც ვიკვლევ
ნაცნობს, ვით ცრემლებს, ვით ბავშვობის შეშუპულ
ჯირკვლებს.

ისევ აქა ხარ, ლენინგრადში, მოკრიფე გონი,
ყლაპე ფარნების ბლანტი შუქი, ვით თევზის ქონი.

ისევ იცანი დეკემბრის დღე, ცივი და ქუფრი —
გაზავებული კვერცხის გულთან ავბედი კუპრი.

ო, პეტერბურგო, მე არ მინდა სიკვდილი ჭერაც,
ჩემს ტელეფონის ნომრებს ისევ ინახავ, მჯერა.

ო, პეტერბურგო, მე ყოველგვარ ღონეს ვიღონებ
და ამ ნომრებზე გარდაცვლილთა ხმებს გავიგონებ.

შავი კიბის მკვიდრს საფეთქელში მიჩნდება ბზარი,
როდესაც მირტყამს ხორციანად ნაგლეჯი ზარი.

და მთელი ღამე მე სტუმართა ლოდინს ვუნდები
ყრუდ მოჟღარუნე კარის ჯაჭვის ცივი ხუნდებით.

* * *

გაიხსნენ დიდი თვალები ტოლი,
რომლებშიც სევდა იყო ჩამდგარი,
ძილს გამოერკვა ნაზი ლანგარი
და გადმოღვარა თავისი ბროლი.

მოთენთილობა — წამალი ტკბილი,
ოთახი ჩუმი და უსაუბრო.
საოცარია, ციცქნა საუფლომ
როგორ მოიცვა ამდენი ძილი?!

სასიამოვნო ზმანებებს აწევს
ცოტა ღვინო და მაისი მკვეთრი —
და უნაზესი თითები თეთრი
მოციცქნის ნამცხვრის პაწაწა ნამცეცს.



# მარინა ცვეტაევა

* * *

შენი კალმისთვის მე ვარ ფურცელი,
ვიღებ ყველაფერს — ფურცელი თეთრი.
შენს მადლს ვინახავ, თუ გავუძელი,
ასმაგად გიზღავ და არას გყვედრი.

მე ვარ სოფელი, მიწა უბრალო,
ვით სხივს და წვიმას გელი ღაღადით,
შენა ხარ ჩემი ღმერთი, უფალი,
მე კი — მიწა და თეთრი ქაღალდი.

## გაპარვა

იქნება სჯობდეს, დროს და სწრაფვას არიდო თვალი
და ეს ნაბიჯი გამარჯვება იყოს ნამდვილი —
წახვიდე ისე, არ დატოვო აქ შენი კვალი,
წახვიდე ისე, არ დატოვო შენი აჩრდილი

კედლებზე...
ანდა იქნებ სჯობდეს, რომ თქვა უარი?
სარკეებიდან ამოშალო ხატება შენი?
ლერმონტოვივით კავკასიის მთებს ჩაუარო
ისე, რომ სულ არ შეაშფოთო მდუმარე კლდენი.

ან გასართობად იქნებ სჯობდეს, მოთმენა გეყოს
და თუნდაც თავად სებასტიან ბახის თითებით
არ შეარხიო არასოდეს ორღანოს ექო?
და გაქრე ისე, ურნაშიაც თუ არ იქნები

ფერფლად შთენილი...
ანდა სჯობდეს, მზაკვრობას უხმო?
ამოეწერო სამყაროდან ვით არაფერი?
ამგვარად: როგორც ოკეანე, დროსავით უხმოდ
გაიპარო და არ შეაკრთო წყლის ზედაპირი.

1923 წ.

* * *

არც სიყვარულით და არც პატივით
ტკბობა არ მინდა. მორჩით!
ვაშლიც არ მინდა, ანდამატივით
მაცთუნებელი — ხონჩით...

ჯაჭვივით რაღაც მომყვება ბინდად,
ზარით, გრიალით მომდევს.
ო, როგორ მინდა,
ო, როგორ მინდა —
ჩემთვის უჩუმრად მოვკვდე!

თარგმნა
ვახუშტი კოტეტიშვილმა

# ზაზა თვარაძის მოთხრობა
# «სიტყვები»

ჟურნალ „ცისკრის" 1996 წ. №3-4 გამოქვეყნდა ზაზა თვარაძის მოთხრობა „სიტყვები". შეიძლება ამის თქმა მოულოდნელი მოგეჩვენოთ, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა ქართულ ენაზე დაწერილ მოთხრობათა შორის.

დავიწყოთ თავიდან — სათაურია შესანიშნავი: ლაკონური, ტევადი, ასოციაციებით მდიდარი. გაგონდება, რომ დასაბამი არის სიტყვა, გესმის ჰამლეტის პასუხი შეკითხვაზე — „რას კითხულობ?" — „სიტყვებს, სიტყვებს, სიტყვებს". სიტყვა, როგორც დასაწყისი, როგორც ქმნადობა. სიტყვების კონსტრუირება (ლიტერატურა — კონსტრუირებული რეალობა) ნაწარმოების პერსონაჟთა გატაცება, თუგინდ ვნებაა.

ორი შრე თუ ასპექტი მოთხრობისა — რეალური, ნამდვილი და ირრეალური, ოცნება — ერთმანეთზე მშვიდად ისე გადაჯაჭვული, რომ ბოლოს გადაიხლიჩოს და ჩვენს თვალწინ ისევ გათამაშდეს მთავარი ადამიანური ტრაგედია — „სანეტარო კანტორის გადაქცევა სანოტარო კანტორად".

ამ ნაწარმოების მასალა ფანტაზიაა, რომელსაც ავტორი მარჯვედ იყენებს, ფლობს მის საიდუმლოს. ეს ფანტაზია ზომიერია, ინტელექტუალურია თავისი არსით და ფორმით, როგორც, ვთქვათ, ჰერმან ჰესეს „ტრამალის მგელში".

ავტორი ფლობს იუმორის ურთულეს ხელოვნებას; ზუსტად მიგნებული იუმორი საოცარი ტაქტითაა განაწილებული მთელს მოთხრობაში. გვხვდება თვითირონიის მძაფრი მაგალითები.

ინტელექტუალურია, საერთოდ, ზ.თვარაძის პროზა (მხედველობაში მაქვს მისი მშვენიერი მოთხრობაც „მოხეტიალე", „ცისკარი", 1995 №1-2), მარტო იმიტომ კი არა, რომ აქ ერთმანეთის გვერდით მშვენივრად გრძნობენ თავს დიდი ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, მწერლები... თვით თხრობის მანერა, ამბების არსი, პერსონაჟთა ინტერესები, გამოხატვის მანერაა დახვეწილი და კარგად განათებული.

მოთხრობა ლიტერატურითაა გაჟღენთილი, პოეზიით სუნთქავს. აქ ერთმანეთს ენაცვლებიან ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია, აკაკი, რილკე, გალაკტიონი და რასაკვირველია, რუსთაველი, რომელიც, როგორც ცოცხალი, ისე დაბრძანებულა მოთხრობის სამყაროში. სწორედ „ვეფხისტყაოსნის" ერთ მონაკვეთს ახასიათებს ასე ზ.თვარაძე: „თვალწარმტაცი სილამაზის ხომლი". თუმცა აქვე, უკვე სხვა გუნებაზე მყოფი იგივე ზაზა (მოთხრობის პერსონაჟი) საწინააღმდეგოს ამბობს პოემაზე.

მოთხრობის გმირები „სანეტარო კანტორიდან" ნამოილებენ ჯადოსნურ ზარდახშას, ზარდახშიდან ამოფრენილი სიტყვებიდან ისინი გატაცებით ქმნიან ახალ კონსტრუქციებს. საოცარია ამ სიტყვების „ლივლივი". როგორი სითამამეა „ვეფხისტყაოსნის" ახალი კონსტრუქციის შექმნა? როცა გაინტერესებს, რა დაემართება ავთანდილს გულანშაროში? იმიტომ, რომ როცა ავთანდილის და ჭაშნაგირის დაპირისპირებაზე გვიამბობს ზ.თვარაძე, ავთანდილი ახლა სხვა სამყაროშია, ზ.თვარაძის სამყაროში და შენც დიდი ინტერესით თვალს ადევნებ მის სარისკო სვლას. „აი, ვაჭრის სამოსში გადაცმული ავთანდილი, როგორც მაღალი სოსანი, შედის გულანშაროში... აი, ავთანდილი პირქუშად მიიწევს ღამის შუკებით, წინ ჩირაღდნით ხელში მეგზური მონა მიუძღვის..." და ასეთ დარბაისლურ, მშვიდ სტილში შეიჭრება რუსთაველი: „მჭვრეტელთა მზე და მებრძოლთა მხეცი და ვითა ზარია!

ბეჭდითურთ თითი მოჰკვეთა, ქვესკნელს მიწასა გარია,

ზღვათავე სარკმლით გასტყორცნა, ზღვისა ქვიშათა დარია,

მისთვის არცა სად სამარე, არცა სათხარად ბარია".

გრძნობ, რომ მოთხრობის ავტორიც ტკბება რუსთაველის სიტყვებით და თავის საკუთარ კონსტრუქციაზე იუმორით, სევდანარევი ინტონაციით ამბობს: „არა, არა, წიგნში უკეთესად წერია, წიგნში".

როგორც მოთხრობაში „მოხეტიალე", ისე აქაც მოქმედების ადგილია თბილისი. რამდენად ახლობელს და ამავე დროს, პოეტურს ხდის ნაწარმოებს დასახელება ქუჩებისა, ხიდებისა, მოედნებისა. შესანიშნავია ზამთრის, შელამების პეიზაჟები. ეს ნისლი, სიცივე მკითხველს ძვალ-რბილში ატანს... ზოოპარკის სცენა კი ენობრივად ისეთივე გამჭვირვალე და ექსპრესიულია, როგორც ქართული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები.

გამოცდილი მწერლის ხელით არიან დახატულნი მოთხრობის პერსონაჟები — ინდივიდუალური სახეები: ლევანი, ზაზა, გუჯა, სოსო, ლევანის მშობლები, ბებია, სტუმრები, სანეტარო კანტორის თანამშრომლები — „თალაგვა კოლონკელიძე", სტელა. (ჩემი აზრით, მაიას, როგორც არარეალურ პიროვნებას, ოცნებისეულ ხატს, უნდა ერქვას რამე სხვა სახელი, არა ჩვეულებრივი).

## შთაბეჭდილება

ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ის, რომ მთავარი პერსონაჟი, რომელიც აურაცხელ სიტყვებს ფლობს, ვერ ნახულობს პირველი პირის ნაცვალსახელს. ზ.თვარაძე ძალიან ბევრ საფიქრალს აძლევს მკითხველს, ახედებს პიროვნების სიღრმეებში და მიჰყავს ოცნების სამყაროში.

„სანეტარო კანტორის" ფერისცვალება „სანოტარო კანტორად" ტრაგედიაა და ზაზა თვარაძე უტყუარი ალღოთი და საოცარი ძალით აჩვენებს ამას რამდენიმე ჩვენი თანამედროვე თბილისელი ახალგაზრდა კაცის მაგალითზე. და რომ ეს არ არის მარტო დღევანდელი თბილისელის სულის თავგადასავალი, არის ამ მოთხრობის განსაკუთრებული მნიშვნელოვნების გარანტია.

წაიკითხეთ ზაზა თვარაძის მოთხრობა „სიტყვები".

სალომე ყუბანეიშვილი

5.VI.1996 წ.



# die Bücher ახალი წიგნები КНИГИ Libri τὰ Βίβλια КНИГИ ახალი Libri THE BOOKS

















ფილოლოგიური ძიებანი-II. თბ. „კ. კეკელიძის სახ. ინსტ." 1995; რედაქტორი: ელ. მეტრეველი; რეცენზენტი: მ. რაფავა. ტირაჟი 500ც.

ლექსი, მხოლოდ ერთი ლექსი. თბ. „მეცნიერება" 1995; შემდგენელ-რედაქტორი: აკაკი ხინთიბიძე; რეცენზენტები: გურამ ბარნოვი, ნოდარ ფორაქიშვილი. ტირაჟი 200 ც. ფასი 5ლ.

მამუკა დოლიძე. არაფრის შესახებ. (პროზა, დრამატურგია) რუსთავი. „ვეფხისტყაოსანი" 1996; ტირაჟი 500ც. ფასი სახელშეკრულებო.

ალბერ კამიუ. სიზიფეს მითი (ესსე აბსურდის შესახებ). თბ. „ლომისი" 1996; თარგმნა ნესტან იორდანიშვილმა. გივი ალხაზიშვილისა და როსტომ ჩხეიძის რედაქციით. ფასი 2ლ.

შარლ ბოდლერი. რომანტიკული ხელოვნება. თბ. „ლომისი" 1996; თარგმნა ხიბილა გელაძემ. გივი ალხაზიშვილისა და როსტომ ჩხეიძის რედაქციით. ფასი 2ლ.

## თარიღები



### 25 ივნისი

1926 — 70 წლის წინ კლაგენფურტში დაიბადა ინგებორგ ბახმანი, ავსტრიელი მწერალი ქალი. ფილოსოფიასა და გერმანისტიკას სწავლობდა ინსბრუკის, გრაცისა და ვენის უნივერსიტეტებში, მუშაობდა ვენის რადიოში. 1957 წლიდან ცხოვრობდა მიუნხენში. პოეტური კრებულების ("გადავადებული ჟამი" — 1953-57), რომანების ("უსახელო ქალაქი", „ჟოლო" — 1971) პიესების ("ციკადები" — 1955, „კეთილი ღმერთი მანჰეტენიდან" — 1958) ავტორი. გარდაიცვალა 1973 წელს.

### 28 ივნისი

1851 — 145 წლის წინ ქ.გორში დაიბადა ეკატერინე გაბაშვილი, ქართველი მწერალი ქალი. პირველი ნაწარმოებები გამოაქვეყნა 1879 წელს გაზეთ „დროებაში". ავტორია მოთხრობების: „საახალწლო ფეშქაში" — 1884, „ღვინია გადაიჩეხა" — 1890, „უსინათლო ლექსო" — 1890, „მშიერაძის ოჯახი" — 1894, „თინას ლეკური" — 1898, „მაგდანას ლურჯა" — 1890. გარდაიცვალა 1938 წელს.

1871 — 125 წლის წინ დაიბადა სერგეი ბულგაკოვი, რუსი ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი, ეკონომისტი. მე-19 საუკუნის ბოლოს „ლეგალური მარქსიზმის" მიმდევარი მალე ქრისტიანობას მოუბრუნდა და ე.წ. „რუსული რელიგიურ-ფილოსოფიური რენესანსის" ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე გახდა ბერდიაევთან, ფრანკთან და სხვებთან ერთად. მონაწილეობდა კრებულების



„Проблемы идеализма" — 1902, „Вехи" — 1909 და „Из глубины" — 1918 გამოცემაში. 1923 წელს ემიგრაციაში გაემგზავრა, 1925-44 წლებში იყო პარიზის რუსული სალვთისმეტყველო ინსტიტუტის პროფესორი. გარდაიცვალა 1944 წელს პარიზში.

### 1 ივლისი

1646 — 350 წლის წინ ლაიპციგში დაიბადა



გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი, გერმანელი ფილოსოფოსი, ფიზიკოსი, გამომგონებელი, მათემატიკოსი, იურისტი, ენათმეცნიერი და ისტორიკოსი. იურისპრუდენციას და ფილოსოფიას ლაიპციგისა და იენის უნივერსიტეტებში სწავლობდა, იყო ჰანოვერის ჰერცოგთა კარის ბიბლიოთეკარი, შემდეგ ისტორიოგრაფი და იუსტიციის საიდუმლო მრჩეველი. ავტორია წიგნების: „განსჯები მეტაფიზიკის შესახებ" — 1685, „ბუნების ახალი სისტემა" — 1695, „თეოდიცეა" — 1710, „მონადოლოგია" — 1720. გარდაიცვალა 1716 წელს ჰანოვერში.

1961 — 35 წლის წინ გარდაიცვალა ლუი ფერდინანდ სელინი, ფრანგი მწერალი. დაიბადა 1894 წელს, მიიღო სამედიცინო განათლება, 1924 წელს გამოსცა თავისი პირველი წიგნი მედიცინის დარგში, 1932 წელს პირველი რომანი „მოგზაურობა ღამის კიდეზე", ავტორია რომანების „სიკვდილი კრედიტში" — 1936, „მარიონეტები" — 1944. 1944 წელს გაიქცა გერმანიაში, შემდეგ კოპენჰაგენში. 1951 წლიდან ცხოვრობდა საფრანგეთში.

### 2 ივლისი

1961 — 35 წლის წინ კეტჩემში (აიდახოს შტატი) გარდაიცვალა ერნესტ ჰემინგუეი, ამერიკელი მწერალი. დაიბადა 1899 წელს; 1917 წელს დაამთავრა სკოლა, მუშაობდა რეპორტიორად



კანზას-სიტიში, იყო „The Toronto Daily Star"-ის კორესპონდენტი. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო, ესპანეთის სამოქალაქო და მეორე მსოფლიო ომებში. რომანების ("ფიესტა" — 1926, „მშვიდობით იარაღო" — 1929, „ვის უხმობს ზარი" — 1940), მოთხრობების ("კილიმანჯაროს თოვლი" — 1936, „მოხუცი და ზღვა" — 1952) ავტორი. 1939-60 წლებში ცხოვრობდა კუბაში, 1954 წელს მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში.

### 8 ივლისი

1621 — 375 წლის წინ შატო-ტიერაში დაიბადა ჟან ლაფონტენი, ფრანგი პოეტი. საფრანგეთის აკადემიის წევრი 1684 წლიდან. პირველი ნაწარმოები 1654 წელს



გამოაქვეყნა. 1657 წელს საცხოვრებლად გადავიდა პარიზში. პოემების ("ადონისი" — 1658, „ფილემონი და ბავკინო" — 1685), დრამატული ნაწარმოებების, მადრიგალების, ბალადების, ცნობილი „იგავ-არაკების" — 1668-79 ავტორი. გარდაიცვალა 1695 წელს პარიზში.

### 10 ივლისი

1871 — 125 წლის წინ პარიზში დაიბადა მა-



რსელ პრუსტი, ფრანგი მწერალი. სწავლობდა კონდორსეს ლიცეუმში, სორბონის იურიდიულ ფაკულტეტზე, 1896 წელს ანატოლ ფრანსის წინასიტყვაობით გამოვიდა მისი ნოველების კრებული. 1907 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა რომანების ციკლზე „დაკარგული დროის ძიებისას", „სვანის მიმართულებით" — 1913, „აყვავებულ გოგონათა ჩრდილქვეშ" — 1918, „გერმანტი" — 1921, „სოდომი და გომორა" — 1921-22 და სხვა. 1954 წელს გამოვიდა მისი ესეების კრებული. გარდაიცვალა 1922 წელს.

### 12 ივლისი

1536 — 460 წლის წინ ბაზელში გარდაიცვალა ერაზმ როტერდამელი, დეზიდერიუსი (ნამდვილი სახელი და გვარი გერჰარდ გერჰარდსი), სწავლული-ჰუმანისტი, ღვთისმეტყველი, მწერალი, ჩრდილოური აღორძინების თვალსაჩინო წარმომადგენელი. დაიბადა 1469 წელს როტერდამში. 1517 წელს გამოსცა „ახალი აღთქმა", რითაც საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ეკზეგეზას და ბიბლიის ტექსტის კრიტიკულ დამუშავებას. მის კალამს ეკუთვნის სახელგანთქმული „ქება სისულელეს" — 1509, სადვთისმეტყველო და პოლემიკური თხზულებები.




## სარედაქციო ჯგუფი

შადიმან შამანაძე (მთ. რედაქტორი)
თამაზ ვასაძე, ანდრო ბუაჩიძე, რეზო გოგია,
ირმა არჩუაშვილი, ზვიად რატიანი, მალხაზ ხარბედია
თამაზ ჩხაიძე, მამუკა ალთუნაშვილი (კომპიუტერული მომსახურება)
გოგა დავითაშვილი (მხატვარი)

პრემიერა

# „ასეა ხოლმე საუკუნის მიწურულს მუდამ...“

წერილს სრულიად ორიგინალურ და საინტერესო რეჟისორულ ნამუშევარზე საკმაოდ ბანალურად დავიწყებ: 23 ივნისს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრში პრემიერა შედგა. მსახიობებმა წარმოადგინეს რეჟისორ დავით ანდღულაძის მიერ უილიამ შექსპირის „ჰამლეტისა“ და ტომ სტოპარდის ნაწარმოების — „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან“ მოტივების მიხედვით დადგმული პიესა „ოცდამეთვრამეტე“. პიესის სცენური რედაქცია ეკუთვნით თამარ ჯაფარიძესა და დავით ანდღულაძეს; გამოყენებულია იგორ სტრავინსკის, ენიო მორიკონესა და გია ყანჩელის მუსიკა. მონაწილეობენ: მიხეილ გომიაშვილი, ზურაბ სტურუა, გია ბურჯანაძე, ნატა მურვანიძე, ვაჟა გელაშვილი, გივი ჩუგუაშვილი, ლაშა ოყრეშიძე, ზაალ ჩიქობავა, თემურ კილაძე, ზურაბ ბერიკაშვილი, ონისე ონიანი, ვასილ ძოწენიძე, გია კუპარაძე.

თეატრალურ აფიშაზე იმის მითითება, რომ სპექტაკლი შექსპირისა და სტოპარდის ნაწარმოებების მიხედვით დაიდგა, უფრო მის ავტორთა თავმდაბლობაზე მეტყველებს, რადგან წარმოდგენაზე მისული მაყურებელი ვერც პირდაპირ გადამღერებულ სტოპარდს იხილავს და ვერც, მაინცა და მაინც ხაზგასმულად, ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშე მდგარ მელანქოლიკ ჰამლეტს. ეს არის სრულიად ახალი პიესა, სრულიად ახალი აქცენტითა და მახვილებით. პიესასაც სწორედ ამიტომ ეწოდა „ოცდამეთვრამეტე“. შექსპირი კი, მოგეხსენებათ, ოცდაჩვიდმეტი პიესის ავტორია.

ახალ აქცენტში კი, უპირველესად, იგულისხმება ის სიუჟეტური ხაზი, რომელიც სცენარში ვითარდება და, რომლითაც რეჟისორი, საკუთარი აზროვნების სტილის შესატყვისი გამომსახველობითი ფორმებითა და საშუალებებით ცდილობს, სწორედ დღეს, სწორედ ამ პიესით უთხრას მაყურებელს რაღაც განსაკუთრებულად აუცილებელი და მნიშვნელოვანი; კიდევ ერთხელ მიუბრუნდეს იმ ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკას, რომელზეც ყოველთვის საუბრობდნენ საერთოდ თეატრის და, მათ შორის, ქართული თეატრის სცენიდანაც.

რეჟისორისთვის „ჰამლეტიც“ და სტოპარდის ნაწარმოებიც — „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდარნი არიან“, უფრო იმპულსია. მისთვის, სათქმელის გამოხატვის თვალსაზრისით, ძირითადი მნიშვნელობა აქვს მოხეტიალე მსახიობთა დასს, რომელიც ღვთისა თუ მეფის რისხვის გამო, შარაზე აღმოჩნდა და ახლა გაფაციცებით დაეძებს მსმენელს. სწორედ მაშინ გადაეყრებიან მსახიობები სამლავიდან წამომდგარ როზენკრანცსა (მიხეილ გომიაშვილი) და გილდენსტერნს (ზურაბ სტურუა). მაყურებლის პოვნით აღფრთოვანებული დასის პროტაგონისტი (გია ბურჯანაძე) მზადაა, მათ წინაშე, მათი გემოვნების შესაფერისი, ნებისმიერი სცენარის ნებისმიერი ინტერპრეტაცია გაითამაშოს და მცირეოდენი საფასურის გადახდის შემთხვევაში, აქტიური მონაწილეობაც მიაღებინოს. ასეთი აღმოჩნდება დანიის სამეფო კარზე მომხდარი ისტორია. სწორედ ამ ისტორიის გათამაშებისას იწყება სამკვდრო-სასიცოცხლო კონფლიქტი პროტაგონისტსა და ალფრედს, მსახიობ ბიჭუნას (ნატა მურვანიძე) შორის. პროტაგონისტს, რომელიც „სულ გადაცმულია“, „სულ სცენაზეა“, „სულ თამაშობს“, შეუძლია და, ფიქრობს, რომ კარგადაც, სცენარით ათასგვარი მანიპულირება, მისი ათასგვარი ინტერპრეტაცია იმის მიხედვით, თუ რას ითხოვს მისგან პუბლიკა — ვნებას, რიტორიკას თუ სისხლს, რომლის გარეშეც ვნება და რიტორიკა არ არსებობს. მისი შეგირდი ალფრედი კი, რომელსაც ხშირად უწევს ქალის როლის შესრულება, კონსერვატორია. უფრო ზუსტად, მას, ვიწრო ჭკუა-გონების გამო, ნაკლებად შეუძლია დროის შესაფერისად წამდაუწუმ ცვალოს როლი და ოფელიასაც, ასე ვთქვათ, მხოლოდ კლასიკური ვარიანტით თამაშობს. სხვაგვარად, უბრალოდ, არ შეუძლია. ვერაფრით მიუხვდარა, პროტაგონისტმა რა თამაში წამოიწყო, რომელ სიუჟეტს ავითარებს. ალფრედი მთლიანად ითქვიფება ოფელიაში და ოფელიას სიკვდილიც იმ შემოქმედის სიკვდილად აღიქმება, რომელმაც მთლიანად ამოწურა საკუთარი შესაძლებლობები... თუმცა, ბოლოს, ალფრედი იღებს თამაშის წესს. ერთია, შეძლებს თუ



არა ამას, მაგრამ მიხვდა, რომ პროტაგონისტული ვარირებები აუცილებელია და შემდეგ უკვე რიგით ოცდამეცხრამეტე პიესის თამაშზე, წინასგან განსხვავებით, ხალისით თანხმდება.

ძალიან დიდი დატვირთვა აქვთ პიესაში როზენკრანცსა და გილდენსტერნს. ისინი ნაცრისფერ ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნებიან — მდგომარეობით, ერთგვარად, ჩრდილში დგანან, მაგრამ ძალიან მნიშვნელობენ. მთელი სცენარი მათ თვალწინ და მათივე აქტიური მონაწილეობით თამაშდება. თავიანთი მოქმედებებით, ჟესტებით, მიძრაობებით შეფასებას აძლევენ ყველას და ყველაფერს. დიაგნოზს უსვამენ „დუნე და უილაჯო“ დროს — „დიდებისმოყვარეობა და ჩაგრულობის კომპლექსი“; ძალიან კარგად იციან, რომ ჩაკეტილ, მოჯადოებულ წრეში ამოყვეს თავი, თითქოს. იქიდან თავდაღწევის ხერხსაც მიაგნესო — „მთავარია ჭკუით ვითამაშოთ, არ გავიყიდოთ და მოვიგებთ“. ორიენტირებიც ზუსტად აქვთ განსაზღვრული — „ერთადერთი გზა, რომლითაც მოვდივართ, დაბადებაა, რომლითაც მივდივართ — სიკვდილი...“

ნებისმიერი მიზანსცენა დიდი შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია. ამიტომ ყველას გამოყოფა ძნელია, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი ძალიან საინტერესო პასაჟი — სცენარის



აქტორებს აბსოლუტურად ყველა პერსონაჟისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ, უფრო ზუსტად, ყველა უარყოფით პერსონაჟად არის წარმოდგენილი. ისინი არ ცდილობენ მათში, მათ შორის, არც ჰამლეტსა და დედამისში, რაიმე ზნეობრივი კატეგორიის მოძებნას. მეტიც, როცა ფინალში ისინი გემზე აღმოჩნდებიან და აღსასრულიც ახლოვდება. პროტაგონისტი სპეციალურად აშორებს სიუჟეტს ფინალისგან, რათა უფრო გააშიშვლოს მათი პერსონები. ყველა მათგანს თან სდევს ჩრდილი, აჩრდილი — წარსული, ამიტომაც, ირგვლივ ჩრდილთა ლაშქარია, რომელსაც ვერც ვერსად გაექცევი და ზარბაზნებითაც ვერას დააკლებ. „ასეა ხოლმე საუკუნის მიწურულს მუდამ...“ ისინი სხვადასხვა მიზნით გამოსულან სცენაზე — ცხოვრების ასპარეზზე. ზოგი „ნაარშევის მოხალაფავად“, ზოგიც შურის საძიებლად, ათასი ქვენა გრძნობების დასაკმაყოფილებლად. თუმცა, აერთიანებთ ერთი რამ: თითოეული უფრთხის თავის აჩრდილს — წარსულს. როცა პროტაგონისტს მათთვის შესაფერი როლი გამოუჩნდება, უხალისოდ გადიან სცენაზე, რადგან იციან, რომ სცენაზე გასვლა, სამსჯავროს წინაშე წარდგომას ნიშნავს. თუმცა, პარტერში ჩასვლაც არ სიამოვნებთ — ცხოვრების აზარტულ თამაშში ჩართულებს, უჭირთ მისგან თავს დაღწევა. კიდევ ერთი: თითოეული მათგანი, ნებსით თუ უნებლიედ, მკვლელია, ცოდვილია — სულთა თეატრში, საიქიოში გადასახლების შემდეგ დღისით ცეცხლში იწვიან, ღამით კი — მარხულობენ. ერთი სიტყვით, დანიის — გვამებით სავსე საპყრობილეს — კარის ურდულს, როგორც შექსპირის ქართველი მკვლევარი ნიკო ყიასაშვილი იტყოდა, მხოლოდ ძმის მკვლელი, მეფე-მასხარა, კლოდიუსი არ დარაჯობს.

პიესაში შეგნებულადაა დარღვეული სცენარის გათამაშების აპრობირებული და საყოველთაოდ მიღებული ფორმა — თეატრი თეატრში. კლოდიუსი (ვაჟა გელაშვილი) პოლონიუსი (გივი ჩუგუაშვილი) და ჰამლეტი (ლაშა ოყრეშიძე) არ არიან მოხეტიალე დასის წევრები. თუმცა პროტაგონისტის, შემოქმედის დირექტივებს ემორჩილებიან და ბუნებრივია, მის მიერ ინტერპრეტირებულ წარმოდგენაშიც თანამონაწილეობენ.



რეჟისორისთვის მთავარია არა ის, ვინ პროფესიონალი მსახიობია და ვინ — არა, არამედ ის, თუ ვის როგორი მსახიობობა შეუძლია, ვის როგორ შეუძლია მოირგოს ხან ერთი, ხან მეორე ცხოვრებისეული ნიღაბი. საბოლოოდ კი აღმოჩნდება, რომ ყველა მშვენიერი მსახიობია, „ყველას ყველას როლის თამაში შეუძლია“. არა იმიტომ, რომ ნიჭიერები არიან. ეს, უბრალოდ, ადამიანური არსებობის, ადამიანური ყოფის პრინციპია და სხვა არაფერი. აქ თავს იჩენს ტოტალური თეატრის კიდევ ერთი ნიშანი — სცენაზე თანაარსებობს ორი დასი — ერთი მოხეტიალე მსახიობთა სახით. მეორე კი — ჩვეულებრივ ადამიანთა ჯგუფი, რომლის წარმომადგენლებსაც ცხოვრებაში არანაკლები აქტიორობა უწევთ, ვიდრე პროფესიონალებს — სცენაზე. ზღვარი მათ შორის იმდენად გამჭვირვალეა, რომ ბოლოს საერთოდ ქრება.

უნდა აღინიშნოს მსახიობთა, განსაკუთრებით მიხეილ გომიაშვილის, ზურაბ სტურუას, გია ბურჯანაძის, ნატა მურვანიძის, ლაშა ოყრეშიძის, გივი ჩუგუაშვილის უაღრესად რაფინირებული, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, უზადო თამაში. და კიდევ ერთი — რეჟისორის ისეთი დიდი მიღწევა, თუნდაც მხოლოდ ამისთვის რომ ღირდა „ოცდამეთვრამეტეს“ დადგმა: დავით ანდღულაძემ შეძლო, აბსოლუტურად განსხვავებული ესთეტიკის მქონე მსახიობებისგან (ამაში დავრწმუნდებით, თუ მათ ადრინდელ როლებს გავიხსენებთ), შეექმნა ერთი იდეის ქვეშ, ერთი მიზნისთვის გაერთიანებულ თანამოაზრეთა დასი, ანსამბლი. თუ შეიძლება ითქვას, გახსნა თითოეული მსახიობი. ეს ის საკვანძო წერტილია, საიდანაც უკვე არსებობას იწყებს ახალი თეატრი, რასაკვირველია, მარჯანიშვილის თეატრში არსებული საუკეთესო ტრადიციების განვითარების საფუძველზე.

სპექტაკლის შემდეგ მეყსეულად გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა, პრეტენზიები ავტორთა მიმართ. ზოგისთვის „ოცდამეთვრამეტე“ ცუდად გაგებული შექსპირია და შექსპირის ასე გააზრება არ შეიძლება. ასეთი აზრის მქონეთ, ალბათ, მოუწევთ იმის გათვალისწინება, რომ ხელოვნებაში შეუძლებელია ცალსახად განსაზღვრო — რა შეიძლება და რა არ შეიძლება. მითუმეტეს, რომ შექსპირი იმ თეატრალებს, რომლებიც სიღრმისეულად იცნობენ მის შემოქმედებასა და ეპოქას, დიახაც „აძლევს“ ასეთი „ზედმეტი გათამაშების“ საშუალებას. ამის უარყოფა კი ისეთივე უაზრობაა, როგორც იმის თქმა, რომ მამაკაცების, კერძოდ, პროტაგონისტისა და ალფრედის მიერ გერტრუდასა და ოფელიას როლის შესრულება ორსქესიანობის პროპაგანდაა. „ოცდამეთვრამეტეში“, უბრალოდ, შენარჩუნებულია შექსპირისდროინდელი თეატრისთვის დამახასიათებელი, ეგრეთ წოდებული, ტრავესტის ინსტიტუტი — მამაკაცების მიერ ქალების როლის თამაში და აქ ორსქესიანობის, ჰომოსექსუალიზმისა და სხვა ამგვარი ანომალიების ძებნა, პირდაპირ რომ ვთქვათ, უვიცობაა. მაინც და მაინც პროტაგონისტის მიერ დედოფლის თამაში კი იმის ალეგორიაა, რომ როგორც პროტაგონისტია დასში ყველაფრის განმსაზღვრელი, ასევეა დანიის მეფის კარზე მომხდარი ტრაგედიის „მთავარი გმირი“ გერტრუდა.

ზოგიერთმა სცენაზე, ჰორაციოს როლში ძალიან სიმპათიური გერმანული ნაგაზის გამოყვანა, ექსპერიმენტსა და სენსაციაზე გათვლილ ნაბიჯად აღიქვა. მაგრამ დავით ანდღულაძე ის რეჟისორი ნამდვილად არაა, რომელსაც მაყურებლისთვის, უხეშად რომ ვთქვათ, ასეთი სატყუარას გადაგდება სჭირდებოდეს. აქ გატარებულია ძალიან მარტივი აზრი — ჰამლეტის მარტოსულობა, ჰორაციოს სახის გახსნამდე მისი უმთავრესი ფუნქციის — ერთგულების — ხაზგასმა.

ერთადერთი პრეტენზია, რისი გათვალისწინებაც რეჟისორს აუცილებლად მოუწევს, ისაა, რომ სპექტაკლი ოთხი საათი გრძელდება, ეს კი ღლის მაყურებელს არა იმიტომ, რომ მასში რაიმე ზედმეტია, არამედ ქართველი მაყურებელი დიდი ხანია მიეჩვია უკვე შტამპად ქცეულ დროში ნატეული სპექტაკლების ნახვას. ფსიქოლოგიურად შემოქმედისთვის რაც არ უნდა მძიმე იყოს, მოუწევს სპექტაკლს, უხეშად რომ ვთქვათ; დროის თვალსაზრისით სამომხმარებლო ფორმა მისცეს... ამას ემატება ისიც, რომ თეატრში ძალიან ჭირს რამდენიმე, რადიკალურად განსხვავებული ესთეტიკური ხედვის თანაარსებობა.

და მაინც. პრემიერა შედგა. იმათ კი, ვინც დავით ანდღულაძის და თამარ ჯაფარიძის ერთობლივი სცენარის მიხედვით დავით ანდღულაძის მიერ დადგმულ „ოცდამეთვრამეტეს“ ჩასაფრებული კაცის პოზიციიდან აფასებს. მოკრძალებით შევახსენებთ პიტერ ბრუკის სიტყვებს: „...ის ადამიანი, რომელიც გვიმტკიცებს, რომ თეატრს თავისი საზღვრები აქვს, ფაქტობრივად, უარყოფს ცხოვრების სიმდიდრეს, მის მრავალფეროვნებასა და უსასრულობას. სამართლიანად ითვლება, რომ გარდასახვის ნებისმიერ შესაძლებლობას არსებობის უფლება აქვს. მაგრამ როცა ეს შესაძლებლობანი ძალზე დიდია, ისინი ჩვენ გვაშინებენ...“.

მივცეთ ამ მრავალფეროვანი შესაძლებლობების რეალიზების უფლება იმათ, ვისაც ამის გაკეთება ხელეწიფება...

**ირინე დეკანოიძე**

მსოფლიო

## იტალია

# როგორ დაიწვა „ლა ფენიჩა“?

იანვრის თვეში იტალიაში, ქალაქ ვენეციაში, ხანძრის შედეგად თითქმის მთლიანად განადგურდა ცნობილი ოპერა „ლა ფენიჩა“, რომლის შენობაც XVIII საუკუნის არქიტექტურის ნიმუშს წარმოადგენდა.

როგორც იუწყებიან, გამოძიებით დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა კრიმინალურ აქტს და არა მოკლე ელექტროჩართვას, როგორც აქამდე მიაჩნდათ. პოლიცია აღნიშნავს, რომ ცეცხლის ალი შენობის რამდენიმე ნაწილში ერთდროულად გაჩნდა.

გამოძიების საბოლოო დასკვნა ივლისის თვეში გახდება ცნობილი.

## ბოსნია

# მხარს უჭერენ არჩევნების ჩატარებას

14 სექტემბერს ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) გადაწყვეტილებით, ავრეთვე დეიტონის შეთანხმების საფუძველზე ჩატარდება საყოველთაო არჩევნები. თუმცა, ეუთო-ს ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ ბოსნიაში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ხმის მიცემისთვის საჭირო პირობები. ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის ფავიო კოტის აზრით, არჩევნების მოწყობა დიდ რისკთან არის დაკავშირებული, მაგრამ მისი ჩატარება იმდენად აუცილებელია, რომ ორგანიზაცია მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერის იმედით, მაინც მიდის ამ რისკზე.

კერძოდ, ფავიო კოტი საყვედურს გამოთქვამს ბოსნიელ სერბთა ლიდერის რადოვან კარაჯიჩის მიმართ, რომელიც დეიტონის შეთანხმების ბლოკირებით საფრთხეს უქმნის სერბთა ინტერესებს არა მხოლოდ ბოსნიაში, არამედ მთელი იუგოსლავიის ტერიტორიაზე. ამასთან დაკავშირებით, ოფიციალურმა ბელგრადმა მოსთხოვა ბოსნიელ სერბებს რადოვან კარაჯიჩის პრეზიდენტობიდან გადაყენება, რადგან საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ იგი დადანაშაულებულია საერთაშორისო დანაშაულში და უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს 14 სექტემბრისთვის დანიშნულ საყოველთაო არჩევნებში.

ამ ვადამდე მას შეუძლია ეკავოს ბოსნიელ სერბთა ლიდერის პოსტი, მაგრამ ეს არ აწყობს დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანას, რომლებიც სერბთა მხრიდან მეტ დათმობებს მოითხოვენ.

ამის თაობაზე რადოვან კარაჯიჩმა განაცხადა, რომ თუ მსოფლიო თანამეგობრობა ბოსნიელ სერბებს მისცემს გარანტიას, რომელზეც დამოკიდებულია მათი სახელმწიფოებრივი არსებობა ბოსნია-ჰერცეგოვინაში, მაშინ იგი მზადაა უარი თქვას სერბიის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, კარაჯიჩი, დეიტონის გადაწყვეტილების მიუხედავად, არჩევნების დროს კვლავ წამოაყენებს თავის კანდიდატურას.

ასეთი პოზიციის მიუხედავად, იუგოსლავიის ხელმძღვანელობა ოფიციალურად გააფრთხილებს, რომ თუ კარაჯიჩი არ დატოვებს თავის პოსტს, მსოფლიოს თანამეგობრობას შეუძლია კვლავ შემოიღოს სანქციები როგორც სერბების, ისე იუგოსლავიის რესპუბლიკის წინააღმდეგ და, ამასთან ერთად, მოლაპარაკებების ჩაშლაში ერთადერთ დამნაშავე მხარედ გამოაცხადოს.

ამასთან დაკავშირებით, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა შენიშნა, რომ ომისშემდეგ—მი პირველი არჩევნები არ შეიძლე—ა უნაკლო იყოს, მაგრამ მას მოჰყვება შიდასახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბება და ხელს შეუწყობს სამშვიდობო პროცესის წინსვლას.

ბოსნია-ჰერცეგოვინის პრემიერ-მინისტრი ჰასან მურატოვიჩიც ხიფრთხილით ეკიდება არჩევნების საკითხს, თუმცა აღნიშნავს, რომ მთავრობა ყველაფერს გააკეთებს მისი მაღალ დონეზე ჩატარებისთვის.

**თამთა თურმანიძე**

### უცხოელი ექსპერტები საქართველოში

# „ტასისის" ექსპერტები დამოუკიდებლად მოქმედებენ

## საქართველოს სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის სამინისტრო კი მათი მუშაობით არც ისე კმაყოფილია...

სპეციალისტთა და დამკვირვებლების შეფასებით, საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის პირველი ეტაპი, ქართველი და უცხოელი ექსპერტების ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად, წარმატებით დასრულდა. მიმდინარეობს კონკრეტული სექტორებისთვის განვითარების სპეციალური პროგრამების პროექტების შემუშავებისა და განხილვის პროცესი, რაშიც უზარმაზარ სამუშაოებს ასრულებს „ტასისის" ევროპული საექსპერტო სამსახური. პროგრამას ბრიუსელი აფინანსებს და შექმნილია იმ ქვეყნების დასახმარებლად, რომლებიც ახლა იწყებენ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას.

ჯერჯერობით დასკვნების გამოტანა იმის თაობაზე, თუ რამდენად ეფექტური იქნება უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციები რეფორმის მეორე ეტაპზე, ნაჩქარევად გვეჩვენება, თუმცა, მოსალოდნელია, რომ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური გამოცდილების შერჩევით დანერგვა საქართველოში სასურველ შედეგებს გამოიღებს, თუ ინტერესით მოვეკიდებით უცხოელების რჩევებს და შევაჯერებთ მათ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ თავისებურებებთან.

ეტყობა, ამგვარი თანამშრომლობა უცხოელ და ქართველ ექსპერტებს ყველა სფეროში არ გამოუდით, რადგან ხშირად მათ მიერ მოპოვებული ინფორმაციები ერთმანეთს არ ემთხვევა. საფიქრებელია, რომ ან უცხოელები ვერ მიერგნენ საქართველოს თავისებურებებს, ან ჩვენთან დამკვიდრებული აზრი, „სხვისი მისაბაძი რა გვჭირს, თვარა, კი", ჯერ ისევ ძალაშია.

27 ივნისს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროში შედგა „ტასისის" პროექტის „კომპლექსური ტექნიკური დახმარება საქართველოსთვის", — ქართველი და უცხოელი ექსპერტების შეხვედრა.

პროექტი, რომელზეც საუბარი იყო შეხვედრაზე, ითვალისწინებს რეკომენდაციებს მიწის რეფორმის წარმატებით ჩატარების, ფერმერთა ასოციაციების ჩამოყალიბების, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს რეორგანიზაციის, სასოფლო-სამეურნეო სწავლების, მარკეტინგის და საინფორმაციო ცენტრების განვითარებისათვის.

პროექტის ხელმძღვანელმა სემ გლედვინმა აღნიშნა, რომ პროექტი მზადდება ქართველ ექსპერტებთან აქტიური თანამშრომლობით და მისი მიზანია, პრაქტიკული დახმარება გაუწიოს საქართველოს აგრარულ სექტორს.

წლიური სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ექსპერტების მიერ მზადდება, განსაზღვრავს საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებს. ასეთი შინაარსის ერთი დოკუმენტი უკვე წარდგენილი და დამტკიცებულია მიმდინარე წლის თებერვალში, მეორე — მომზადდება 1997 წლის იანვარ-თებერვლისთვის.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ექსპერტები, რომლებიც „ტასისის" ზემოაღნიშნული პროგრამის ცალკეულ პუნქტებს ხელმძღვანელობენ. მათი თქმით, საქართველოში მიწის რეფორმის შემდგომი სრულყოფისათვის „ტასისის" ექსპერტები გვთავაზობენ ორი სახის დახმარებას: ზოგად რჩევებს და საცდელი სამუშაოების (ე. წ. პილოტპროექტი) ჩატარებას. ამასთანავე, მიწის პრივატიზაციის სწორად ჩატარებისთვის, ისინი ახდენენ უკვე პრივატიზებული მიწების აგეგმვას.

მომავალში განსაზღვრულია ახალი ხელსაწყოების შემოტანა, რომლის მეშვეობითაც უფრო სრულყოფილი და პროფესიონალური გახდება ამ სფეროს მუშაობა.

ბატონ ტომ ჰოჯის განცხადებას იმის თაობაზე, რომ „ტასისის" ექსპერტები სერიოზულ სამუშაოებს ასრულებენ ფერმერთა ასოციაციების ჩამოყალიბებისთვის, რისი დადასტურებაცაა სიღნაღსა და დედოფლისწყაროში ჩამოყალიბებული ასოციაციები, რომელთაგან ერთმა უკვე გაიარა რეგისტრაცია, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის, ბატონ ბაკურ გულუას რეპლიკა მოჰყვა — „პირველად მესმის ამის შესახებო":

— ეს ხალხი დადის სადღაც რეგიონებში და ჩვენგან დამოუკიდებლად ქმნის რაღაც ასოციაციებს. დაამყარეთ წესრიგი, სტუმრებიც უფროსებად ხომ არ უნდა გაგვიხდნენ? — მიმართა მან სამინისტროს წარმომადგენლებს.

კიდევ ვისი უფროსობა აღიზიანებს ბატონ ბაკურ გულუას, არავინ იცის, მაგრამ ერთი რამ ფაქტია. იგი განაწყენებულია იმით, რომ „ტასისის" ექსპერტები უგულებელყოფენ სამინისტროს და დამოუკიდებლად მოქმედებენ კომერციულ სტრუქტურებთან ერთად. ბატონი მინისტრის ეს განწყობა კიდევ რამდენჯერმე დადასტურდა შეხვედრაზე.

დევიდ როუს გამოსვლაში, რომელიც მოიცავდა საკითხებს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სწავლების შესახებ, გაირკვა, რომ აგრარულმა უნივერსიტეტმა არ გამოამჟღავნა დაინტერესება მათი რეკომენდაციების მიმართ, რის გამოც ექსპერტებმა კომერციულ კოლეჯებში იმუშავეს. ჩატარდა ლექციები, რომელზეც სტუდენტებმა მოისმინეს მარკეტინგის, საბუღალტრო საქმის, ბიზნესის ორგანიზაციის, ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტის საკითხები.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ვინც ჩვენი საუბრები მოისმინა, უკვე შეძლებს მუშაობას,- განაცხადა ბატონმა როუმ. აქვე აღნიშნა, რომ უცხოელებმა შეადგინეს სახელმძღვანელო — „მენეჯერი სოფლის მეურნეობაში", რომლის 50 ათასი ეგზემპლარი უკვე გავრცელდა. ამ თვეში განსაზღვრულია 30 პედაგოგის წაყვანა ინგლისში სასწავლო კურსებზე.

ბატონმა როუმ ევროპელთათვის ჩვეული პირდაპირობით განაცხადა ისიც, რომ არათუ ინსტიტუტები, თვით სამინისტროს თანამშრომლებიც კი არ დაინტერესებულან მისი პროექტებით, რომლებიც ერთხელ უკვე წარდგენილი იყო განსახილველად და რატომღაც „მტვერი დაედო".

— თქვენ გვითხარით, ვის ჩააბარეთ პროექტი და ვინ დაახანა მისი განხილვა. ხვალიდან ის კაცი აქ შენობაში აღარ იმუშავებს, — იყო მინისტრის გადაწყვეტილი პასუხი.

შეხვედრის კულმინაცია იყო მარკეტინგის და საინფორმაციო ცენტრის ჩამოყალიბებისა და განვითარების ექსპერტის მარკ ლესეილერის გამოსვლა, რომელმაც აღნიშნა, რომ იმერეთის და გურიის რეგიონებში მოგზაურობის დროს, ვერ ნახა იმ კვალიფიკაციის ხალხი, რომლებთანაც „ტასისი" შეძლებდა თანამშრომლობას და რომ სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციები არ იმყოფებიან იმ დონეზე, რომ შეძლონ „ტასისის" პროექტების შესრულება.

— ამის შესახებ აქაც მოგახსენებდით, რეგიონებში ჩასვლით რომ არ შეგეწუხებინათ თავი, — ბრძანა ბატონმა გულუამ და დაამატა, — ეგ რომ გურიის და იმერეთის გუბერნატორებმა გაიგონ, გული გაუსკდებათ. გეკითხათ ჩვენთვის და ზეპირად მოგახსენებდით პასუხებს ყველა იმ კითხვაზე, რაც გაგაჩნდათ.

„ტასისის" ექსპერტები, მიუხედავად სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამგვარი განწყობისა, მაინც აპირებენ გააფორმონ ხელშეკრულება იმ კომერციულ სტრუქტურებთან, რომლებთანაც საჭიროდ მიიჩნევენ თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პუნქტები არ შესრულდება, შეთანხმება მათ შორის დაირღვევა.

— ვინ არის ეს ხალხი, რა ხდება, ვინ სად შედის, რა დასკვნებს აკეთებს, რატომ არ ვიცით ჩვენ? — კიდევ ერთხელ იკითხა მინისტრმა და მიმართა დამსწრეებს, რომ საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებაა სწორედ იმ ჭორების საფუძველი, რაც საქართველოზე ვრცელდება საზღვრებს გარეთ. იქმნება ნაშრომები, სადაც აბსოლუტურად განსხვავებული ინფორმაციებაა დასტამბული იმ ინფორმაციებთან შედარებით, რასაც საქართველოს სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის სამინისტრო ფლობს.

ბატონი მინისტრის მკაცრი ტონი ერთგვარად შეარბილა შეხვედრის ბოლოს ნათქვამმა სიტყვებმა, რომ ეს პროგრამა ითვალისწინებს ქართველი და უცხოელი ექსპერტების ერთობლივ მუშაობას. ამ შეხვედრის მიზანიც ისაა, რომ სამინისტრო, რომელიც, პრინციპში, ეთანხმება „ტასისის" პროგრამებს, ბოლომდე საქმის კურსში იყოს, რა სამუშაოებს ასრულებენ მისი ექსპერტები.

არ ვიცი, ამ შეხვედრას ჰქონდა თუ არა რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა ქართული მხარისთვის, გამოიტანეს თუ არა მათ შესაბამისი დასკვნები ექსპერტების გამოსვლებიდან, ერთი კი ცხადია — მხარეები იგივე აზრებით და განწყობით დაშორდნენ ერთმანეთს, როგორითაც შეხვედრაზე მოვიდნენ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ წინადადებას, რომელიც სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ დავით ნაკანმა გამოთქვა პროდუქციის ხარისხის კოორდინაციისთვის საჭირო კონკრეტული ტექნიკური დახმარების თაობაზე, სხვა აზრი არავის გაუჩენია.

გამოდის, რომ ან უინტერესოდ ეჩვენება ქართულ მხარეს უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციები, ან არც ისე კმაყოფილია მათი მუშაობით.

**მაია ტორაძე**

# ლიცენზირებისა და სერტიფიცირების სრულყოფისთვის

გუშინ პრესკონფერენცია გაიმართა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების სახელმწიფო ლიცენზირებისა და ექსპერტიზის სამსახურის უფროსმა თემურ ჭელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის, ფინანსთა, ეკონომიკის, იუსტიციის, ჯანდაცვის სამინისტროების, სახსტანდარტის დეპარტამენტის და სხვა სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენელთა ერთობლივი მუშაობის შედეგად უკვე მომზადდა ბრძანებულების პროექტი „ლიცენზირების და სერტიფიცირების სრულყოფის, სამომხმარებლო ბაზრის ფალსიფიცირებული და უხარისხო საქონლისაგან დაცვის ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიების შესახებ".

ბრძანებულების მიხედვით, სახელმწიფო ლიცენზირება კვების პროდუქტებზე მთლიანად გადადის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციაში.

პროექტი ითვალისწინებს სალიცენზიო საქმიანობასთან დაკავშირებული მოსაკრებლების გადახდისა და სახელმწიფო ლიცენზირების განხორციელების წესების დადგენას.

ეს ბრძანებულება წინ უსწრებს კანონს „ლიცენზირების შესახებ", რომელიც დამუშავების პროცესშია.

როგორც ბატონმა თემურმა აღნიშნა, ამგვარი ბრძანებულების გამოცემა აუცილებელია საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის დაცვისთვის, იმისთვის, რომ საბოლოოდ დამყარდეს წესრიგი ლიცენზირებისა და სერტიფიცირების საქმეში.

„კავკასიონი"

## სტუმრები ევროპარლამენტიდან

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა მიიღო ევროპარლამენტის დელეგაცია ანტონიოს ტრაკატელისის ხელმძღვანელობით.

მინისტრმა სტუმრებს გააცნო საქართველოში შექმნილი სიტუაცია და აღნიშნა, რომ მიუხედავად ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებისა და ეკონომიკური რეფორმების გზაზე მიღწეული წინსვლისა, კვლავ გადაუჭრელი რჩება აფხაზეთის პრობლემა. ამასთან მინისტრმა ხაზი გაუსვა ევროპარლამენტის აქტივიზაციას ამიერკავკასიაში ვითარების მოწესრიგების საკითხში.

BS PRESS

### სამიტი

## მსოფლიო პოლიტიკის ლიდერები ლიონში იმყოფებიან



ჟაკ შირაკი მასპინძლობს...

საფრანგეთის ქალაქ ლიონში გრძელდება მსოფლიოს შვიდი წამყვანი სახელმწიფოს ლიდერთა სამიტი, რომელზეც მსოფლიო ეკონომიკისა და უსაფრთხოების საკითხებს იხილავენ.

როგორი იქნება მსოფლიო ხვალ? — ეს კითხვა ერთგვარი შიშით დაისვა ლიონში, რადგან მეოცე საუკუნის მიწურულს სხიფათო მასშტაბებით იმძლავრა ტერორიზმმა. მის აღსაკვეთად მიმართული არაერთი ღონისძიება, მათ შორის, სხვადასხვა დონის დეკლარაციები, ჭერჭერობით, უშედეგოა. თუმცა, ლიონში კვლავ მოეწერა ხელი ახალ დეკლარაციას, რომელშიც აღნიშნულია: „იმისთვის, რომ ტერორიზმს ბოლო მოეღოს, აუცილებელია მსოფლიო ეკონომიკის თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაცვა".

ლიონის სამიტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკისა და ბილ კლინტონის შეხვედრა. ისინი დიდხანს საუბრობდნენ, აანალიზებდნენ რუსეთში, ახლო აღმოსავლეთსა და ბოსნიაში შექმნილ სიტუაციას. შეეხნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეორგანიზაციის პრობლემას. გადაწყდა, რომ ბოსნიიდან სამშვიდობო ძალების გამოყვანის საკითხს სექტემბერში, პარიზში, განიხილავენ.

გუშინ კი, ლიონის სამიტის მონაწილეები მსოფლიო ეკონომიკის თემასა და განვითარებადი ქვეყნების პრობლემატიკას მიუბრუნდნენ.

რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი სამიტის მუშაობაში არ მონაწილეობს, რასაც მიმომხილველები წინასაარჩევნო ბრძოლის დაძაბულობით ხსნიან. მის ნაცვლად, მსოფლიო პოლიტიკის „გრანდებს" პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი „გაესაუბრება".

## პრივატიზაცია საქართველოს მომავალი წარმატების საწინდარია

## საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ბრძანება

ქ.თბილისი 27 ივნისი 1996 წელი

№29 საბარათო და №45 სპეციალიზირებულ საბარათო აუქციონებზე გასატან სააქციო საზოგადოებების აქციათა პაკეტების ნუსხებში ცვლილებათა დამტკიცების შესახებ

ორგანიზაციული საკითხების დაზუსტებასთან დაკავშირებით

**ვბრძანებ:**

1. შეტანილ იქნას ნაწილობრივი ცვლილებები №29 საბარათო და №45 სპეციალიზირებულ საბარათო აუქციონებზე გასატან სააქციო საზოგადოებების აქციათა პაკეტების ნუსხებში:

1.1. სააქციო საზოგადოება „ნარაზენის ჩაის ფაბრიკა"-ს (№522) აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა ნაცვლად №29 საბარათო აუქციონის ნუსხაში მითითებული 5200-სა, უნდა იყოს 20945, შესაბამისად პროცენტი საწესდებო კაპიტალთან, ნაცვლად 10,35-სა, უნდა იყოს 41,68, 30 პროცენტით გაზრდილი ფასი აშშ დოლარებში ნაცვლად 9883,04-სა, უნდა იყოს 39807,75, ხოლო საწყისი ფასი საპრივატიზებო ბარათებში, ნაცვლად 989-სა, უნდა იყოს 3981;

1.2. სააქციო საზოგადოება „კახეთის პურპროდუქტების კომბინატი"-ს (№949) გამოშვებული აქციების რაოდენობა განისაზღვროს 2720250-ით, ნაცვლად ადრე ფიქსირებული 2457182-სა, შესაბამისად აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა უნდა იყოს 816075, პროცენტი საწესდებო კაპიტალთან უნდა იყოს 30,0, ხოლო ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში უნდა იყოს 816075;

სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი ა.სილაგაძე

პრობლემა

# რატომ დუმს თბილისის რადიოქსელი

ჩვენი გაზეთის 25 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა ქალბატონ ნ.ბურკაძის წერილი თხოვნით, გაგვეგო, თუ რატომ არ მუშაობს ქალაქის რადიოქსელი. ეს პრობლემა ბევრს აწუხებს. წლების განმავლობაში ოჯახის წევრივით ვეჩვევით სამზარეულოში ჩამოკიდებულ რადიოს, რომელიც სახლში მოფუსფუსე ადამიანს დილიდან საღამომდე ერთგულად ემსახურება. სამწუხაროდ, დღეს ეს სიამოვნება ქალაქის უმეტეს ნაწილს აკლია (აღარაფერს ვამბობთ რეგიონებზე). რადიოქსელის მუშაობასთან დაკავშირებით განმარტება ვთხოვეთ კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის მოადგილეს ბატონ ოთარ ბიწაძეს.

ბატონმა ოთარმა თავდაპირველად ქალაქის რადიოქსელის მუშაობის პრინციპში გაგვარკვია. როგორც გავიგეთ, თბილისში არის სამი ძირითადი და ჩვიდმეტი გამაძლიერებელი რადიოსადგური. ტელე-რადიო კორპორაციიდან სიგნალი ძირითად სადგურებში მიდის. იქიდან კი სატრანზიტო არხებით გამაძლიერებელ სადგურებს გადაეცემა, საიდანაც მაღალი — 960-ვოლტიანი ძაბვის სადენებით (ე.წ. „ფიდერებით") აბონენტებამდე აღწევს. ცხადია, დამწევი ტრანსფორმატორების მეშვეობით, ბინებში 12 ვოლტი შედის. „ფიდერები" სპილენძისგან არის დამზადებული, ზოგი 50 პროცენტ რკინასაც შეიცავს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მავნებლებს, ბინძური „ბიზნესით" ხელი მოითბონ. ახლა ასეთი ამბავი აღარ არის. მაგრამ სრული განუკითხაობისა და სპილენძის ბუმის პერიოდში რაც მოასწრეს, ყველაფერი მოიპარეს. გაძარცვას გადაურჩა მხოლოდ სამი ცენტრალური სადგური, რადგან აქ ელექტროენერგია, ასე თუ ისე, იყო და მაღალი ძაბვის სადენს ვინ მიეკარებოდა. ცენტრალურ სადგურებში სარეზერვო დიზელ-გენერატორებიც დგას. ეს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში შეუფერხებელ ტრანსლაციას განაპირობებს. სხვა რაიონებში კი საქმე სავალალოდ არის. მთლიანად გაძარცულია აჭალის დასახლების სადგური, რომლის აღდგენა კავშირგაბმულობის სამინისტროს საკუთარი სახსრებით არ შეუძლია. გლდანის, მუხიანის, ვარკეთილის, ვაზისუბნის, აეროპორტისა და ლილოს დასახლებებში აღდგენითი სამუშაოები ჩასატარებელია, მაგრამ ტრანსლაცია შესაძლებელია, თუ აბონენტები დავალიანებას გადაიხდიან.

ამჟამად თვეში გადასახადი კერძო პირისთვის 50, ხოლო საწარმოსთვის — 80 თეთრია. ადრე გადასახადი გაცილებით ნაკლები იყო, მაგრამ აბონენტებს მაინც დიდი დავალიანება აქვთ. ასეთებია საწარმოო კომბინატი ფირმა „პირიმზე", შინაგან საქმეთა სამინისტრო, ტექინფორმი, რესპუბლიკური ტექნიკური ბიბლიოთეკა, სასტუმროები „ივერია" და ვაკე", შრომის სასახლე, ინფორმატიკის ცენტრი და სხვა. საერთო დავალიანებამ გასულ წელს 5649 ლარი, მიმდინარე წელს კი 22 633 ლარი შეადგინა. უამრავი სამუშაო ჩასატარებელია, რადგან ძაბვის მუდმივი და დიდი ცვალებადობის გამო ტრანსფორმატორები გადაიწვა. აღდგენას ფული სჭირდება. ბიუჯეტიდან ამისთვის ერთი ლარიც კი არ გამოიყოფა. იმ აბონენტებიდან, ვისი რადიოც მუშაობს, გადასახადს 20 პროცენტიც არ იხდის.

მიუხედავად ამისა, სამინისტრო მუშაობს და სწორედ მისი დამსახურებაა, რადიო საერთოდ ხმას რომ იღებს. პირველი, რაც მან გააკეთა, ისაა, რომ გაძლიერებული რადიოსადგურები სატელეფონო სადგურებში შეიტანა. იქ გამხოლოებული დენის წყაროა. ფული რომ იყოს, ყველა სადგურს დიზელ-გენერატორი ექნებოდა და რადიოც შეუფერხებლად იმუშავებდა. დღეს ქალაქის რადიოტრანსლირება ელექტროენერგიის მიწოდებაზეა დამოკიდებული. სამინისტრო ცდილობს, რადიოფიცირება ამ დამოკიდებულებისგან გაათავისუფლოს და აბონენტს დენის პრობლემა მოუხსნას. ამ მიზნით კავშირგაბმულობის სამინისტროს და „მიონის" ქარხანას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიონმა" მზის ელემენტებიანი რადიომიმღები უნდა გამოუშვას. ეს მიმღები 7-დან 12 დოლარამდე ეღირება და 2-3 წლის განმავლობაში იმუშავებს, შემდეგ აბონენტი ხელმეორედ დატენის ელემენტებს. რადიომიმღები 11 კომპონენტისგან შედგება. აქედან 8 ქარხანას თავად აქვს, 3 დეტალი შესაძენია. ამისთვის 140 000 ლარია საჭირო, მაგრამ სამინისტროს ეს თანხა არ გააჩნია. დამფინანსებელიც არავინ ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ეს თანხა რადიომიმღებების გაყიდვისთანავე დაუბრუნდება. საქმე კი გაკეთდება, რადგან პირველი ბიძგი სერიულ წარმოებას შეუწყობს ხელს და ყველა ოჯახს საშუალება ექნება გაყინულ, უსინათლო ზამთარშიც სამამულო წარმოების რადიომიმღები აახმიანოს.

ზაზა ფარუაშვილი

სატირა

## „კონსენსუსი"

თუ აძლევ და არ გაძლევენ,
მოწყალების მომცემს უცდი,
თუ ყველაფერს მტერს დაუთმობ,
ეს არ არის კონსენსუსი.
და მე მინდა ამგვარ ქცევის
განმარტება მოგცეთ ზუსტი:
ეს ნიშნავს, რომ ზნეობრივად
ხალხი გახდა „კონსენსუსტი".

## ვინ მოიპოვა თავისუფლება

მოდერნიზებულ ციხეში
უკან შერეკეს მასები,
ისევ დაბორკეს და მხოლოდ
განთავისუფლდნენ ფასები.

## ვის სჭირდება განხეთქილება?!

იდეის ხარჯზე გასუქებულმა,
ნასვამ-ნაჭამით გახეთქილებმა,
ნაშოვარი რომ შეინარჩუნონ,
ამიტომ „ხდება" განხეთქილება.

რუსლან მიქაბერიძე
10.06.96 წ.

იქ, უცხოეთში

# შერონ სტოუნი და იზაბელ აჯანი — ეშმაკის მოციქულები

ფრანგული კინოს ღმერთქალი — იზაბელ აჯანი და ჰოლივუდის ყველაზე ძვირადღირებული ვარსკვლავი — შერონ სტოუნი ერთად წარსდგნენ კამერის წინაშე განახლებულ კლასიკურ ტრილერში. ფილმში ქალები სიამოვნებით სჩადიან მკვლელობებს და შესანიშნავ მსახიობურ პარტნიორობას უწევენ ერთმანეთს, მით უმეტეს, რომ ცხოვრებაში ათი წელიწადი მტრებად არიან გადაკიდებულნი.

გადასაღებ ადგილას, პერსილვანიის ერთ კოლეჯში თვეების მანძილზე სიმშვიდე არ დარღვეულა. თავიანთ პირველ ერთობლივ ფილმზე — „ეშმაკეულნი" მუშაობისას, შერონ სტოუნი და იზაბელ აჯანი ერთხანს წარმატებით იკავებდნენ თავს და არ ამჟღავნებდნენ მათ შორის წლების მანძილზე გაღვივებულ შუღლს. ცოტა ჭიბრი კი თითქოს სასურველიც უნდა ყოფილიყო ფილმის გადაღებისთვის, რადგან ამ ტრი-



ლერში ქალები ერთი და იგივე მამაკაცის ცოლის (აჯანი) და საყვარლის (სტოუნი) როლებს ასრულებენ. მაგრამ გადაღებების ბოლოს მსახიობებმა თავი ვეღარ მოითოკეს და ძველი მტრობა კვლავ ამოატივტივეს.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: 1984 წელს, როცა შერონ სტოუნი „ძირითად ინსტინქტში" თავის პირველ დიდ წარმატებას ზეიმობდა, ერთმა ევროპელმა ჟურნალისტმა იზაბელ აჯანის ამ ფილმის შესახებ ჰკითხა აზრი. მან კი ასე უპასუხა: „სამწუხაროა, როცა მსახიობი მხოლოდ თავისი სხეულით გადის ფონს". ამას ჰოლივუდის ახლადგამომცხვარი ვარსკვლავი გაალმასებული გამოეპასუხა. პრიმადონების ომს აქედან დაედო დასაბამი.

ახლა კი, ჭეშმარიტმა მსახიობმა, ფრანგმა იზაბელ აჯანიმ და ჭეშმარიტმა სექსსიმბოლომ, ამერიკელმა შერონ სტოუნმა განაახლეს ბრძოლა. უფრო



სწორედ, პირველი შემოტევა შერონ სტოუნისგან მოდიოდა, თანაც ძალიან მოხერხებული ტაქტიკა აირჩია: მან თავისი ლიმუზინით მიიყვანა აჯანი სასტუმრომდე, იქ კი ძალიან მარჯვედ და ეშმაკურად იპოზიორა ფოტოგრაფების წინაშე, ისე რომ, ფაქტობრივად სოლო როლი შეასრულა. თხუთმეტი წუთის შემდეგ გონს მოსულმა იზაბელ აჯანიმ თაფლივით ტკბილი ხმით და მზრუნველი ტონით განაცხადა: „შერონი გვიან მიხვდება, რომ წარმატება არ არის ცხოვრების მთელი აზრი. ერთხელაც გაიღვიძებს და იგრძნობს, რომ რაღაც ძალიან მთავარი გამოეპარა". ამ ღრმააზროვანმა ანალიზმა „ძირითადი ინსტინქტის" გმირ მოწინააღმდეგეზე სათანადო შთაბეჭდილება მოახდინა. დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ინტერვიუში ასე მოიხსენია თავისი ფრანგი კოლეგა: „როგორ ახერხებს ასეთი ლამაზი ქალი ასე მოსაწყენი იყოს ყველა ფილმში"...

ამის შემდეგ, ალბათ აღარავის გაჰკვირვებია, თუ რატომ ჩავარდა ეს ფილმი. ამერიკელმა კრიტიკოსებმა ძალიან მდარედ შეაფასეს მობაქრე ლამაზმანების ნამუშევარი.

მოამზადა

ნათია ფანჯიკიძე


„ზოოვეტმომარაგების" რესპუბლიკურ ბაზას და მის ვეტერინარულ აფთიაქებს გააჩნიათ ყველა სახის მაღალეფექტური პრეპარატები. ჩვენთან ვეტპრეპარატები ყველაზე ხელმისაწვდომ ფასებშია, გარანტირებულია ხარისხი. მოგვმართეთ რაიონების ვეტერინარულ აფთიაქებში და „ზოოვეტმომარაგების" რესპუბლიკურ ბაზაში.

მისამართი: ნავთლუღი, მატროსოვის 15, მეტრო „სამგორი".
ტელეფონი: 74-36-62, 74-12-16, 74-02-00



ზაფხულის ცხელ დღეებში შეგიძლიათ გული გაიგრილოთ ჩანჩქერის პირას და მიირთვათ უგემრიელესი ეროვნული კერძები.

ეს ყველაფერი რესტორან «მარაბდაში».

მისამართი:

რუსთავის გზატკეცილი...
თუმცა, მისი მდებარეობა
ყველასთვის ცნობილია.





ავიაკომპანია „ორბი"

ORBI
GEORGIAN AIRWAYS

ამა წლის 2 ივლისიდან შეასრულებს რეგულარულ რეისს მარშრუტით თბილისი-ტაშკენტი-თბილისი. გაფრენა თბილისიდან შედგება ყოველ სამშაბათს 22 საათზე. ჩამოფრენა თბილისში — ოთხშაბათს, 06 საათსა და 10 წუთზე. ფრენის ხანგრძლივობა 3 საათი.

ავიაკომპანია „ორბი" უზბეკისტანის ავიაკომპანია „უზბეკისტან ხავა იულლარი"-სთან ერთად მგზავრებს სთავაზობს ტრანსფერულ გადაფრენას ტაშკენტიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში: ბანგკოკი, დელი, ყარაჩი, პეკინი, ბაჰრეინი, შარჯა, ჯაკარტა, სეული, კუალა, ლუმპური და სხვა. ტაშკენტიდან მგზავრებს ექნებათ შესაძლებლობა გადაფრინდნენ შუა აზიის ქალაქებში.

ცნობებისთვის და ბილეთების შესაძენად ყველა ზემოთ აღნიშნული მიმართულებით შეგიძლიათ მიმართოთ ავიაკომპანია „ორბის" სააგენტოებს.



## იყიდება

- სამოთახიანი იზოლირებული ბინა ნაძალადევის რაიონში, კინო „საქართველოს“ წინ, გვაზაურის 3 ბ კორპუსი. პირველი სადარბაზო, პირველი სართული, ბინა 3. ლოჯის ქვეშ არის სარდაფი. საძინებლების მხრიდან აქვს 100 კვ.მ. მანქანის სადგომი. ტელ.: 61-26-77, კაშია.
- სახლი მცხეთის რაიონის სოფ.ბიწმენდში, ხეგურამოდან 3 კმ-ში. ცენტრში, მაღაზიის უკან 2000 კვ.მ. მსხმოიარე ხეხილით. ბინა ახალი აშენებულია. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 61-26-77.
- სამოთახიანი ბინა წერეთლის გამზირზე, დიდუბის ეკლესიის პირდაპირ, რკინიგზელთა სახლში, 5-სართულიანი სტალინის სახლის მესამე სართულზე. საერთო ფართი 100 კვ.მ., ოთახების ფართი 60 კვ.მ. (20,22,18). ჭერის სიმაღლე 3,20 სმ., სამზარეულო 15 კვ.მ. ბინა გარემონტებულია. საწყისი ფასი 60000 ლარი. ტელ.: 34-79-81, დილის 11 საათამდე. 95-25-38, იკითხეთ დათო.
- ვაშლიჯვარში ოროთახიანი ბინა ლოჯით. საერთო ფართი 61 კვ.მ., ცხრასართულიანი სახლის მე-3 სართულზე. ტელ.: 93-55-69, იკითხეთ ციცო.
- სამოთახიანი იზოლირებული კუთხის ბინა მიშენებით. ოთხსართულიანი სახლის მე-3 სართულზე. საბურთალოს ბაზართან. ცაგერის ქ. 3. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 37-52-86.

1996 წლის 4 ივნისის გაზეთ „კავკასიონში“ გამოქვეყნებული იყო განცხადება „ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს № 13 სამრეწველო საწარმოო კომბინატის № 2 ბეტონის კვანძის იჯარით გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ“.

კონკურსში გაიმარჯვა № 2 ბეტონის კვანძის შრომითმა კოლექტივმა და მოიპოვა საკუთრებით უფლება.


# თბილისის ეკონომიკის, სამართლისა და ინფორმაციის საერთაშორისო ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1996-97 სასწავლო წლისთვის დღისა და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. იურიდიული ფაკულტეტი: სამართალმცოდნეობა.
2. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.
3. ჟურნალისტიკა.
4. უცხო ენების ფაკულტეტი:
   ინგლისური ენა და ლიტერატურა;
   გერმანული ენა და ლიტერატურა;
   ფრანგული ენა და ლიტერატურა.

ინსტიტუტში სწავლის საფასური მინიმალურია და არ იცვლება სასწავლო წლების განმავლობაში.

მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის ქ. № 7 (თბილისის VI გიმნაზიის შენობაში).
უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან.
ტელ.: 23-40-67; 31-55-86; 31-53-90; 39-17-24.



29 ივნისს
22 საათზე
106.4 მგჰ სიხშირეზე
Coca-cola Plauet Live
წარმოგიდგენთ *Simply Red*-ის ცოცხალ კონცერტს, რომელიც ეძღვნება ევრო-96 ფინალურ მატჩს.
როგორც მოგეხსენებათ, *Simply Red*-ის სიმღერა ფიფას მიერ აღიარებულ იქნა 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ჰიმნად.


**ყოველდღე უფასო განცხადებები მხოლოდ «კავკასიონის» მკითხველთათვის. დაგვირეკეთ და განცხადება მეორე დღის ნომერში გამოქვეყნდება. ტელ.: 29-48-05.**



თბილისის VI ქართული გიმნაზიის XI კლასების მოსწავლეები იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპნენ

გიგი ართმელაძე და მაია გაბუნია

და თანაუგრძნობენ განსვენებულთა ოჯახს.

თბილისის VI ქართული გიმნაზიის პედკოლექტივი და „კავკასიონის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გიგი ართმელაძისა და მაია გაბუნიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულთა ოჯახს.

## კროსვორდი

### შეავსეთ აღნიშნული წერტილიდან საათის ისრის მიმართულებით

1. რომაულ მითოლოგიაში უზენაესი ღვთაება. 2. პროპორციულობა რისამე განლაგებაში. 3. რისამე შესახებ არსებულ მონაცემთა კრებული 4. წყლის დიდი ფრინველი, აქვს მოვარდისფრო-თეთრი ბუმბული. 5. სამხედრო ნაწილთან არსებული პატარა საავადმყოფო. 6. შრომის საზღაურად მიცემული ფულადი გასამრჯელო. 7. მეცნიერული ნაშრომის მოკლე წერილობითი ან ზეპირი გადმოცემა. 8. ზღვის დიდი ფრინველი; ფრენა არ შეუძლია. 9. რისამე ცვლის, განვითარების პროცესი. 10. პატარა კვერი, სეფისკვერი. 11. ჟამისწირვა. 12. ზღვაში მცურავი ყინულის მთა. 13. მოხდენილად მოსიარულე ცხენი, იორღა. 14. ქალაქი ჩეხეთში. 15. მონანიება. 16. ძველებური ციხე-სიმაგრის წინგამოწეული ნაწილი ხუთკუთხედის ფორმისა. 17. საგნის ან მოვლენის ძირითადი, არსებითი თვისება. 18. ფიზიკის დარგი, რომელიც სწავლობს ბგერას. 19. ვენესუელის ფულადი ერთეული. 20. თავდამსხმელი, დამპყრობელი, ომის გამჩაღებელი პირი ან ქვეყანა. 21. XIY-XIXსს ოსმალეთში პრივილეგირებული ქვეითი ჯარი ტყვედ წაყვანილი გამაჰმადიანებული ქრისტიანებისა. 22. რაიმე მთელის ყველა ნაწილის შეთანხმებულობა, პროპორციულობა. 23. ოფიციალური ცნობა სასწავლებლის დამთავრების შესახებ. 24. მოუჭიქავი ფაიფური, იყენებენ ქანდაკებაში. 25. ლათინური ამერიკის სახელმწიფოს დედაქალაქი. 26. მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახისა. 27. ადამიანის ან ცხოველის ჩანასახი. 28. კრისტალური მინერალი თეთრი ფერისა, იყენებენ ქანდაკებასა და მედიცინაში. 29. მდინარე აშშ-ში, ერთვის ატლანტის ოკეანეს. 30. თმის მოცილება. 31. ნაგებობა, რომელიც იცავს მეომრებს არტილერიის ან ნაღმტყორცნების ცეცხლისგან. 32. ქალაქი ბულგარეთში. 33. რაიმე სხეულის მიერ ელექტრომაგნიტური ენერგიის გამოსხივება. 34. ნივთი, რომელსაც ინახავენ როგორც განსაკუთრებულს, ძვირფას სახსოვარს. 35. მარადმწვანე მაღალი ბუჩქი, აქვს მუქი მწვანე ფოთლები. 36. ლიტერატურული ან სხვა ნაწარმოების მითვისება.

შეადგინა

**ბ.ტეტელოშვილმა**




რედაქტორ-გამომცემლები
ვასილ მაღლაფერიძე და პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე
პასუხისმგებელი მდივანი დავით ნინიკაშვილი
მორიგე რედაქტორი სოზარ სუბელიანი
რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7.
ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.